

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## მადრა მემანიშვილი

ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების  
გაზეთი “საქართველო” 1915-1921წ.წ.  
(აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს პრობლემატიკა)

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ჟურნალისტიკის მიმართულებით ფილოსოფიურ მეცნიერებათა  
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

*მეცნიერ-ხელმძღვანელი*

*ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

*დადი ჩიკვილაძე*

თბილისი

2011

შესავალი ..... 4 - 21

I აფხაზეთი ..... 22 - 89

**1. აფხაზეთი XX საუკუნის პირველ ოცწლეულში**

- 1.1. ტერიტორია, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა.
- 1.2. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა
- 1.3. პოლიტიკური სიტუაცია.

**1. გაზეთ “საქართველოს” თვალსაწიერიდან**

**დანახული ანტიქართული მოძრაობა და**

**სეპარატიზმი აფხაზეთში**

- 2.1. ენის საკითხი
- 2.2. მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხი
- 2.3 პოლიტიკური გადატრიალებების მცდელობები აფხაზეთში
- 2.4. ”საქართველო” პატრიოტი აფხაზების შესახებ

**2. აფხაზეთში მენშევიკური მთავრობის**

**პოლიტიკის კრიტიკა**

- 3.1. მენშევიკური მთავრობის საკადრო და საარჩევნო პოლიტიკის კრიტიკა
- 3.2 სოჭის შენარჩუნებისათვის არასათანადო ბრძოლა
- 3.3 აფხაზეთში მიწების გადანაწილების პოლიტიკის კრიტიკა

**3. აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებული**

**პუბლიკაციების სტატისტიკა; დასკვნები**

II სამაჩაბლო ..... 90 - 104

1. სამაჩაბლო XX საუკუნის პირველ ოცწლეულში
2. სეპარატიზმი სამაჩაბლოში
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომია საქართველოს პირველ რესპუბლიკაში

III საინგილო ..... 105 123

1. XX საუკუნის ოციანი წლების საინგილო
2. სოციალური პრობლემები საინგილოში
3. რელიგიური ბრძოლა საინგილოში
4. საინგილოს ისტორიისა და ტრადიციის ასახვა “საქართველოს” ფურცლებზე.

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

დანართი (გაზეთ “საქართველოში” 1915-21 წლებში აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა და საინგილოზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების ნუსხა)

# შესავალი

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის ისტორია ჯერჯერობით მხოლოდ ფრაგმენტულად არის შესწავლილი. სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა აკრძალვამ ამ პერიოდის საზოგადოებრივი აზროვნების კვლევის პროცესი საგრძნობლად შეაფერხა, ამიტომაც 1900-1921 წლების ქართული ბეჭდური გამოცემების კვლევა თანამედროვე მეცნიერებისათვის დღესდღეობით დიდი გამოწვევაა. ამოცანას კიდევ უფრო რთულად გასამკლავებელს ხდის ორი გარემოება. პირველი ამ პერიოდში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების მრავლრიცხოვნობა-მრავალგვარობაა; მეორე კი – ეპოქის სირთულე .

XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესის მკვლევარი შოთა გაგოშიძე 1900-1921 წლებში საქართველოში გამომავალი ჟურნალ-გაზეთების საერთო რაოდენობად 471 გამოცემას ასახელებს<sup>1</sup>. აქ შედის ლიტერატურული, დარგობრივი, რუსული და სხვადასხვა ენოვანი ჟურნალ-გაზეთები და, რაც მთავარია, პარტიული პრესა. XX საუკუნის დასაწყისი ხომ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის შექმნის, შემდეგ ამ პარტიათა დანაწევრებისა და ახალი პარტიების შექმნის პერიოდია.

ამ პროცესის პარალელურად იქმნებოდა, იხურებოდა და ახლა სხვა სახელებით ფუნდებოდა ახალ-ახალი პერიოდული გამოცემები. მათგან უმრავლესობას ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა, რასაც ვერ ვიტყვით ჩვენი სადისერტაციო კვლევის საგანზე ყოველდღიურ გაზეთ “საქართველოზე”, რომელიც, მართალია ხანმოკლე შეფერხებებით, მაგრამ ექვსი წლის განმავლობაში გამოდიოდა.

1900-1921 წლების პერიოდული ლიტერატურის კვლევის მეორე თანმდევი სირთულე ამ წლებში მიმდინარე ისტორიული პროცესების დახლართულობა და სწრაფი ცვლილებაა. მაგალითად, იმ ექვსი წლის განმავლობაში, როდესაც გაზეთი “საქართველო” გამოდიოდა, მსოფლიოში მოხდა ერთი დიდი ომი (პირველი მსოფლიო ომი), რუსეთში – ორი რევოლუცია; ამიერკავკასიაში – შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო, რომელიც შემდეგ სამ სხვადასხვა რესპუბლიკად დაიშალა, სამივე რესპუბლიკაში ხშირად ხდებოდა აჯანყებები, შეთქმულებები, პოლიტიკური გადატრიალების მცდელობები. მეტიც, მათ შორის სამხედრო დაპირისპირებები, ომებიც კი შედგა, რაც საბოლოოდ საბჭოთა რუსეთის მიერ სამივეს ოკუპაციით დასრულდა.

ამ პროცესების დროს ჩვენი ქვეყნა კარგავდა ტერიტორიებს. თუმცა იყო ტერიტორიების ხანმოკლე შემოერთების ფაქტებიც. მაგალითად, 1918 წელს ქართველმა გენერალმა მაზნიაშვილმა გაგრა, სოჭი და ტუაფსეც კი აიღო. მაგრამ დაკარგეთ ბათუმი და სამხრეთ საქართველოს მნიშვნელოვან ნაწილზე საქართველოს რესპუბლიკა პოლიტიკურ კონტროლს ვერ ახორციელებდა.

ამ ურთულესი საგარეო, თუ საშინაო პოლიტიკური მდგომარეობით გაჯერებულ ისტორიულ ეპოქაში გამოდიოდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანო გაზეთი “საქართველო”.

## 1. მიზანი, ამოცანები

ჩვენი დისერტაცია წარმოადგენს **1915-21 წლებში გამომავალი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდური ორგანოს – ყოველდღიურ გაზეთ “საქართველოს” კვლევის მცდელობას**. კერძოდ კი, იმ საგაზეთო პუბლიკაციების ანალიზს, რომელიც საქართველოს სამ რეგიონს – აფხაზეთს, სამაჩაბლოსა და საინგილოს – ყოფა-ცხოვრებას ასახავს.

საკვლევი თემის შერჩევა ორმა გარემოებამ განაპირობა. **პირველი**, გაზეთ “საქართველოს” ყოველმხრივი შესწავლა ერთ დისერტაციაში შეუძლებელი იყო, რადგან ეს ყოველდღიური პერიოდული ორგანო თითქმის ექვსი წლის განმავლობაში გამოდიოდა (სულ გამოსულია 1000 ნომერზე მეტი, თუ ჩავთვლით 1915-16 წლებში გამომავალ საკვირაო დამატებასაც) და აშუქებდა მაშინდელი ყოფის თითქმის ყველა სფეროს – პოლიტიკას, ეკონომიკას, საერთაშორისო ცხოვრებას, სოციალურ პრობლემებს, ეროვნებათაშორის კონფლიქტებს, პოლიტიკურ პარტიათა დაპირისპირებას, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის ცხოვრებას, ხელოვნებისა და მეცნიერების საკითხებს... ამდენად, გაზეთ “საქართველოს” კვლევა ერთი, ან რამდენიმე კონკრეტული კუთხის გარეშე ჩვენ ძალებს მრავალგზის აღემატებოდა.

**მეორე გარემოება** არის ის, რომ XX საუკუნის დასაწყისში გაძლიერდა საქართველოს უძველესი კუთხეების – აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს დედამამშობლოსაგან განცალკავების პროცესი. დღესდღეობით ეს პროცესი დასრულებულია და საქართველო ყოველ დონეს ხმარობს უკუპროცესის, ანუ ამ რეგიონების შემოერთების დასაწყებად. ამასთან, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის დაბრუნების იმედი თუ ჯერ კიდევ ცოცხალია, იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოს უძველეს ტერიტორიაზე – გარე კახეთზე/საინგილოზე.

მაშასადამე, შევარჩიეთ ის რეგიონები, რომლებზეც დღესდღეობით არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია და რომელთა სეპარაციის პროცესი XX საუკუნის დასაწყისში ინტენსიურად მიმდინარეობდა.

როგორ მოხდა, რომ ჩვენი ქვეყნის უძველეს კუთხეებზე ნელ-ნელა კონტროლი დაკარგეთ? რა საგარეო და საშინაო მიზეზებმა შეუწყო ხელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას? რა იყო ამ პროცესის გამომწვევ მიზეზთაგან გარდუვალი, და რა შეცდომებმა დააჩქარა საქართველოსგან აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს მოწყვეტა?

შეკითხვები დღესაც ძალზედ აქტუალურია, თუმცა ხელშეუვალი, ცალსახა და მარტივი პასუხები ამ კითხვებზე არ არსებობს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ ის დასკვნები, რასაც კვლევის მანძილზე მივაგენით, არის ამომწურავი და ყოველმხრივი. ჩვენ მხოლოდ ის მიზეზები გამოვკვეთეთ, რომელმაც, გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტთა აზრით, გამოიწვია აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს “გადაქართულება”, ანუ საქართველოსგან გამიჯნვა. მათგან ზოგი საყოველთაოდ ცნობილია (მაგალითად, რუსეთის იმპერიის კოლონიალისტური პოლიტიკა, რეგიონების რუსიფიკაცია), ზოგი კი – ნაკლებად.

ჩვენი ყველა დასკვნა არის გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტთა დაკვირვების შედეგი, მათი თვალთახედვიდან, მათი თვალსაწიერიდან დანახული პროცესი. ბუნებრივია, ისინი მეცნიერები არ იყვნენ და ეს საკითხები მეცნიერული კუთხით არ უკვლევიათ. ისინი იყვნენ ჟურნალისტები, ზოგჯერ – ძალიან სუბიექტურებიც, რადგან პოლიტიკური პარტიის, კერძოდ კი ეროვნულ-დემოკრატიულ გაზეთში მუშაობდნენ. ზოგი მათგანი პარტიის წევრი იყო, ზოგიც – არა, მაგრამ ამ უკანასკნელთა მსოფლმხედველობა და პოლიტიკური შეხედულებაც ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა გახლდათ.

ამის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ მათი თვალთახედვიდან დანახული პრობლემების კვლევა ქართული საზოგადოებრივი აზრის შესწავლისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გაშუქება გაზეთ “საქართველოს” პრიორიტეტს წარმოადგენდა. ეს 1915 წლის 24 მაისს გამოსულ გაზეთის პირველსავე ნომერში გამოჩნდა. ამ ნომერში გამოქვეყნდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი იდეოლოგის, შემდგომში პარტიის თავმჯდომარის, გაზეთ “საქართველოს” დამფუძნებლის სპირიდონ კედიას სტატია “ჩვენი სიტყვა”<sup>2</sup>.

სპირიდონ კედია წერდა: “ეროვნული სხეული მაგრად, მჭიდროდ უნდა იდგეს მჭიდრო ტერიტორიაზედ, რომელიც ერთსა და იმავე დროს მისი აკვანიცაა და საფლავიც. არ ვეკრძალებით ვსთქვათ, ჩვენი მისწრაფების ლურსმანი ამ აკვან-საფლავის დაცვაა, საქართველოს საზღვრების აღდგენა... საქართველო ყველა ქართველისაა, მისი საზღვარი ყველა ჩვენის საზღვარია. მაშნუნდა ვიქნებით გათიშული ამ თავი და თავი საკითხის გარშემო. ფსიქოლოგიურად შემოვიმიჯნოთ თავი ჩვენი და ნივთიერი ზღუდე გარშემოვუდგათ ჩვენსა ქვეყანას”<sup>3</sup>. (ხაზი ჩვენია მ.მ.)

“საქართველოს” კიდევ ერთი პუბლიცისტი მიხეილ ჯავახიშვილი კი წერდა: “ჩვენი წინაპრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ შეექმნათ საქართველოს ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები და ჩაეკეტათ კარებები და გზები მომავალი არტაანიდან, ახალქალაქიდან, ყაზაიდან, დარიალიდან და საინგილო-დაღესტნიდან, საქართველოს ტრაგედია მაშინ დაიწყო, როდესაც მტრებმა ეს კარებები შემოამტვრიეს და შემოსასვეი გზები გაიკაფეს”<sup>4</sup>.

მაშასადამე, ჩვენი შრომის მიზანი იყო: აგვესახა, თუ როგორ გააშუქეს გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტებმა საქართველოს რეგიონების – აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს ცხოვრება, კერძოდ ამ რეგიონების ისტორიული სამშობლოდან განცალკავების პროცესი. მიზნის მისაღწევად დავსახეთ შემდეგი ამოცანები:

- ა) ამ საკითხების შესახებ გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული პუბლიკაციების შეგროვება;
- ბ) სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით 1915-21 წლების აფხაზეთის, სამაჩაბლოსა და საინგილოს ისტორიული სინამდვილის შესწავლა;
- გ) მოპოვებული მასალების შინაარსობრივი ანალიზი და სისტემატიზაცია.

## **2. გაზეთ “საქართველოს” დაარსება (ფასი, პერიოდულობა, გავრცელების არეალი)**

**დაარსება.** საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მკვლევარი ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე გაზეთ “საქართველოს” დაარსების ინიციატორად ამ პარტიის ერთ-ერთ ლიდერს სპირიდონ კედიას ასახელებს<sup>5</sup>. მკვლევარს სპირიდონ კედიას პორტრეტი უხვი დოკუმენტური მასალის, მათ შორის საფრანგეთიდან ჩამოტანილი პირადი არქივის, საფუძველზე აქვს შესწავლილი. ამ მასალაზე

დაყრდნობით იკვეთება გაზეთ “საქართველოს” დაარსების ისტორიაც, რომელსაც ჩვენც დავყვრდებით<sup>6</sup>.

სპირიდონ კედია, რომელიც თავდაპირველად სოციალისტ-ფედერალისტთა პოლიტიკურ იდეალებს იზიარებდა და ამ პარტიასთან აქტიური თანამშრომლობის გამო საქართველოდან გაქცევაც მოუხდა, მოგვიანებით სრულიად გაემიჯნა სოციალიზმს. ევროპაში შეიდწლიანი ცხოვრებისა და საფრანგეთში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი საქართველოში 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ჩამოვიდა. სპირიდონ კედიას სურდა ისეთი პერიოდული ორგანოს დაარსება, რომელიც რომელიმე კლასს, ან სოციალურ ფენას კი არ მოემსახურებოდა, არამედ მთლიანად ქართველ ერს, აგრეთვე საქართველოში მცხოვრებ იმ არაეთნიკურ ქართველებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეას.

გაზეთის დაარსებისათვის მატერიალური მხარდაჭერის ძებნა მან ბაქოში არსებულ მძლავრ ქართულ კოლონიაში დაიწყო. “სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი მრეწველ-მეწარმენი ძმები ზუბალაშვილები, აკაკი ხოშტარია, იოსებ დადიანი, თ.ჯაყელი და სხვები. ისინი თავიანთ თანამემამულეებთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ საქმიანობას. ამ ქალაქში 1909 წლიდან მოქმედებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, გახსნილი იყო ქართული სკოლები, ბიბლიოთეკა, ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი და სხვ. ამასთან მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ბაქოში ჯერ კიდევ 1908 წელს შეიქმნა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია “საქართველოს ნაციონალური პარტიის სახელწოდებით”. ორგანიზაციის საპროგრამო მოთხოვნებს საქართველოს ფართო ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია, ქართული ეკლესიის ავტიკეფალია, დემოკრატიული წეს-წყობილების დამყარება და სხვ. შეადგენდა”<sup>7</sup>.

გაზეთის დაარსების შესახებ სპირიდონ კედიას ინიციატივას ბაქოში მცხოვრები ქართველები მოწონებით შეხვდნენ და მას ფინანსური დახმარებაც გაუწიეს. როგორც ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე აცხადებს, “ეს თანხა უმთავრესად სტამბის შექმნას მოხმარდა”.

“თბილისში იმ დროისთვის გამოდიოდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალი “კლდე”. იგი ყოველკვირეული გამოცემა იყო 700-750-იანი ტირაჟით და თავისი არსებობის სამი წლის მანძილზე უკვე მოესწრო გაეტეხა “უიმედობით დაბურული ცხოვრების ტყე”. ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყო



ეროვნულ მოღვაწეთა მტკიცე ჯგუფი რევაზ გაბაშვილის, შალვა ამირეჯიბის, შალვა ქარუმიძის, დავით კასრაძის, დავით ვაჩნაძის, დიმიტრი ჯავახიშვილის, ალექსანდრე ფრონელის (ყიფშიძე) და სხვ. შემადგენლობით. სპ. კედიამ ახლა ამ ჯგუფის წევრებს მიმართა. მიღწეულ იქნა შეთანხმება, “კლდის” ბაზაზე დაეფუძნებინათ ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ჟურნალთან შედარებით უკეთ მოახერხებდა იმავე მიზნების სამსახურს და “ქართული ეროვნული მომავლისკენ გაჭრილ ბილიკს” კიდევ უფრო გააფართოვებდა.

გაზეთის დაარსებისათვის სახსრების მოძიება საქართველოშიც გაგრძელდა. ქუთაისის არქიმანდრიტმა ნაზარიმ ამ საქმისათვის 800 მანეთი გამოგზავნა, ხოლო თბილისის (ქართლ-კახეთის) გუბერნიის თავადაზნაურთა მარშალმა დიმიტრი ჩოლოყაშვილმა 5000 მანეთი გაიღო. ახალი გაზეთის დამფუძნებლებს მატერიალური დახმარება გაუწიეს აგრეთვე თბილისში თევზეულით მოვაჭრე ძმებმა ძეგველაშვილებმა და სხვა კერძო პირებმა”<sup>8</sup>. გაზეთ “საქართველოს” პირველი ნომერი 1915 წელს ჟურნალ “კლდის” დახურვიდან (17 მაისი) ერთ კვირაში, ანუ 24 მაისს გამოვიდა.

ასე დაარსდა ყოველდღიური გაზეთი “საქართველო”. 1915-16 წლებში მას ყოველკვირეული სურათებიანი დამატებაც ჰქონდა, რომლის გამოცემაც 1917 წლიდან შეწყდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა ერთგვარ გამონაკლისს, რადგან მისი ბეჭდური გამოცემა დაარსდა მანამდე, ვიდრე ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი პარტიად ჩამოყალიბდებოდა (1917 წლის მარტი). სხვა პარტიების შემთხვევაში კი პირიქით იყო – ბეჭდური გამოცემების დაარსებამდე ფუძნდებოდა პოლიტიკური პარტიები<sup>9</sup>.

მკვეთრად გამოხატული პოლიტიკური პოზიციის მიუხედავად, გაზეთი “საქართველო” ვიწროპარტიული გამოცემა არ ყოფილა. იგი იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული ორგანო, რომელიც აშუქებდა საქართველოს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს. მის ხარისხს განსაზღვრავდა პირთა წრე, რომლებიც რედაქციასთან თანამშრომლობდნენ. ჟურნალ “კლდის” ჯგუფის გარდა გაზეთმა შემოიკრიბა ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები, მწერლები, პუბლიცისტები, პოეტები, რომელთა შორის აღსანიშნავია შიო არაგვისპირელი, შალვა დადინი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე, სანდრო ახმეტელი, რაფიელ ინგილო/ივანიცკი, დავით ჩიქოვანი და სხვები. რედაქციამ ბინა დაიღო მოსკოვის ქუჩაზე მდებარე ეკატერინე

გაბაშვილის სახლში, რომლის სამი ოთახი მწერალმა ქალმა უფასოდ დაუთმო გაზეთის გამომცემლებს”<sup>10</sup>.

**ფასი** – გაზეთის ფასი თავდაპირველად 5 კაპიკს შეადგენდა. თუმცა, პირველი მსოფლიო ომის დროს შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო “საქართველოს” ფასი მუდმივად იზრდებოდა.

ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ. 1918 წლის აგვისტოდან “საქართველოს” ნომრის ფასი გახდა 50 კაპიკი ჯიხურებში და 60 კაპიკი რკინიგზის სადგურებზე. ფინანსური სიღუბის გამო შეიქმნა გაზეთ “საქართველოს” ფონდი, გაზეთი მკითხველს მოუწოდებდა ფულადი შემოწირულობებით გადაერჩინათ გამოცემა. (იხ: “საქართველო”; 1918წ; № 234). 1921 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობის ბოლო დღეებში გაზეთის ნომერი უკვე 25 მანეთი ღირდა.

**გავრცელების არეალი.** გავრცელების არეალის შესახებ, თვით “საქართველოს” მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დავეყრდენით. სარეკლამო განცხადების მიხედვით, თბილისის გარდა გაზეთი ვრცელდებოდა “ქუთაისში, ბათუმში, სიღნაღში, თელავში, გორში, ლაგოდეხში, ქვემო ქიზიყში, ზუგდიდში, კახში, მაჩხაანში, ხაშურში, ჭკადუაში, დუშეთში, ფშავში, შილდაში, ენისელში. მოსკოვსა და ბაქოში”<sup>11</sup>.

### **3. რედაქტორები/პერიოდულობა**

**რედაქტორები.** ექვსწლიანი არსებობის განმავლობაში გაზეთმა 4 რედაქტორი გამოიცვლა. რედაქტორთა ცვლა უკავშირდებოდა პარტიულ განხეთქილებას. პარტიაში ყოველი განხეთქილების შემდეგ გაზეთი “საქართველოც” იცვლიდა ხელმძღვანელს.

**პირველი რედაქტორი** იყო ქართველი პოეტი და დრამატურგი ალექსანდრე/სანდრო შანშიაშვილი იგი გაზეთს 1915 წლის 24 მაისიდან 1917 წლის 12 აპრილამდე ხელმძღვანელობდა.

**მეორე რედაქტორი** იყო ცნობილი პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი გრიგოლ ვეშაპელი (ვეშაპიძე), რომელიც რედაქტორის პოსტზე 1917 წლის აპრილიდან 1918 წლის 15 აგვისტომდე მუშაობდა.

**მესამე რედაქტორი** იყო ცნობილი ლიტერატორი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი და მთარგმნელი გერონტი ქიქოძე. მან გაზეთ “საქართველოში” 1915 წლის 15 აგვისტოდან 1919 წლის 18 მაისამდე დაჰყო.

**უცნობი პერიოდი, ვინ იყო რედაქტორი 1919 წლის № 133-დან 1920 წლის იანვრამდე?** 1919 წლის 18 მაისს “საქართველოს” რიგით მესამე რედაქტორმა გერონტი ქიქოძემ დატოვა როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ასევე გაზეთ “საქართველოს” რედაქტორის პოსტი. 1919 წლის ნომრები საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიისა და პერიოდიკის განყოფილებებში არ აქვთ. ხოლო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდში, ე.წ. დაცულ (F) ფონდში შენახული კოლექციიდან 1919 წლის “საქართველოს” ნომრები № 133-ის შემდეგ აღარ არის. ჩვენთვის უცნობია 1919 წლის №133 შემდეგ გამოვიდა, თუ არა გაზეთის შემდეგი ნომრები.

აქ ორი საგარეულო ვერსიაა: ან გაზეთი გამოდიოდა, მაგრამ საჯარო ბიბლიოთეკაში არ არის შემონახული მისი ნომრები, ანდა 1919 წლის 133-ე ნომრის შემდეგ 1920 წლის იანვრამდე გაზეთი არ გამოსულა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ მოკლებულნი ვართ შესაძლებლობას დავადგინოთ, თუ ვინ ხელმძღვანელობდა გაზეთის რედაქციას ამ პერიოდში, ანუ 1919 წლის მაისიდან დეკემბრის ჩათვლით.

**თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის” მიერ შექმნილი სარედაქციო კოლეგია –** 1920 წლის იანვრიდან 9 აპრილამდე (ან შეიძლება 15 აპრილამდე) “საქართველოს” გამოსცემდა “თბილისის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტის” მიერ შექმნილი სარედაქციო კოლეგია. ამის შესახებ განცხადება გამოქვეყნდა “საქართველოს” 1920 წლის № 17-ში (გვ: 4). სწორედ ამიტომ ამ პერიოდის გაზეთი “საქართველო” არის მხოლოდ ახალი ამბების, მცირე საინფორმაციო შენიშვნების გაზეთი. ახალი ამბების შინაარსიც ძირითადად შედგენილია სავაჭრო-სამრეწველო თემატიკის პრიორიტეტით.

აბრეშუმი, მარგანეცი, თამბაქო და სხვა სამრეწველო სიახლე ჭარბობს პოლიტიკურ, თუ ნებისმიერ სხვა სახის ახალ ამბავს. მეტიც, მე-4 გვერდი მთლიანად დაეთმო “სავაჭრო სამრეწველო პალატის” ბიულეტენებს, ე.წ. ნუსხებს პროდუქციის ფასის შესახებ. გაზეთის მე-4 გვერდი იქცა ცალკე გამოცემად, მიენიჭა ცალკე ნუმერაცია და დაერქვა “ვაჭრობა და მრეწველობა”. ჩვენი შეფასებით, ეს ოთხი თვე 1920 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით გაზეთ “საქართველოს” დაცემის ეტაპია, გამოცემა მკითხველთა ფართო წრეს, ჩვენი აზრით, ვერ დააინტერესებდა.

**მეოთხე რედაქტორი** იყო სპირიდონ კელია, რომელიც გამოცემას 1920 წლის აგვისოტდან დახურვამდე, ანუ 1921 წლის 23 თებერვლამდე უძღვებოდა.

“კელიასათვის, ცხადია, ძნელი იყო ერთდროულად პარტიის თავმჯდომარეობა, დამფუძნებელ კრებაში მოღვაწეობა და ყოველდღიური ორგანოს რედაქტორობა, მაგრამ იგი თავდაუზოგავად მუშაობდა და ყველაფერს ასწრებდა”<sup>12</sup>.

**პერიოდულობა.** 1915-16 წლებში გაზეთი “საქართველო” ყოველდღიურად გამოდიოდა. კვირა დღეს გამოდიოდა გაზეთის ჩვეულებრივი ნომერი და საკვირაო დამატება, რომელსაც უფრო ლიტერატურულ-შემეცნებითი ხასიათი ჰქონდა და მრავალფეროვანი ილუსტრაციებით გამოირჩეოდა.

1917 წლიდან საკვირაო დამატებამ გამოსვლა შეწყვიტა. გარდა ამისა, რედაქციამ კვირა დღე დასვენების დღედ გამოჰყო და ამიტომ ორშაბათს “საქართველო” არ გამოდიოდა. ამრიგად, 1917 წლიდან გაზეთ “საქართველოს” პერიოდულობა განისაზღვრა კვირაში 6 ნომრის (ორშაბათის გარდა) გამოცემით.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო გაზეთმა “საქართველომ” რამდენჯერმე შეწყვიტა გამოსვლა. **პირველად** 1918 წლის 1 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე (ამის გამო რედაქციამ მკითხველს ბოდიშიც მოუხადა. იხ: “საქართველო”; № 176); ხოლო **მეორედ** – 1920 წელს. კერძოდ, 1920 წლის მაისში, ივნისსა და ივლისში გაზეთი არ გამოსულა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გაზეთს შეიძლებოდა ჰქონოდა წყვეტის კიდევ ერთი ეტაპი, კერძოდ 1919 წლის მაისიდან (№133-დან) დეკემბრის ჩათვლით. თუმცა, ამის თაობაზე დადსტურებული პასუხი ჩვენ არ გაგვაჩნია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ 1918 წლის სექტემბერში გაზეთის გამოცემის პირველი წყვეტის მიზეზი ფინანსურის გარდა საკადრო პრობლემებიც უნდა ყოფილიყო. 1918 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში შექმნილი დაპირისპირების გამო პარტიიდან გარიცხეს მიხეილ მანაბელი და დათა ვანნაძე. ეს ორი წევრი საქართველოს პარლამენტში ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები იყვნენ და, ასევე პარტიის კომიტეტის შემადგენლობაშიც შედიოდნენ. გარიცხვის შემდეგ მათ მიემხრნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრები – რევაზ გაბაშვილი, ვასილ წერეთელი, შალვა ქარუმიძე, ივანე ელიაშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი და გაზეთ “საქართველოს” რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.<sup>13</sup>

გაზეთ “საქართველოს” რედაქტორმა გრ. ვეშაპელმა დატოვა გამოცემა. გაზეთის გამოცემა შეაჩერა მისმა და ჯერ კიდევ ჟურნალ “კლდეში” მომუშავე კადრების – რევაზ გაბაშვილი, დიმიტრი ჯავახიშვილი და დათა ვანნაძე –

წასვლამ. დათა ვაჩნაძე ჟურნალ “კლდის” დამფუძნებელი და ფინანსური მხარდამჭერი იყო. თუმცა, კრიზისი ორ-სამ კვირაში მოაგვარა “საქართველოში” დარჩენილმა თანამშრომელთა ჯგუფმა. გაზეთი “საქართველო” მხოლოდ სამი კვირა არ გამოდიოდა.

გაზეთის რედაქტორებისა და შეფერხებების შესახებ ინფორმაციას თავი მოუყარეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

**ცხრილი 1**

**გაზეთი “საქართველო”**  
 1915 წლის 24 მაისი  
 1921 წლის 23 თებერვალი

<b>პერიოდი</b>	<b>რედაქტორი</b>
1915 წლის 24.05    1917 წლის 12. 04	ალექსანდრე/ სანდრო შანშიაშვილი
1917 წლის 12. 04    1918 წლის 15.08	გრიგოლ ვეშაპელი/ვეშაპიძე
1918 წლის 15.08    1919 წლის 18.05	გერონტი ქიქოძე
(1918წლის 1.09- 24.09 გაზეთი არ გამოდის)	
1919 წლის 18.05 -1919 წლის 12.	არ ვიცი, გამოდის თუ არა გაზეთი, ან – ვინ ხელმძღვანელობდა რედაქციას.
1920 წლის 01 – 04	“თბილისის ვაჭარ-მრეწველთა პალატის” სარედაქციო კოლეგია.
1920 წლის 04-07	გაზეთი არ გამოდის.
1920 წლის 08    1921 წლის 23.02	სპირიდონ კეღია

**4. გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტები**

**ცნობილი პუბლიცისტები.** გაზეთ “საქართველოში” გამოჩენილი

ქართველი მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები და სხვადასხვა სფეროს საზოგადო მოღვაწეები თანამშრომლობდნენ. მათ შორის აღსანიშნავია მწერლები – მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც მ. ადამაშვილის ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს, გრიგოლ რობაქიძე (გივი გოლდენდ), ვასილ ბარნოვი; პოეტები – ტიცვიან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ლეონიძე. ცისფერყანწელი პოეტი ლელი ჯაფარიძე ამ გამოცემაში ჟურნალისტად მოგვევლინა. იგი 1918-1919 წლებში უძღვებოდა რუბრიკას “საქართველოს პარლამენტში”, რომელშიც მოთავსებული

იყო საქართველოს პარლამენტის, შემდგომში დამფუძნებელი კრების მუშაობის ამსახველი ანგარიშები.

გაზეთ “საქართველოში” მუშაობდნენ ცნობილი ქართველი ჟურნალისტები და პუბლიცისტები: – დავით კასრაძე, შალვა ამირეჯიბი, შალვა ქარუმიძე, დათა ვაჩნაძე, გიორგი გაბაშვილი, გიორგი გვაზავა, ზაქარია ედილი, ნიკო თავდგირიძე, რაფიელ ინგილო/ივანიცკი, მოსე ჯანაშვილი, ილია ჭყონია, აპოლონ წულაძე და სხვა მრავალი საინტერესო სახე, რომელთა ჟურნალისტური მოღვაწეობის შესწავლა ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

ბუნებრივია, საქართველოს რედაქტორები, განსაკუთრებით – გრიგოლ ვეშაპელი, გერონტი ქიქოძე და სპირიდონ კედია – გვევლინებიან არაერთი მნიშვნელოვანი სარედაქციო წერილის ავტორებად. ამ წერილებიდან მრავალი სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს მიეძღვნა.

**აფხაზეთზე** ყველაზე უფრო ხშირად წერდნენ ნიკო თავდგირიძე და ზაქარია ედილი. თუმცა, ძალზედ საინტერესო სტატია დაბა ილორსა და ილორის წმინდა გიორგის ეკლესიაზე “ამ-ბერ”-ის ფსევდონიმით გამოაქვეყნა არქიმანდრიტმა (შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ) ამბროსი ხელაია<sup>14</sup>; აგრეთვე, აღსანიშნავია გრიგოლ ვეშაპელის სარედაქციო სტატია “აფხაზეთისათვის”<sup>15</sup> და გრიგოლ რობაქიძის (ფსევდონიმით – გივ გილენდ) რამდენიმე ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი.

**სამაჩაბლოზე** გამოქვეყნებულ წერილებში აღსანიშნავია შალვა ამირეჯიბისა და გერონტი ქიქოძის პუბლიკაციები, ასევე, 1918 წლის გაზეთ “საქართველოს” 203-ე და 207-ე ნომრებში საყურადღებო სტატია “საქართველოს ოსები (მგზავრის შთაბეჭდილებანი)” გამოაქვეყნა ზ. ედილმა. საინტერესო სამოგზაური ნარკვევი “მოგზაურის რამე-რუმე”<sup>16</sup> ეკუთვნის ჟურნალისტს (ძირითადი პროფესიით აგრონომს) აპოლონ წულაძეს\*. აღსანიშნავია, ასევე, ლელი ჯაფარიძისა და დავით კასრაძის თითო-თითო სტატია საჩხერეში ოსთა მიერ მოწყობილ რიგით მეორე აჯანყებაზე.

**საინგილოს** პრობლემებს ყველაზე უფრო ხშირად აშუქებდა ორი გამოჩენილი ინგილო – რაფიელ ინგილო (ივანიცკი) და მოსე ჯანაშვილი, ასევე ჟურნალისტი – ილია ჭყონია. საინგილოს შესახებ არერთი საინტერესო წერილი ეკუთვნის ზაქარია ედილს. ცალკე აღნიშნავს იმსახურებს სპირიდონ კედიას

---

\* აპოლონ წულაძე გაზეთ “საქართველოში” ინტენსიურად აშუქებდა აჭარისა და აჭარლების ყოფაცხოვრებას.

სარედაქციო სტატია, რომელიც საინგილოში ქართული წერა-კითხვის გავრცელების პრობლემას ეხება<sup>17</sup>.

ზემოთხამოთვლილ გვარებს შორის ზაქარია ედილი ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენს, რადგან იგი სხვებზე უფრო ინტენსიურად აშუქებდა სამივე რეგიონის პრობლემებს. ამასთან, ყველაზე უფრო ხშირად საინგილოზე წერდა, არაერთი წერილი მიუძღვნა აფხაზეთს, ხოლო სამაჩაბლოს შესახებ ერთი, მაგრამ ძალიან საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა. რადგან ზ. ედილის პუბლიკაციებს ჩვენი შრომის ყველა თავში შევხვდებით, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მის შესახებ.

“ზაქარია ედილაშვილის წერილები, რომლებიც გაზეთ “საქართველოში” ქვეყნდებოდა 1915-20 წლებში საინტერესოა ბევრი რამით, მათი შესწავლით ისტორიკოსი მკვლევარი უტყუარ დოკუმენტებს მოიპოვებს არამარტო იმდროინდელი საინგილოსა და შიდა ქართლის ცხოვრებიდან, არამედ რუსეთის მთელი ბატონობის პერიოდში ამ კუთხეებისა მიერ გადატანილ ტრაგედიას გვამცნობს და გვაგრძნობინებს”<sup>18</sup>, ასე ახასიათებს ზ. ედილს ისტორიკოსი დოდო ჭუმბურიძე წიგნში – ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა.

ზაქარია ედილი შიდა ქართლში (სოფ. ბრეთა, ქარელის რაიონი) დაიბადა. იგი იყო დავით სარაჯიშვილის სტიპენდიანტი და სწორედ მისი წყალობით უმაღლესი ვეტერინარული განათლება ესტონეთის ქ. ტარტუს უნივერსიტეტში მიიღო. შიდა ქართლში დაბადებული და გაზრდილი ედილი ბედმა სამუშაოდ საინგილოს სოფელ კახში გადაისროლა, სადაც იგი ოჯახთან ერთად 10 წელი ცხოვრობდა და ეს კუთხე ისე შეიყვარა, როგორც – საკუთარი. აღსანიშნავია, რომ მას იმავე სიყვარულით პასუხობდნენ ინგილოები, რაც ჩანს კიდევ საინგილოს შესახებ გამოქვეყნებულ მის პუბლიკაციებში.

1916 წელს იგი პირველი მსოფლიო ომის ერთ-ერთ ფრონტზე შავი ზღვის სანაპირო რეინიგზის მშენებლობაზე გაიწვიეს, სადაც პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე დარჩა. სწორედ აქედან გაიცნო და შეიყვარა მან აფხაზეთი, რომლის შესახებ არაერთი საინტერესო მასალა გამოაქვეყნა გაზეთ “საქართველოში”.

აღსანიშნავია, რომ ედილი იმ იშვიათ პუბლიცისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ეთნიკურ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტის გაშუქებისას დამნაშავეებს არ ეძებენ; და თუ ასეთი რამის

აუცილებლობა შეიქმნა, ყოველთვის ეროვნული უმრავლესობის პასუხისმგებლობით იწყებენ კონფლიქტის გაშუქებას.

მაგალითად, როდესაც აფხაზებმა აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია მოითხოვეს, ედილმა მიანიშნა, რომ ისინი არავის დაუპატიჟნია 1917 წლის მარტში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ღონისძიებაზე, რომ სამურზაყანოს მართლმადიდებლურმა სამრევლოებმა ისე მიიღეს საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან შეერთების შესახებ გადაწყვეტილება, რომ ამის შესახებ აფხაზებს არც კი აცნობეს. “ყველა ეს სწყინთ აფხაზებს”, წერდა ედილი.

გარდა ამისა, ედილი თავის სტატიებში (მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გამოქვეყნებულია ქვესათაურით – “მგზავრის შთაბეჭდილებანი”) ხშირად აქვეყნებდა დიალოგებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. მაგალითად, ერთ-ერთ მოხუც აფხაზთან საუბრის შინაარსი ზ. ედილმა ასე გადმოგვცა:

“– ქართველებმა ვერ დაიმსახურეთ ჩვენი სიყვარული

– რომელმა ქართველებმა, მეთქი, გაკვირვებით შევეკითხე მე,

– ჩვენში ბევრი ქართველები მსახურობდნენ ოლქის უფროსად, გინდა ბოქაულად, თუ სხვა რამ მოხელედ და აი იმ ვაჟბატონებმა არამცთუ დაიმსახურეს ჩვენი სიყვარული, არამედ თავი მოგვაძულესო<sup>19</sup>”.

ზაქარია ედილმა მოხუც აფხაზს აუხსნა, რომ ჩინოვნიკი ქართველები საქართველოს არცერთ კუთხეში არ უყვარდათ. “ჩინოვნიკი ქართველი, თუ მუდამ რუსის მთავრობის წარბეჭეშ მაცქერალი არ იყო და ყველა მის განკარგულებას ზედმიწევნით არ ასრულებდა და ხალხისკენ იხრებოდა მისი სასწორი, მაშინ უდღეური იქნებოდა მისი სამსახური, ამიტომ მაგისტანა მოვლენამ არ უნდა იმოქმედოს თქვენზე, აფხაზებზე-მეთქი, ვუთხარი მე.

– არა, არა, თქვენ ქართველები, მაგასაც რომ თავი გაგანებოთ, როცა ჩვენ ოსმალეთთან ერთად თავისუფლებისათვის ვებრძოდით რუსეთს, მაშინ თქვენ ზურგში ხმაღს გვიშენდით. ეს რაღა იყო, დაგავიწყდათ, განა?

ლაპარაკმა ცხარე ხასიათი მიიღო და აშკარად ემჩნოდა, რომ აფხაზები უკმაყოფილონი იყვნენ ქართველებით და განსაკუთრებით მეგრელებით, რომელთაც იმ ბრალს სდებდნენ, რომ მიწა-წყალი მთლათ იმათ დაიჭირესო<sup>20</sup>”, წერდა ზაქარია ედილი (ხაზი ჩვენია) .



სხვაგან აფხაზეთის “ტურფა მიწა-წყლის” დამპყრობლებს შორის რუსებს, ბერძნებს, სომხებსა და ებრაელების გარდა მეგრელებს და იმერლებსაც ასახელებს. “ყველა, ვისაც მოსვლა არ დახარებია, აქ მოსულა და დასახლებულა, რუსი, ბოლგარიელი, ალბანელი, ესტონელი, უკრაინელი, გერმანელი, **იმერელი და უმეტესად მეგრელი** ყველა ესენი შემოჰკედლებიან აფხაზეთს და მისი ტურფა ველ-მინდორი ჩაუგდიათ ხელში”<sup>21</sup> (ხაზი ჩვენია).

ჩვენი დაკვირვებით, ზ. ედილის ზოგიერთი თვალსაზრისი, ეროვნულ-დემოკრატთა მსოფმხედველობასთან თანხვედრაში არ არის. მაგალითისთვის ორ ფაქტს მოვიყვანო – მან მეგრელები აფხაზეთის მიწის დამპყრობლებად წარმოაჩინა; სხვაგან – აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას მიესალმა და მათ ამ საქმეში წარმატება უსურვა კიდევ. (იხ: “ავტოკეფალიის საკითხი აფხაზეთში”; “საქართველო”; 1917წ; №128; გვ: 4.) ამრიგად, ზ. ედილის სახეს ჩვენს შრომაში შედარებით დიდი ადგილი დავუთმეთ, რადგან ამ პუბლიცისტს ჩვენ სადისერტაციო კვლევის ყველა თავში შეხვდებით.

არანაკლებ საინტერესოა ნიკო თავდგირიძის, რაფიელ ინგილოს, მოსე ჯანაშიელის, შალვა ამირეჯიბის, დ.კასრაძის, აპოლონ წულაძის, აგრეთვე გაზეთის რედაქტორების – გრიგოლ ვეშაპელის, გერონტი ქიქოძის, სპირიდონ კედიას – სახეები. თუმცა, თითოეული მათგანის დახასიათება ძალიან შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ მათი პუბლიკაციების ანალიზით შემოვიფარგლეთ.

**უცნობი გვარები.** დისერტაციაზე მუშაობისას შეგვხვდა არაერთი ნაკლებად ცნობილი გვარი, რომლებიც შრომაში იმ მიზნით მოგვაყავს, რომ სამომავლოდ შეიძლება მათი ვინაობის შესახებ რომელიმე მკვლევარმა საგულისხმო ინფორმაცია შეკრიბოს.

## ცხრილი 2

აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა და საინგილოზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების უცნობი ავტორები

აფხაზეთი	
ილარიონ სოჭაგა	“ილორის სკოლა”; 1916წ; № 220; გვ: 3. სამაჩაბლო
ა. ლევანიშვილი	ჩვენი კორესპონდენტები; დ. ცხინვალი; 1920წ; № 150; გვ.4.
იასონ ჯავახიშვილი	“გაგრის კარი”. იხ; “საქართველო”; 1919წ; №133; გვ: 1-2
ი.ჯავახი (ჩვენი აზრით იასონ ჯავახიშვილია)	“სოჭის ასპარეზიდან”; 1919წ.; №237; გვ. 4
ჯავახი (ჩვენი აზრით იასონ ჯავახიშვილია)	კორესპონდენციები; სოხუმი; 1920წ; № 4; გვ.4.
ა.ღ. (ჩვენი აზრით, ა.ლევანიშვილი)	“დიდი ლიახვის ხეობა (მოწერილი ამბავი)”; 1919წ.; 10; გვ.4. “ჩვენი კორესპონდენტები ცხინვალი”; 1920წ; № 104; გვ.4. “ჩვენი კორესპონდენტები; ცხინვალი”; 1920წ; № 108; გვ.4. “ჩვენი კორესპონდენტები; ცხინვალი”; 1920წ; № 110; გვ.4. “ჩვენი კორესპონდენტები; ცხინვალი”; 1920წ; № 164; გვ.4. “ჯავის ხეობა”; 1921წელი; № 5; გვ 4.
ა-ღ (ჩვენი აზრით, ა.ლევანიშვილი)	“მთა ოსეთის სამილიციო რაიონი”; 1919წ; №60; გვ: 2.
ა.ოკროშიძე აღმაჩაბელი	“წმ. აბოს დღესასწაულის გამო”; 1917წ; №44; გვ: 4. “მამული სამაჩაბლო”; 1917 წელი, №94, გვ.4
დ. საძაგლიშვილი ვასილ თედეშვილი	“დაბა ცხინვალი”; 1921 წელი; № 6; გვ 4. “კორესპონდენცია ქვემო ნიქოზიდან” 1917 წელი, №179, გვ.4 ჯავისხეობა; 1915 წელი; № 54; გვ 6.
აგ. აბესაძე	“საქართველოს შინაური მდგომარეობა რუსეთთან შეერთების დროს”; 1917წ; გვ: 2.
საინგილო	
გ. ათანელაშვილი განდრიაშვილი	“კორესპონდენცია საინგილოდან”; 1917წ; №202; გვ: 4 “კორესპონდენცია, მაჰმადიანთა მუფტი კახში”; 1917წ; №111; გვ: 4.
ა. მაჩაბელი	“ალაზნის გაღმა მხარე, ზაქათალას ოლქი”; 1918წ; №164, 165, 166, 167; გვ: 4.
გრ.ჟღენტი	“კორესპონდენცია, ზაქათალა”, 1917წ; №100; გვ: 4. “კორესპონდენცია ქალის გაყიდვის ჩვეულება საინგილოში”; 1917წ; №122; გვ: 4
არჩილ ყულაშვილი ბართლომე ხუციშვილი	“წერილი საინგილოდან”; 1915წ; №65; გვ: 3. “სოფ.კახი”; 1915წ; №129; გვ: 2.

**ფსევდონიმები.** ბუნებრივია, გაზეთზე მუშაობისას არაერთი ფსევდონიმი შეგვხვდა, მათი უმეტესობა გაუშიფრავია. ჩვენ ეს ფსევდონიმებიც რეგიონებზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით დავაღაგეთ. რამდენიმე მათგანის

გამოცნობა პუბლიცისტის სახელთან და გვართან სიახლოვის გამო, ძალიან მარტივი გამოდგა. ამდენად, გთავაზობთ ჩვენ ვარაუდებსაც, რომელიც დიდი ალბათობით სწორი გეგონია.

### აფსაზეთი

ფსევდონიმები: გლეხიშვილი; კაი; ჯუანშერ; ილორელი; ი-ლე-ბადათურელი; **ამ-ბერი**; ინ-რი; ჭახრაკი; გივი გოლლენდ; რიონელი; სალი; ირაკლი; ს. ფ. ; მეგობარი; გალიუს; **ი.ჯ. ; ჯავახი**.

ამ ფსევდონიმებიდან გაშიფრულია **ამ-ბერი** (ამბროსი ხელაია) და **გივი გოლლენდ** (გრიგოლ რობაქიძე). ჩვენი ვარაუდით ფსევდონიმები – **ი.ჯ.** და **ჯავახი** უნდა ეკუთვნოდეს იასონ ჯავახიშვილის, რომელმაც ფსევდონიმის გარეშე საკუთარი სახელით და გვართ გამოაქვეყნა სტატია “გაგრის კარი”. იხ: “საქართველო”; 1919წ; №133; გვ: 1-2.

### სამაჩაბლო

ფსევდონიმები: სოსო; გულშემატკივარი; სოლომონი; **legatus**; წიკელი; ხიონ; **ლიახველი**; ჩ. კ-ძე; მოკეთე; ობოლი; ვ. ლელიანი; გზათ ჩამვლელი; ნიკელი; ქართლელი ქალი; სიმართლე; ბაგრატ ბეთანელი; ვინმე თორელი; **აღ. მ-ლი**; დავ. გამრეკელი; მეთვალყურე; ი. ჯი-ლი; მეჯვრისხვეელი **ნ.კ.**; მოამბე; ცხინვალელი; **ა.ლ.**; **ა-ლ.**; ვეფხვი.

ამ ფსევდონიმებიდან გაშიფრულია ფსევდონიმი **ლიახველი**, რომელიც ეკუთვნის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონს (საძაგლიშვილს).

ჩვენი ვარაუდით, ფსევდონიმი **აღ. მ-ლი** შეიძლება ეკუთვნოდეს ალექსანდრე მაჩაბელს.

ფსევდონიმი **ნ.კ** შეიძლება ეკუთვნოდეს ნიკო კეცხოველს (შემდგომში ცნობილ ბოტანიკოსსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს), რომელიც გაზეთ საქართველოში დროდადრო ბეჭდავდა კორესპონდენციებს\*. განსაკუთრებით საინტერესოა მისი სამოგზაურო კორესპონდენციები მესხეთში (იხ: “საქართველო”..) ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ სტატია, რომელსაც ხელს **ნ.კ** აწერს, არის კორესპონდენცია სოფ ტყვიავიდან (იხ: “საქართველო”, 1917 წელი, №148, “კორესპონდენცია/სოფ. ტყვიავი”; გვ4). ტყვიავი კი, ნიკო კეცხოველის მშობლიური სოფელია.

---

\* მაგალითად, ნიკო კეცხოველმა 1917 წელს გაზეთ “საქართველოში” (№266; 267) გამოქვეყნა წერილების, სამოგზაურო ნარკვევების ციკლი “ერთი თვე მესხეთში”.

ფსევდონიმები **ა.ლ.** და **ა-ლ** შეიძლება ეკუთვნოდეს ალექსანდრე ლევანიშვილს, რომელმაც 1919 - 20 წლებში გაზეთ “საქართველოში” არაერთი კორესპონდენცია გამოაქვეყნა სამაჩაბლოზე.

### საინგილო

**ს.კ-ღია**; თომა მაღაროელი; **დ.კ.** ; მეთვალყურე; ნ-ანი; ქიზიყელი; ი. მარუშიძე; კეჭნელი; ს.დ.ს.

ამ ფსევდონიმებიდან **ს. კ-ღია** უდავოდ არის სპირიდონ კედიას ფსევდონიმი, ხოლო **დ.კ.** – დავით კასრაძის.

## **4. შრომის სტრუქტურა**

ჩვენი შრომა შესავლისა და დასკვნის გარდა შედგება სამი ძირითადი თავისაგან. პირველი თავში გაანალიზებულია აფხაზეთისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები, მეორეში – სამაჩაბლოსადმი, ხოლო მესამეში – საინგილოსადმი.

თავები პრობლემების მიხედვით დაყოფილია ქვეთავებად. რაოდენობის თვალსაზრისით ყველაზე ვრცელია აფხაზეთისადმი მიძღვნილი ნაწილი, რომელიც ოთხი თავისაგან შედგება. მათგან ყველაზე მოცულობითია თავი, რომელშიც ვცადეთ აფხაზეთში მიმდინარე სეპარატისტული მოძრაობის აღწერა.

სამაჩაბლოსადმი მიძღვნილი ნაწილი შედარებით მცირეა, კიდევ უფრო მცირე კი – საინგილოსადმი მიძღვნილი ნაწილია. ასეთი არათანაბარი გადანაწილება გამოიწვია რეგიონების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების განსხვავებულმა როდენობამ.

გაზეთ “საქართველოში” აფხაზეთისადმი მიძღვნილი პუბლიკაციები ჭარბობს. ამას თავისი ობიექტური მიზეზი აქვს: მხოლოდ 1918 წელს აფხაზეთში ბოლშევიკთა მიერ სამი შეიარაღებული თავდასხმა და პოლიტიკური გადატრიალების ორი მცდელობა განხორციელდა. გარდა ამისა, 1918 წლის ბოლოს და მთელი 1919 წლის განმავლობაში აფხაზეთი თეთრგვარდიელი გენერლის დენიკის მოხალისეთა არმიასა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებს შორის გამართული დაპირისპირების ასპარეზი იყო.

არანაკლებ დაძაბული იყო ეს პერიოდი სამაჩაბლოში. კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ამ რეგიონში ბოლშევიკთა ინსპირირებით სამი აჯანყება მოხდა. თუმცა, აფხაზეთისაგან განსხვავებით სამაჩაბლოში მხოლოდ ერთი გარეშე ძალა – ბოლშევიკური რუსეთი გეგმავდა პროვოკაციებს. აფხაზეთში კი, დაძაბულობას ერთმანეთის

მონაცვლეობით იწვევდა სამი გარეშე ძალა – თურქეთი, თეთრგვარდიული რუსეთი და ბოლშევიკური რუსეთი.

თავისი არსით სრულად განსხვავდება საინგილოს სიტუაცია. თუკი აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობაში არსებობდა სეპარატისტული განწყობა, საინგილოს ქართველებში ასეთი განწყობა ან არ არსებობდა, ანდა არსებობდა საკმაოდ სუსტად – ისიც გამაჰმადიანებულ (გალეკებულ) ინგილოებში. გარდა ამისა, საინგილო წარმოადგენდა ძალით დაპყრობილ და გამაჰმადიანებულ მხარეს, რომელსაც თუმც შემორჩენილი ჰქონდა ისტორიული სამშობლოს მესხიერება, მაგრამ არ შესწევდა ძალა, რომ ებრძოლა მასთან დაბრუნებისათვის.

გარდა ამისა, დისერტაციას ბოლოში დანართის სახით დავამატეთ ჩვენ მიერ აფხაზეთზე, სამაჩაბლოსა და საინგილოზე მოკრებილი პუბლიკაციების რეესტრი, ნუსხა. ეს ნუსხა ამომწურავი არ არის, რადგან გაზეთ “საქართველოს” კოლექცია, რომელიც საქართველოს პარალმენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება საკამოდ ნაკლებია. პუბლიკაციების ნუსხას თან ახლავს ჩამონათვალი იმ ნომრებისა, რომელიც საჯარო ბიბლიოთეკაში არ არის დაცული.

ჩვენი შრომის დანართი, რა თქმა უნდა, ვერ შეავსებს 1900-1921 წლების პერიოდული გამოცემების თემატური საძიებლების არარსებობით შექმნილ სიცარიელეს. თუმცა, ეს ნუსხა, იმედს ვიტოვებთ, გაუადვილებს შრომას მათ, ვინც აფხაზეთის, სამაჩაბლოს, საინგილოს საკითხებს სწავლობს და იმათაც, ვისაც XX საუკუნის დასაწყისის ქართული პრესა აინტერესებს.

# I აფხაზეთი

## 1. აფხაზეთი XX საუკუნის პირველ ოცწლეულში

### 1.1. ტერიტორია, მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური

**შემადგენლობა.** რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობამდე, ანუ 1917 წლის თებერვლამდე აფხაზეთი ოთხ საბოქაულოდ იყო დაყოფილი. გაზეთ “საქართველოს” მონაცემების თანახმად, რომელიც თავის მხრივ გაზეთ “პეტერბურგსკიე ვედმოსტის” ეყრდნობოდა, ქართული მოსახლეობის სიმრავლით გამოიწივდა სამურზაყანოს ოლქი, გუდაუთისა და კოდორის ოლქებში აფხაზეთი მოსახლეობის რაოდენობრივი უპირატესობა იგრძნობოდა; გუმისთის ოლქში კი, ბერძნები სჭარბობდნენ.<sup>22</sup>

1917 წლის დეკემბერში აფხაზეთს, ანუ, როგორც მაშინ უწოდებდნენ სოხუმის ოლქს, ამიერკავკასიის კომისარიატის დადგენილებით შეუერთდა გაგრისა და ბზიფის ოლქები, რომლებიც 1903 წლიდან მეფის რუსეთის გადაწყვეტილებით შავი ზღვის გუბერნიას ჰქონდა მიწერილი. როგორც ისტორიკოსი ოთარ ჯანელიძე წერს, “ამით აფხაზეთი ოფიციალურად იქნა აღიარებული საქართველო-ამიერკავკასიის ნაწილად”<sup>23</sup>. ამრიგად, 1917 წლისათვის აფხაზეთი შედგებოდა სამურზაყანოს, გუდაუთის, გუმისთის, კოდორის, ბზიფისა და გაგრის ოლქებისგან.

ეთნიკური თვალსაზრისით აფხაზეთი ერთ-ერთ ყველაზე მრავალფეროვან მხარეს წარმოადგენდა. მოგვიანებით გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტი ზაქარია ედილი, რომელმაც აფხაზეთში იმოგზაურა, დაწერს: “არა მგონია, რომელიმე კუთხე კავკასიისა ისე იყვეს ჭრელი, როგორც დღეს არის აფხაზეთი. ის წმინდა მოზაიკას წარმოადგენს ამ მხრივ, ყველა, ვისაც მოსვლა არ დაზარებია, აქ მოსულა და დასახლებულა, რუსი, ბოლგარიელი, ალბანელი, ესტონელი, უკრაინელი, გერმანელი...”<sup>24</sup> აფხაზეთის დამპყრობლად ზაქარია ედილიმა ქართველებიც, კერძოდ კი, იმერლები და მეგრელები დაასახელა. მისი თქმით, “ყველა ესენი შემოჰკედლებიან აფხაზეთს და მისი ტურფა ველ-მინდორი ჩაუგდიათ ხელში”.<sup>25</sup>

დღემდე აქტუალურია კითხვა, თუ რამდენი იყო მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზი და ქართველი მოსახლეობის რაოდენობა სოხუმის ოლქში. 1993 წელს მოსკოვში რუსი მეცნიერების ავტორობით გამოცემული წიგნის (Белая книга Абхазии) თანახმად, აფხაზეთში მე-19 საუკუნის ბოლოდან 1926 წლამდე აფხაზური მოსახლეობის რაოდენობა 58 ათასსა და 55 ათასს შორის მერყეობდა, ხოლო ეთნიკური ქართველები დაახლოებით 25 ათასიდან 67 ათასამდე გაიზარდნენ<sup>26</sup>. ამ მონაცემებს კატეგორიულად არ ეთანხმება ქართველი დემოგრაფი ანზორ თოთაძე<sup>27</sup>. მისი თქმით, რუსმა მეცნიერებმა 1886 და 1897 წლის საოჯახო სიების მონაცემები დაამახინჯეს, რადგან სამურზაყანოს\* ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის, რომელიც 30 ათასზე მეტ სულს შეადგენდა, მიაწერეს აფხაზი მოსახლეობის რაოდენობას. იგივე შეცდომა, უფრო სწორად მიზანმიმართული უზუსტობა იქნა დაშვებული 1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს, როდესაც სამურზაყანოს მოსახლეობა მიათვალეს ეთნიკურ აფხაზებს, რის შემდეგაც აფხაზთა ხელოვნურად გაზრდილმა რაოდენობამ შეადგინა 58 697, ხოლო ეთნიკური ქართველებისამ - 25 875<sup>28</sup>.

თუმცა, 1902 წელს რუსი ჩინოვნიკების მიერ შედგენილი ყოველწლიური ანგარიშების მოსახლეობის ეროვნული, სარწმუნოებრივი და წოდებრივი უწყისის თანახმად, რომლის მონაცემებიც ქართველ მეცნიერებს სანდოდ მიაჩნიათ, XX საუკუნის აფხაზეთში ცხოვრობდა 46,4 ათასი აფხაზი და 51,3 ათასი ქართველი<sup>29</sup>.

ამ საკითხთან დაკავშირებით ძალზედ საინტერესო სტატისტიკური მონაცემებია მოტანილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ნაშრომში “სტატიის გამო ხმა “სოხუმიდან”. ავტორი ეყრდნობა 1895-1905 წლებში აფხაზეთის ეპისკოპოსის არსენის მიერ რუსული სინოდის ობერპროკურორისათვის გაგზავნილი სტატისტიკურ ანგარიშს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ეპისკოპოსი არსენი ცნობილი ქართველთმოდულე საეკლესიო პირი იყო, ამდენად ეთნიკური ქართველების რაოდენობას განზრახ არ გაზრდიდა.

ამბროსი ხელაია წერდა: “მთელს სოხუმის მხარეში ეპ. რსენის სტატისტიკის თანახმად (იხ.სინოდის კანტორის აღნიშნული საქმე) სახლობს ორივე სქესის 78 109 სული. მათგან ქართველია (მეგრელი, ქართლელი, იმერელი,

---

\* ამჟამინდელი გალი, მდინარე დალიძგასა და მდინარე ენგურს შორის ტერიტორია.

გურული და სამურზაყანოელი) 45 353 სული, დანარჩენი აფხაზები 24 598, რუსები 2745; ბერძნები 4762; სომხები 638 და სხვა ეროვნებისა 1013 სული<sup>30</sup>.

ავტორი სხვა წყაროზე (Абхазия, соч Цхумели, С-ПБ, 1906, стр.16, прим. 18) დაყრდნობით აცხადებს, რომ 1906 წელს სოხუმის მხარეში ეთნიკური ქართველების რაოდენობა 53 829-ს შეადგენდა<sup>31</sup>. ამრიგად, ქართველი მეცნიერების შრომებზე, აგრეთვე სხვადასხვა არაქართული წყაროებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები შეადგენდნენ

საინტერესოა აფხაზეთის მოსახლეობის სარწმუნოებრივი აღმსარებლობაც. რელიგიათმცოდნის ნუგზარ პაპუაშვილის თქმით, “საქართველოს ერთიანი სამეფოს დაყოფის შემდეგ (1490-1495 წწ) აფხაზეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა განაპირა კუთხეებში, კანონიკური საეკლესიო წყობილება (ანუ, მართლმადიდებლობა მ.მ) შეირყა. მისი ადგილი უმეტესად არაკანონიკურმა რწმენა-წარმოდგენებმა, უფრო სწორად გაურკვეველმა რელიგიამ, ადგილობრივმა პაგანურმა (სოფლურმა) კულტმსახურებამ (წარმართობამ) დაიკავა; გავრცელდა ისლამიც. ასე რომ, ამ მხარეში (აფხაზეთში) ცარისტული რუსეთის კოლონიური რეჟიმის დამყარებამდე რელიგიური ქაოსი იყო<sup>32</sup>.

დემოგრაფ ანზორ თოთაძის კვლევის თანახმად, XX საუკუნის დასაწყისის აფხაზეთში მოსახლეობის 89,5 პროცენტი მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, 3,1 პროცენტი გრიგორიანელი, ხოლო 7 პროცენტი - მუსულმანი<sup>33</sup>.

1860 წელს რუსეთის წმინდა სინოდის წიადში შექმნილმა “კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენმა საზოგადოებამ” აფხაზეთის მოსახლეობის მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევა დაიწყო. ამ პროცესს შესაბამის თავში ვრცლად განვიხილავთ. აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწლს ფორმალურად ჰქონდა მიღებული. ამის შესახებ საინტერესო ფაქტი არის მოტანილი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი (ხელაის) ზემოთ ხსენებულ სტატიაში<sup>34</sup>. ავტორი აქ მკითხველს უამბობს, თუ როგორ მიიღო მღვდელმა კერესელიძემ აფხაზეთის ეისკოპოსისგან დავალება, რომ ერთ დღეში მოენთლა 14 აფხაზი, რადგან ეს ერთგვარი გეგმის შესასრულებლად იყო საჭირო.



## 1.2. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა

მკვლევარი დავით ჩიატაია აღნიშნავს: “XX საუკუნის დამდეგს აფხაზეთი წარმოადგენდა ეკონომიკურად ჩამორჩენილ აგრარულ მხარეს, სადაც სუსტად იყო განვითარებული, როგორც სოფლის მეურნეობა, ასევე მრეწველობა”<sup>35</sup>. გარდა ამისა, მკვლევარი აფხაზეთში ამ დროისათვის არსებულ კაპიტალისტურ ურთიერთობას ახასიათებს სამი ნიშნით: 1) მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული და თითქმის არ არსებობდა ფაბრიკა-ქარხნები; 2) კაპიტალიზმი სწრაფად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მეთამბაქეობაში; 3) თითქმის არ არსებობდა სამრეწველო პროლეტარიატი, სამაგიეროდ არსებობდნენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაქირავებული მუშები, რომელთა ეთნიკური შემადგენლობაც ჭრელი იყო<sup>36</sup>.

მსგავსად აღწერს აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას ისტორიკოსი მერი გაბედავაძე. მისი თქმით, “ახალი წარმოებითი ურთიერთობის ფორმირების პროცესში წამყვან როლს ასრულებდა ქართული მოსახლეობა, ასევე ჩამოსული ბერძნები და სომხები... აფხაზები ნელა ებმებოდნენ სასაქონლო-ფულად ურთიერთობებში. არ მისდევდნენ ვაჭრობას, დაქირავებულ შრომას, რადგან ეს სამარცხვინო საქმიანობად მიაჩნდათ”<sup>37</sup>.

ისტორიკოსი ჯემალ გამახარია თავის წიგნში “ქართულ აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან” იშველიებს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ექიმის, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ე.წ. ეროვნული ჯგუფის წარმომადგენლის ივანე გომართელის შეფასებებს, რომელიც მან 1905 წლის 19 ნოემბერს გაზეთ “ცნობის ფურცელში” გამოაქვეყნა სათაურით “აფხაზეთი მცხოვრებთა მოთხოვნები”<sup>38</sup>.

ივანე გომართელი წერს: “აფხაზები არც მეურნეობას მისდევენ, არც ხვნათესვას, არც ვაჭრობას, არც ხელოსნობას,” სამაგიეროდ აფხაზ გლეხს აქვს 30-60 დღიური და ზოგან მეტი მიწა. იგი “მოხდენილია, ტანადი, ღამაზი. მას უყვარს ცხენი, ქეიფი, ბუნება შრომა, მუშაობა კი - არა. მიწა იმდენი აქვს, რომ შეუძლია თვითონ არ იმუშაოს. მიწას აფხაზი იჯარით აძლევს ქართველს, ბერძენს, სომეხს... ნამდვილი მიწის მუშა აფხაზეთში მეგრელია. ყოველ მოძრაობისა და რევოლუციის დროს აფხაზსა და მეგრელს შორის იბადება უთანხმოება, რადგან პირველია მემამულე, მიწის პატრონი, მეორე კი მიწის მუშა. რევოლუციის ხანაში

მეგრელი აფხაზს მოსაგაღს ან არ აძლევს, ან - აძლევს ნაკლებს. სოციალისტური ქადაგება - მიწა მშრომელს, მიწის მუშასო, მეგრელებში ფეხს იკიდებს და აფხაზს აფრთხობს. აფხაზი შიშობს, ვაითუ მიწა მეგრელმა წამართვასო”<sup>39</sup>.

ჯემალ გამახარიას თქმით, აფხაზეთში თავად-აზნაურობას, როგორც წოდებას, უდიდესი გავლენა ჰქონდა ყველა სხვა წოდებაზე, მათ შორის გლეხობაზეც. აფხაზი გლეხობის ერთი ნაწილი ბოლომდე ერთგული დარჩა თავად-აზნაურობისა და სოციალური ბრძოლაზე უარი განაცხადა, ხოლო მეორე ნაწილი “გაბოლშევიკდა”. პირველი ნაწილი აფხაზ თავადაზნაურობასთან ერთად პროთურქულ ორიენტაციას დაადგა, ხოლო მეორე ნაწილი წითელ, ბოლშევიკურ რუსეთზე ამყარებდა იმედებს. “ერთი რამ უეჭველია, აფხაზეთში სოციალური კონფლიქტი ეროვნებათაშორის კონფლიქტად იქცა აქ არსებული სპეციფიკური ეკონომიკური ურთიერთობების გამო”, აღნიშნავს ჯემალ გამახარია<sup>40</sup>.

აფხაზურ-ქართული დაპირისპირების სოციალურ ნიადაგი გახეთ “საქართველოს” პუბლიცისტებმაც შენიშნეს. ამ თემას რედაქციამ არერთი პუბლიკაცია მიუძღვნა, რომლებსაც ქვემოთ აფხაზურ-ქართული დაპირისპირებისადმი მიძღვნილ ქვეთავში განვიხილავთ. მანამდე კი საილუსტრაციოდ მოვიტანთ 1919 წელს აფხაზეთის სახალხო საბჭოში არჩეულ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთადერთი წარმომადგენლის ნიკო თავდგირიძის თვალსაზრისს. ნიკო თავდგირიძე ქართველებს (ძირითადად მეგრულ გლეხებს) ადანაშაულებდა იმაში, რომ სოციალისტური ღირებულებების გაზიარების გამო აფხაზებთან ურთიერთობა გაიფუჭეს. სომხებშიც არიან სოციალისტურად განწყობილი ჯგუფები, მაგრამ სომეხ გლეხს აზრადაც არ მოუვა აფხაზ მემამულეს, რომლის მიწასაც იგი იჯარით ამუშავებს, სოციალისტური ღირებულებები თავს მოახვიოს და ამის გამო იჯარის ფული არ გადაუხადოს, ან მიწის წართმევით დაემუქროსო. “ჩვენ მჯიღით და დამუქრებით ვაშინებთ ყველას და ამიტომ ერთგულ მეგობრებსაც ვკარგავთ. ჩვენი მეტოქეები კი ცხოვრებრივი, გონიერის საშუალებით მოქმედობენ და კიდევ იმარჯვებენ”<sup>41</sup>, წერდა იგი.

### 1.3. პოლიტიკური სიტუაცია.

ისტორიკოსები მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულის აფხაზეთში ოთხ გარეშე პოლიტიკურ მოთამაშეს გამოყოფენ, კერძოდ: 1. მთიულთა კავშირს; 2. თურქეთს; 3. რუსეთის მონარქისტულ მოძრაობას, ე.წ. თეთრგვარდიელებს; 4. ბოლშევიკურ რუსეთს.

კავკასიის მთიელთა კავშირი, რომელიც მონარქიული რუსეთის დაშლის შემდეგ შეიქმნა, აერთიანებდა კავკასიის მთის ხალხთა წარმომადგენლებს. მთიელთა კავშირს სურდა აფხაზეთთან სიახლოვე და მისი შემოერთებაც კი, რადგან ამის შედეგად იგი ზღვის საშუალებით პირდაპირ გასასვლელს გაჭრიდა თურქეთთან. თურქეთი კი, მთიელთა კავშირის ერთმორწმუნე და სასურველი პარტნიორი იყო.<sup>42</sup> მეორეს მხრივ, აფხაზ თავად-აზნაურობის ერთი ნაწილი სოციალისტური აჯანყებების ეპოქაში საკუთარი პრივილეგიების შენარჩუნების იმედს კავკასიის მთიელთა კავშირზე ამყარებდა. სწორედ აფხაზი თავადაზნაურობის ამ ნაწილმა გაიმარჯვა 1917 წლის 7-8 ნოემბერს სოხუმში გამართულ აფხაზი ხალხის პირველ ყრილობაზე, რომელზეც შეიქმნა ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაცია **აფხაზეთის სახალხო საბჭო**. ყრილობაზე მიღებულ იქნა აფხაზი ხალხის დეკლარაცია და კონსტიტუცია, ამასთან გადაწყვიტეს შესვლა გაერთიანებულ მთიელთა კავშირში.<sup>43</sup>

ჯერ კიდევ აფხაზი ხალხის პირველი ყრილობის მოწვევამდე, კერძოდ 1917 წლის 20 ოქტომბერს, სეპარატისტმა აფხაზმა თავადმა ა.გ. შარვაშიძემ ქალაქ ვლადიკავკაზში ხელი მოაწერა კავკასიის მთიელთა კავშირში შესვლას. ეს ხელმოწერა თვითნებურად, ამიერკავკასიის განსაკუთრებულ საქმეთა კომიტეტთან ყოველგვარი შეთანხმების გარეშე მოხდა. თუმცა, ა.შარვაშიძემ ხელი მთლიანად აფხაზეთის სახელით არ მოაწერა და მიუთითა მხოლოდ **“სოხუმის ოლქის მთის ხალხი აფხაზები”**. (ხაზი ჩემია მ.მ)

“ა.გ. შარვაშიძე, მართალია, წარმომადგენდა ოფიციალურ ხელისუფლებას (აფხაზეთის საოლქო კომისარი იყო. მ.მ.), მაგრამ მას არ ჰქონდა სახელმწიფო რწმუნება რაიმე პოლიტიკური მოლაპარაკების საწარმოებლად. კავშირის შემადგენლობაში მხოლოდ “აფხაზი ხალხის” დასახელება, საფიქრებელია, განპირობებული იყო იმითაც, რომ ა.გ. შარვაშიძემ ვერ გაბედა თავზე აეღო მთელი აფხაზეთის მოსახლეობის წარმომადგენლობა, იცოდა რა იმ საერთო განწყობის შესახებ, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით აფხაზეთში არსებობდა<sup>44</sup>”.

აფხაზთა სეპარატისტული ჯგუფის მცდელობის მიუხედავად, კავკასიის მთიელთა კავშირის სახელმწიფო ხელისუფლება აფხაზეთზე არ გავრცელებულა. მართალია, მთიელთა კავშირმა ჯერ თავი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის შტატად გამოაცხადა (1917 წლის დეკემბერი); ხოლო რუსეთში ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ თურქეთის დახმარებით საკუთარი თავის დამოუკიდებელ

სახელმწიფოდ რატიფიცირებაც კი მოახდინა (1918 წლის მაისი), მაგრამ აფხაზეთის შემოერთების საკითხი მთიელთა კავშირს არსებითად არ განუხილავს.

ისტორიკოს მერი გაბედავას დაკვირვებით, მთიელთა კავშირის პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, რომ არ გაეფუჭებინა ურთიერთობა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან, შემდგომ კი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებასთან. მთიელთა კავშირის წარმომადგენლების საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან შეხვედრისას (1917 წლის 1-2 დეკემბერი) “...ადინიშნა, რომ ყურადღება უნდა მიექცეს საზღვრის მოწესრიგების საკითხს (აფხაზეთთან, ოსეთთან, ზაქათალაში). ასევე, მთიელთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი მთავრობა მზადაა კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს საქართველოსთან. ეს კეთილმეზობლური ურთიერთობა საქართველოსა და მთიელთა მთავრობას შორის ბოლომდე იქნა შენარჩუნებული.<sup>45</sup>”

**თურქეთი** ერთ-ერთი ყველაზე აქტიური საგარეო ძალა იყო, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის საქართველოსგან გამოჯნვის პროცესს ასაზრდოვებდა. 1917 წლის ბოლოსათვის მთელს ამიერკავკასიას დემუქრა ორი უდიდესი ძალა – ერთის მხრივ ლენინის რუსეთი, ხოლო მეორეს მხრივ – თურქეთი. 1918 წლის პირველი ხუთი თვე ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებებში გაატარა. პარალელურად თურქეთი იპყრობდა საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიებს. თებერვალ-მარტში მოლაპარაკებები ქალაქ ტრაპიზონში, ხოლო მაისში – ქალაქ ბათუმში მიმდინარეობდა.

ბათუმის სამშვიდობო მოლაპარაკებებს აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ უნდა ემცნოთ თურქეთის მთავრობისათვის, რომ აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ერთა ოჯახში და უნდა დარჩეს ამიერკავკასიის შემადგენლობაში. აფხაზეთის დელეგაციის რამდენიმე წარმომადგენელი ფარულად შეხვდა თურქეთის საზავო დელეგაციის ხელმძღვანელს ჰალილ ბეის, შეხვედრაზე საუბარი იყო აფხაზეთის მიწაზე იმ მუსულმანი აფხაზების დაბრუნების შესახებ, რომლებიც თურქეთში მუჰაჯირობის დროს გადასახლდნენ. აუცილებლობის შემთხვევაში თურქეთის მთავრობა მზად იყო, რომ აფხაზეთის საბჭოს დახმარებოდა ჯარით და იარაღით<sup>46</sup>.

ამ შეხვედრების შესახებ ინფორმირებული ყოფილა ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელი აჩხენკელი. 1918 წლის 15 მაისს მან აცნობა საქართველოს ეროვნულ საბჭოს: “აქ არიან აფხაზთა წარმომადგენელნი. სრულიად

ნათლად გაირკვა, რომ მათ უნდათ და კიდევაც განახორციელებენ თურქეთის თავდასხმას აფხაზეთზე. არის გეგმაც, არის საამისოდ გამზადებული ძალებიც. შევეცდები ხელი შევუშალო მათი ამ განზრახვის განხორციელებას”<sup>47</sup>.

თურქული დესანტი 1918 წელს ორჯერ – ივნისში და აგვისტოში – იქნა გადმოსხმული აფხაზეთში. ნიშანდობლივია, რომ ორჯერვე ამ პროცესის ინიციატორები აფხაზი თავადები (ა.ვ. შარვაშიძე, ტ.მარშანია) იყვნენ, რომლებმაც საკუთარი მამულში უმასპინძლეს კიდევ თურქული არმიის წარმომადგენლებს.

1918 წლის აგვისტოში თურქეთის მხარდაჭერით დაიმედებულმა აფხაზი თავადაზნაურობის ნაწილმა სოხუმში ალყა შემოარტყა სახალხო საბჭოს შენობას და გადატრიალების მოწყობა სცადა, მაგრამ პროქართულად განწყობილმა აფხაზებმა ხმა დროულად მიაწვდინეს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას. გადატრიალება არ შედგა, ხოლო აფხაზეთის სახალხო საბჭო, როგორც კონტრ რევოლუციური და ხალხის ინტერესების დამღუპველი, გაუქმებულად გამოაცხადეს. შეიქმნა ახალი საბჭო, რომელმაც დროებითი დაირქვა”<sup>48</sup>. დროებითმა საბჭომ თურქოფილები ერის მოღალატეებად გამოაცხადა, დროებითი საბჭოს შემადგენლობაში შევიდა აფხაზეთში მაცხოვრებელი ყველა ერი.

**თეთრგვარდიული რუსეთი, იგივე მოხალისეთა ნაწილები.** 1918 წლის ოქტომბრიდან 1919 წლის ოქტომბრამდე თეთრგვარდიელი გენერალი დენიკინი აფხაზ სეპარატისტთა ჯგუფს აქტიურად ეხმარებოდა. აფხაზთა სეპარატისტულმა ჯგუფმა, რომელსაც თურქეთის მხრიდან დახმარების იმედი გაუცრუვდა, მოკავშირედ თეთრგვარდიული რუსეთი აირჩია. ცნობილი ფაქტია, რომ 1918 წლის სექტემბერში ქ. სოჭში თეთრგვარდიელ გენერალ ალექსეევს შეხვდა აფხაზთა დელეგაცია, რომელსაც ა. ვ. შერვაშიძე მეთაურობდა ( ეს ის შერვაშიძეა, რომელმაც მთიელთა კავშირში შესვლას მოაწერა ხელი და მანამდე პროთურქულ ორიენტაციას უჭერდა მხარს).

დელეგაციის წევრებმა გენერალ ალექსეევს სთხოვეს “გაეთავისუფლებინათ აფხაზეთი საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან”<sup>49</sup>. ამ დროისათვის დენიკინის ახალგაზრდა ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებულ ეტაპზე იმყოფებოდა. რუსულ ქალაქ ყუბანში სამხრეთ რუსეთის მთავრობაც კი იყო შეიქმნილი.

თეთრგვარდიელებს აღიზიანებდათ ის ფაქტი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს საზღვარში შედიოდა ქალასი სოჭი, რომელიც რუსული კაპიტალით აღორძინებულ ქალაქი იყო და, ამდენად, რუსებს თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ. საქართველოს მთავრობამ საზღვარი არ შემოსწია, ანუ სოჭი და გაგრა არ დაუთმო დენიკინის მოხალისეთა არმიას.

ვიდრე საქართველოში გერმანიის ჯარები იდგნენ, სამხრეთ რუსეთი ვერ ბედავდა საქართველოსთან სამხედრო დაპირისპირებას, თუმცა, პოლიტიკური დაპირისპირება მიმდინარეობდა აფხაზეთის დროებით საბჭოში, სადაც თეთრი რუსეთის მხარდამჭერ ჯგუფს ხემძღვანელობდა რუსი დემიანოვი.

“დემიანოვის გვერდით საბჭოში მონარქისტული ორიენტაციის გამტარებლებად გამოვიდნენ ე.წ. სოციალისტური ფრაქციის წარმომადგენლები, მათ მხარს უჭერდა აფხაზეთის რუსული ეკლესიის კლერიკალები, აფხაზეთის “რუსთა ეროვნული საბჭო” და აფხაზეთის სომხობა”<sup>50</sup>.

ამ ძალებმა გადატრიალების მოწყობა 1918 წლის 9 ოქტომბერს სცადეს, თუმცა აფხაზეთის დროებითი საბჭოს პროქართული ორიენტაციის წევრებმა საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით მოახერხეს გადატრიალების თავიდან აცილება. ამბოხების ორგანიზატორები დააპატიმრეს, შეიქმნა საარჩევნო კომისია, რომელმაც უზრუნველყო აფხაზეთის ახალი სახალხო საბჭოს არჩევნები. 1919 წლის 13 თებერვალს არჩეულ იქნა აფხაზეთის ახალი სახალხო საბჭო, რომელიც 40 წევრისგან დაკომპლექტდა. “საბჭოში არ იყო ერთსულოვნება, განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში და სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლებს განსხვავებული პოზიციები გააჩნდათ”<sup>51</sup>.

თეთრი რუსეთის აგრესია საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც 1918 წლის 30 ოქტომბერს თურქეთსა და ანტანტის ქვეყნებს შორის ქმედროსში დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება და ამიერკავკასია, მათ შორის საქართველო, ინგლისის კონტროლს დაექვემდებარა.

1919 წელს დენიკინმა აიღო ჯერ სოჭი, შემდეგ გაგრა. მის აგრესიას საქართველოს ხელისუფლება ამიერკავკასიაში ინგლისის წარმომადგენლობასთან ამოდ აპროტესტებდა. ინგლისის მხრიდან საქართველოს ინტერესებისადმი გულგრილობას ისტორიკოსი მერი გაბედავა ასე ხნის: საერთაშორისო

თანამეგობრობის მხარდაჭერა თეთრგვარდიული რუსეთისათვის განპირობებული იყო საბჭოთა რუსეთის ლიკვიდაციის სურვილით. ამ მიზნის ერთადერთ განმახორცილებელ ძალად მაშინდელი საერთაშორისო თანამეგობრობა სწორედ დენიკინს და მის მოხალისეთა არმიას მიიჩნევდა<sup>52</sup>.

საქართველოს წინააღმდეგ დენიკინის აგრესია მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, რაც გაძლიერებულმა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ თეთრგვარდიელები დაამარცხა. “1920 წლის 27 მარტს წითელმა არმიამ დაიკავა დენიკინელთა უკანასკნელი დასაყრდენი ნოვოროსიისკი. საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა სამხრეთ რუსეთის თითქმის მთელ ტერიტორიაზე და წითელგვარდიელები უშუალოდ ამიერკავკასიას მოადგნენ”<sup>53</sup>.

**ბოლშევიკური რუსეთი** აღმოჩნდა ის ძალა, რომელმაც საბოლოოდ შეძლო აფხაზეთის საქართველოს ტერიტორიიდან განცალკავება. 1921 წლამდე ბოლშევიკების მიერ აფხაზეთში ორი აჯანყება მოეწყო: პირველად 1918 წლის 7 აპრილს, ხოლო მეორედ – 1918 წლის 16 ივნისს. ორივე აჯანყება ჩახშობილ იქნა: პირველად – ამიერკავკასიის სახალხო გვარდიის მიერ გენერალ ვალიკო ჯუღელისა და და პოლკოვნიკ კონიაშვილის მეთაურობით; ხოლო მეორეჯერ – დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო რაზმების მიერ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით.

ისტორიკოს მერი გაბედავას თქმით, “1919 წლის მაისისათვის აფხაზეთში არსებობდა 32 ბოლშევიკური უჯრედი, რომელიც 320 წევრს ითვლიდა. ეს იმდენად უმნიშვნელო ძალა იყო, რომ მათ ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ღონისძიების გატარება არ შეეძლოთ”<sup>54</sup>. სიტუაცია შეიცვალა 1920 წელს, როდესაც ბოლშევიკურმა რუსეთმა დაამარცხა თეთრგვარდიელები, სამშვიდობო ხელშეკრულება გააფორმა ქემალისტურ თურქეთთან და გაასაბჭოვა აზერბაიჯანი, რის შემდეგაც გასაბჭოვების ჯერი საქართველოსა და სომხეთზე მიდგა. 1920 წელს კრემლში შემუშავდა გეგმა, რომლის თანახმადაც საქართველოზე საბჭოთა არმიის ნაწილებს იერიში ექცეს მხრიდან, მათ შორის გაგრა-სოჭის მიმართულებითაც უნდა მიეტანათ.

19 თებერვალს რუსეთის IX არმიამ დაიწყო იერიში აფხაზეთის მიმართულებით, რაც საბოლოოდ 4 მარტს სოხუმში შესვლითა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებით დასრულდა. ამრიგად, 1921 წლის თებერვალ-

მარტში განხორციელდა საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის ძალდატანებითი გასაბჭოება.

**აფხაზეთის პროქართულმა** ძალებმა მოქმედება ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე დაიწყო. 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები თბილისში შეხვდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრებს. შეხვედრაზე დაისვა აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხი, რომელსაც საქართველოს ეროვნული საბჭო არ დაეთანხმა. ზეპირი შეთანხმებით გადაწყდა, რომ “აფხაზეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის საკითხი უნდა გადაეწყვიტა აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას. შეთანხმებაში გათვალისწინებული იყო აფხაზეთის ფართო შინაგანი ავტონომია საქართველოს შემადგენლობაში<sup>55</sup>”.

აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებში კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის უკვე წერილობით გაფორმებული ხელშეკრულება. ხელშეკრულებით საქართველო აფხაზეთს ანიჭებდა ფართო ავტონომიას და ჰპირდებოდა სამხედრო და ეკონომიკურ დახმარებას.<sup>56</sup> **9 თებერვლის სიტყვიერი და 11 ივნისის წერილობითი** შეთანხმებები გახდა იურიდიული საფუძველი იმისა, 1918 წელს ბოლშევიკების მიერ ორგანიზებული ორი შეიარაღებული გამოსვლის ჩახშობაში აფხაზეთს სწორედ საქართველო დაეხმარა.

აფხაზეთში პროქართული მიმდინარეობის ასპარეზი იყო აფხაზეთის სახალხო საბჭო: “მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრები არ იყვნენ ერთსულოვანნი ახლად შექმნილი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკასთან დამოკიდებულების საკითხში, ეს ორგანო მაინც პროქართული ორიენტაციის მატარებელი და საქართველოს მთავრობის დასაყრდენი იყო აფხაზეთში.<sup>57</sup>” საბჭოს პროქართულად განწყობილმა წევრებმა ორჯერ მოახერხეს გადატრიალების მცდელობის აღკვეთა (პირველად 1918 წლის აგვისტოში პროთურქული ძალების მიერ ინსპირირებული გადატრიალების, ხოლო მეორედ – 1918 წლის ოქტომბერში დენიკინის მხარდაჭერით წაქეზებული გადატრიალების).

1919 წლის 13 თებერვალს აფხაზეთში არჩეულ იქნა წარმომადგენლობითი ორგანო – აფხაზეთის სახალხო საბჭო, რომელიც ორმოცი წევრისგან შედგებოდა. საბჭომ 1919 წლის 18 მარტს დაიწყო მუშაობა, 20 მარტს მან მიიღო დოკუმენტი “აქტი აფხაზეთის ავტონომიზაციის შესახებ”, ამ დოკუმენტის პირველ მუხლში



ნათქვამი იყო: “აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული...”<sup>58</sup>. ამ მუხლს დამსწრე 34 დეპუტატიდან 27-მა დაუჭირა მხარი, სამმა თავი შეიკავა, ოთხ დეპუტატს კი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.<sup>59</sup>

ამავე სხდომაზე შეიქმნა კომისია, რომელსაც აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეემუშავებინა. კომისია მუდმივი ურთიერთდაპირისპირების ფონზე მუშაობდა. “ანტიქართული ძალები მოითხოვდნენ დებულების პროექტში შეეტანათ ისეთი მუხლები, რომელიც აშკარად ცილდებოდნენ ავტონომიური მართვის უფლებებს (საკუთარი ჯარი, საფინანსო სისტემა, აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების აფხაზეთის სახალხო საბჭოს საკუთრებად გამოცხადება და ა.შ.). აფხაზეთის დემოკრატიული ძალები, სახალხო საბჭოს მემარცხენე ფრთა იბრძოდა ერთიანი საქართველოსათვის... უარყოფდა ოპოზიციური მხარის მოთხოვნებს და მოითხოვდა აფხაზეთისათვის ავტონომიის მინიჭებას შინაგანი მართვის სფეროში<sup>60</sup>”.

1919 წლის დეკემბერში კომისიამ შეემუშავა “აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულების პროექტი”. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო საქართველოს კონსტიტუცია, რომლითაც აფხაზეთს მიენიჭა ავტონომიის სტატუსი.

ქართველ ისტორიკოსთა შეფასებით 1917-21 წლებში საფუძველი ჩაეყარა “აფხაზეთა ერთიან ქართულ სახელმწიფოში ინტეგრირების თვისობრივად ახალ ეტაპს... ბოლშევიკური რუსეთის ოკუპაციამ 1921 წლის 25 თებერვალს უმძიმესი დარტყმა მიაყენა ამ პროცესს”<sup>61</sup>.

ამრიგად, პირველი ქვეთავი დავუთმეთ მე-20 საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის სოციალური და პოლიტიკური სურათის აღწერას. აღნიშნულ ამოცანას შედარებით დიდი ადგილი იმიტომ დავუთმეთ, რომ ჩვენი აზრით, ისტორიული ფონის ცოდნის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა გახეთ “საქართველოში” აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების სათანადო ანალიზი.

## 2. გაზეთ “საქართველოს” თვალსაწიერიდან დანახული ანტიქართული მოძრაობა და სეპარატიზმი აფხაზეთში

XX საუკუნის დასაწყისში სეპარატისტულ მოძრაობას აფხაზეთში გამოკვეთილი სახე ჰქონდა მიცემული. ეთნიკური აფხაზების ერთი ჯგუფი, რომელსაც დიდგვაროვანი აფხაზური გვარების წარმომადგენლები მეთაურობდნენ, ძალას არ იშურებდა ერთიანი ქართული სივრიციდან აფხაზეთის გამოსაცალკავებლად.

სეპარატისტული მოძრაობის გაშუქებისას გაზეთს აფხაზთა ეს ჯგუფი არ დაუდანაშაულებია. პროცესებისადმი რედაქციის დამოკიდებულება ასეთი იყო: **პირველი**, აფხაზური სეპარატიზმი შედეგია მესამე ძალის, ანუ რუსეთის ანტიქართული პოლიტიკისა; **და მეორე** რუსეთის მიზნებს აფხაზეთში ხელს უწყობს ამიერკავკასიის, შემდგომში კი, საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ დაშვებული შეცდომები.

აქვე ხაზგასმით გვსურს ვთქვათ, რომ “საქართველოს” პუბლიცისტთა შორის იყვნენ ზომიერი ნაციონალისტები და უკიდურესი ნაციონალისტები. მაგალითად, “საქართველოს” რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც უკიდურესი ნაციონალისტური პოზიციით გამოირჩეოდა, მოითხოვდა საქართველოს გაგლეხის გაძლიერებას აფხაზეთში. იგი წერდა: “ დღევანდელ აფხაზთ სჯული სამგვარი აქვთ: ქრისტიანებიც არიან, მაჰმადიანებიც და კერპთ მსახურნიც, მაგრამ მათი ქრისტე და მათი მაჰმადი ისეთივე ქართული უნდა იყვნენ, როგორც იყო ძველი არმაზი”<sup>62</sup>. (ხაზი ჩვენია)

ასეთი კატეგორიული პოზიციის გამო ზოგიერთმა აფხაზმა (სხვათა შორის, მათ, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ სეპარატიზმით) გაზეთ “საქართველოში” უკმაყოფილების წერილი გამოაქვეყნა. ისინი აქცენტს აკეთებდნენ საკუთარ თვითმყოფადობაზე, იმ ფაქტზე, რომ ეთნიკურად აფხაზები იყვნენ და არა – ქართველები: “აფხაზებს რომ დიდი ხნის განმავლობაში ცალკე თავისებური პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდათ, ამის ახსნა არც ახლანდელ ქართველს არ ესაჭიროება (ხაზი ჩვენია მ. მ.). ყოველი ერი, რომელსაც თავისი ვინაობის შენახვის სურვილი ჯერ არ დაჰკარგვია, ცდილობს, რამენაერად ისეთი

გამგებლობა მოაწყოს თავის შინაურ საქმეებში, რომ მის ეთნოგრაფიულ თვისებებსა და ეროვნულ ხასიათს განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა აღმოუჩინოს ...

ჩვენ გვაკვირვებს და გვწყინს ის, რომ ხშირად ჯეროვანი სიფრთხილით ვერ ეპყრობიან ჩვენ ეროვნულ თავმოყვარეობას ზოგიერთი ახალგაზრდა ქართველი. ჩვენი სურვილია შევინახოთ ჩვენი ენა და განსაკუთრებული თვისება. ჩვენს ბუნებრივ მოთხოვნილებებს ესენი უკმაყოფილების გრძნობით უყურებენ და ხშირად პრესაშიც უკეთურად იხსენებენ, ეს გარემოება ძლიერ ამწვაავებს ჩვენ შორის ურთიერთობებს”<sup>63</sup>.

უკიდურესი ნაციონალისტების გვერდით გაზეთ “საქართველოში” საკუთარ პუბლიკაციებს აქვეყნებდნენ ზომიერი ნაციონალისტები, რომლებიც დიდი ტაქტიკითა და სიფრთხილით ეკიდებოდნენ აფხაზეთში არსებულ ვითარებას. ჩვენი აზრით, ამ ნიშნით განსაკუთრებით გამოირჩევა ორი პუბლიცისტი: ზაქარია ედილი (ედილაშვილი) და ნიკო თავდგირიძე. მათ პუბლიკაციებს ჩვენ ქვემოთ ვრცლად განვიხილავთ.

გაზეთ “საქართველოს” ფურცლებზე აისახა აფხაზეთში მიმდინარე ანტიქართული პროცესები: ქართული ენისა და ზოგადად ქართული განათლების დევნა, საქართველოს ეკლესიისაგან დამოუკიდებლად აფხაზეთის ავტოკეფალური ეკლესიის ფორმირების სურვილი, ძველქართული ტაძრებისა და ისტორიული ძეგლების არაქართულად გამოცხადება. დაბოლოს, ამ პერიოდულმა ორგანომ გააშუქა სეპარატისტების მიერ პროვოცირებული სამხედრო აგრესიის ფაქტები – 1918 წელს პოლიტიკური გადატრიალების ორი მცდელობა; 1919 წელს თეთრგვარდიული რუსეთის მიერ აფხაზეთის ტერიტორიების დაპყრობა და 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, კერძოდ, გაგრა-სოჭს მიმართულებიდან შემოჭრა.

## 2.1 ენის საკითხი

მეოცე საუკუნის ოციან წლების აფხაზეთში ადგილი ჰქონდა საქართველოსთან ბრძოლის ყველაზე გაგრძელებულ სიმპტომს – ქართული ენის შევიწროვებას. ქართული ენა იდევნებოდა სოციალისტურ ჯგუფში, მუშათა კლასშიც კი; ქართული იდევნებოდა აფხაზეთში მოქმედი ყველა ტიპის სკოლიდან და მართლმადიდებლური ეკლესიიდან.

გაზეთ “საქართველოს” ერთ-ერთი ჟურნალისტი ფსევდონიმით პრ. ასკანელი სოხუმის სახალხო უნივერსიტეტში დაესწრო სოხუმის მუშათა ყრილობას. ყრილობაზე ქართულენოვანი სულ ორი მუშა აღმოჩნდა, მათ საკუთარი სათქმელი ქართულად დაიწყეს, მაგრამ კრებაზე დამსწრეთა დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ საუბარი ცუდი რუსულით გააგრძელეს, რის გამოც საყოველთაო დაცინვა დაუმსახურებიათ. ავტორის თქმით, რუსულენოვან სოხუმში ქართულ ენასთან ბრძოლა შოვინიზმთან (ბუნებრივია, ქართული შოვინიზმი იგულისხმება) ბრძოლის ძალიან პოპულარული ღოზუნგით იყო გამყარებული. სოციალისტებმა სოხუმის სახალხო უნივერსიტეტი დასების ბრძოლის ასპარეზად გადააქციეს, “თითქოს, სხვა ჯგუფები წინააღმდეგნი იყვნენ უნივერსიტეტებისა. ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, ბატონებო, რომ ყველგან ჯგუფობრიობა არ ვარგა”<sup>64</sup>, წერდა პრ.ასკანელი.

ამავე კორესპონდენციაში ავტორმა გააშუქა ქართულ ენასთან ბრძოლის კიდევ ერთი ფაქტი. სოხუმში უნივერსიტეტთან დაარსდა ქართული წიგნების ჯიხური “დიოსკურია”, რომელშიც ქართული ჟურნალ-გაზეთები თვეების დაგვიანებით ჩადიოდა. “დიოსკურია” სოხუმის სახალხო უნივერსიტეტის თანამშრომელთა კრებაზე განგაშის საბაბი გამხდარა. ქართული წიგნების ახალი ჯიხურის დაარსებით ჩვენი უნივერსიტეტის წიგნების ძველ ჯიხურს კონკურენტი გამოუჩნდა, სასწრაფოდ უნდა მივიღოთ ზომა და უნივერსიტეტის ახალ შენობაში გადავიტანოთ ძველი ჯიხური,<sup>65</sup> დაადგინეს შეკრებაზე.

ქართულ ენასთან (და ზოგადად ყოველივე ქართულთან) ბრძოლის ყველაზე აგრესიული ძალას წარმოადგენდა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის სასულიერო პირთა ის ჯგუფი, რომელიც აფხაზეთში მართლმადიდებლობის გავრცელებას იყენებდა, როგორც რუსული სახელმწიფო პლიტიკის გატარებისა და ამ რეგიონის რუსიფიკაციის მეთოდს. სამწუხაროდ, 1885 წლიდან, როდესაც დაარსდა სოხუმის (ანუ ახაზეთის) რუსული ეპარქია, აფხაზეთში ძირითადად რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელი სასულიერო პირები ინიშნებოდნენ.

მათ შორის ქართველთმობულებით გამოირჩეოდნენ ეპისკოპოსი არსენი\* (იზოტოვი), დეკანოზები – ვოსტორგოვი და იასტრეხოვი.<sup>66</sup> ეს სასულიერო

---

\* ეპისკოპოსი არსენი ყველაზე დიდხანს (1895-1905) მეთურობდა სოხუმის საეკლესიო კათედრას. ამ ხნის განმავლობაში იგი ქართველებისადმი (ავრეთვე, აფხაზების, ისევე როგორც სოხუმის ოლქში მაცხოვრებელი სხვა არარუსი ეროვნებების წარმომადგენლებისადმი) სასტიკ შოვინისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. მისი სოხუმიდან გაწვევის მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ მან სოხუმის საკათედრო ტაძარში ყველასათვის საყვარელი ქართველი სასულიერო პირის დეკანოზ

პირები აფხაზეთში 1906 წლამდე მოღვაწეობდნენ; ანტიქართული მუშაობის გამო მათზე შესულმა უამრავმა საჩივარმა რუსეთის სინოდი იძულებული გახადა გაეთხოვა ისინი რეგიონიდან. თუმცა, ქართულ ენასა, და ზოგადად ქართულ კულტურასთან ბრძოლის მათეული ტრადიცია აფხაზეთში საბოლოოდ დამკვიდრდა.

მაგალითად, 1916 წლის “საქართველოს” 42-ე ნომერში, ახალი ამბების გვერდზე ვკითხულობთ, რომ “სოფელ გალის (სამურზაყანო) სამრევლო სკოლაში ქ.მ.წ.კ. გამავრცელებელ საზოგადოებას თავისი მასწავლებელი ჰყავს ქართული ენისა. აქამდე ქართულ ენას დათმობილი ჰქონდა იქ მე-2, მე-3 და მე-4 გაკვეთილები; ახლა კი სოხუმის ეპისკოპოსს უბრძანებია ეპარქიული საბჭოსათვის, რომ ქართულ ენას მხოლოდ მე-6 გაკვეთილი დაუთმეთ და საბჭოსაც ეს ბრძანება უკვე შეუსრულებია”<sup>67</sup>.

1917 წლიდან, როდესაც მეფის რუსეთი დაემხო და ეროვნულ მისწრაფებებს გასაქანი მიეცა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოითხოვეს სკოლებში სწავლა-განათლების ქართულ ენაზე შემოღება. ეს ტენდენცია განპირობებული იყო იმითაც, რომ საქართველოს რეგიონების მოსახლეობას რუსული ენის ათვისება ყოველთვის უჭირდა. აფხაზეთში კი პირიქით მოხდა, ამ დროისათვის აფხაზეთის ეთნიკურად ჭრელ მოსახლეობაში, მათ შორის თვით აფხაზებში, რუსული მშობლიურ ენად იყო ქცეული. აფხაზეთის სოფლებშიც კი, მოსახლეობის მოთხოვნით რუსული ენის სწავლებისათვის გამოყოფილი საათები არ შემცირებულა, მშობლები მასწავლებლებს დაემუქრნენ, თუ სწავლას ქართულ ენაზე წარმართავთ, შეიღებს სკოლიდან გამოვიყვანთო.

“საქართველოს” კორესპონდენტმა ზაქარია ედილმა ამ მოვლენის მიზეზი ასე ახსნა: “საზოგადოდ, აფხაზეთში რუსულ ატმოსფეროს დიდად აქვს ფესვები გამდგარი და რუსების ერთს საუკუნოვანს მეცადინეობას მათი გადაგვარებისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია”<sup>68</sup>.

რუსულის, როგორც ძირითადი ენის, არსებობა აფხაზეთში, იმდენად ბუნებრივ პროცესად იყო მიჩნეული, რომ ეს ფაქტი ეთნიკურ ქართველებშიც არ იწვევდა პროტესტს. 1917 წელს აფხაზეთში მიმავალმა ზ. ედილმა მატარებელში

---

დავით მაჭავარიანის ცხედრის დასვენებასა და მისი სულის მოსახსენიებელი წირვის ჩატარების ნება არავის დართო. (ამის თაობაზე იხილეთ – ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (სტატიის გამო “ზმა სოხუმეიდან”); თბ; 2005წ; გვ: 152.)

მეგრელი თანამგზავრისგან შეიტყო, რომ მონარქიის დამხობის შემდეგაც სამურზაყანოში მდებარე ილორის ეკლესიაში ბოლო დრომდე წირვა-ლოცვა რუსულად მიმდინარეობდა, არადა, სამურზაყანოს მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური ქართველები (მეგრელები) შედგენდნენ. ჟურნალისტმა ეს ამბავი გაიოცა. მისი გაოცება კი მეგრელი თანამგზავრის გაკვირვების მიზეზი გახდა: – რა გიკვირთ, აფხაზი მღვდელი როცა მეთაურობდა ამ ეკლესიას, რუსულად სწირავდა, ახლა ქართველი ხელაია დანიშნეს და ის ქართულად სწირავსო<sup>69</sup>.

გაზეთმა “საქართველომ” მწირად, მაგრამ მაინც გააშუქა აფხაზური ენის დაცვის საკითხიც. გაზეთის კორესპონდენტი ზაქარია ედილი ერთ-ერთ თავის პუბლიკაციაში რუს ლინგვისტ უსლარის მიერ აფხაზური ანბანის შექმნის ფაქტს ეხება. მან თავი აარიდა ფაქტის დადებითად, ან უარყოფითად შეფასებას. კორესპონდენტმა მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ანბანი უხარისხოდ არის შედგენილი, კერძოდ, აფხაზური ბგერები გამოხატულია რუსული ასოებით, ხოლო ის ბგერები, რასაც რუსული არ მიესადაგება, გამოუხატავთ ჯერ ქართული ასოებით, შემდეგ კი ქართული ასოები გაურკვეველი ასო-ნიშნებით ჩაუნაცვლებიათო. “რამდენიმე სკოლის მასწავლებელმა მითხრა, რომ ვერც სკოლაში და ვერც მიწერ-მოწერაში ვერ გვიხმარია ეს ქართული ანბანი, რადგან მისი წერა შეუძლებელიაო”<sup>70</sup>, წერს გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტი.

უნდა ჰქონდეთ, თუ არა აფხაზებს საკუთარი დამწერლობა? გაზეთ “საქართველოში” ჩვენ თითქმის ვერ ვნახეთ პუბლიკაცია, რომელიც ამ შეკითხვაზე დადებით, ან უარყოფით პასუხს გასცემდა. თუმცა, ორი გარემოების გამო, ვფიქრობთ, რომ ჟურნალისტთა და პუბლიცისტთა ის ჯგუფი, რომელიც გაზეთ “საქართველოს” გარშემო იყო გაერთიანებული, თვლიდა, რომ აფხაზებს საკუთარი დამწერლობა უნდა ჰქონოდათ.

**პირველი, და უმთავრესი გარემოება** უკავშირდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ფიგურას. ამბროსი ხელაია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად 1921 წელს, ანუ საქართველოს გასაბჭოებისა და გაზეთ “საქართველოს” დახურვის შემდეგ იქნა ხელდასმული. 1916-18 წლებში, ანუ გაზეთ “საქართველოსთან” მისი თანამშრომლობის პერიოდში, წმ. ამბროსი ჯერ არქიმანდრიტის, ხოლო შემდეგ მიტროპოლიტის (1917წ) წოდებით სარგებლობდა, 1917 წლიდან იგი ჭყონდიდელი ეპისკოპოსიცაა.

1916 წელს მან გაზეთ “საქართველოში” ახელ-ის ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილების ციკლი “რა მდგომარეობაშია დღეს ივერიის ეკლესიის საკითხი?”, აგრეთვე 1917 წელს (№54) არქიმანდრიტ ამბროსის ხელმოწერით გამოაქვეყნდა სტატია “ქართველის საფლავი ქალაქ რიაზანში”, 1918 წელს (№25) “ამბერის” ფსევდონიმით გამოაქვეყნა სტატია “ილორის ბედი”.\*

ამბროსი ხელაია, როგორც ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ზედმიწევნით მცოდნე პირი, აფხაზებისათვის აფხაზური ენის შენარჩუნებისა და მათთვის დამწერლობის შექმნის მომხრე იყო. მართალია, ამის შესახებ გაზეთ “საქართველოში” საკუთარი პოზიცია არ დაუფიქსირებია, მაგრამ ჩვენ მიერ არაერთგზის დამოწმებულ მის პოლემიკურ წერილში “სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”, იგი წერს, რომ ისტორიულად ქართველი სასულიერო პირები ცდილობდნენ მართლმადიდებლური ლიტურატივის აფხაზურ ენაზე თარგმნას. ამის დასტურად მან მოიხმო ფრაგმენტი იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ანგარიშებიდან, რომელსაც გაბრიელი აფხაზეთში საკუთარი მისიონერული მოღვაწეობის შესახებ “კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენ საზოგადოებას” უგზავნიდა.

ანგარიშებიდან ირკვევა, რომ 1868 წელს ეპისკოპოსი გაბრიელი შეხვდა კნეინა კესარია შერვაშიძეს (დადიანის შთამომავალს) და მას, როგორც “აფხაზური ენის ჩინებულ მცოდნესა და უანარიან ადამიანს”, შესთავაზა ჩამოეყალიბებინა კომიტეტი და აფხაზურად ეთარგმნა “დაწეებითი ლოცვები, მრწამსი, 10 მცნება და, რამდენადაც მოხერხდებოდა, ლიტურგია და სააღდგომო სახარება”<sup>71</sup>.

ეპისკოპოს გაბრიელის განზრახვას აფხაზური ენის ქრისტიანულ ლიტურატივაში გაცოცხლების შესახებ არქიმანდრიტი ამბროსი სანიმუშოდ მიიჩნევს. ეს ფაქტი მას იმის დასტურად მიაჩნდა, რომ ქართველი სასულიერო პირები “არ იყვნენ მოწამლულნი უკიდურესი “ქართველომანიზმით” და აფხაზებისადმი სიძულვილით”. ამდენად, კათოლიკოს პატრიარქ ამბროსის ფიგურა, მეტადრე კი ის ფაქტი, რომ იგი გაზეთ “საქართველოსთან” თანამშრომლობდა,

---

\* საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას ფსევდონიმების შესახებ ინფორმაცია გამოვიყენეთ ნუგზარ პაპუაშვილის წიგნიდან ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 42. ნ. პაპუაშვილი თავის მხრივ წმ ამბროსი ფსევდონიმებთან დაკავშირებით ეყრდნობა კათოლიკოს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის წიგნს “ჩემი მოგონებები”; თბილისი 2001 წელი.

გვიბიძგებს ვარაუდოსკენ, რომ აფხაზური ანბანის შექმნა გაზეთ “საქართველოს” მესვეურებს საშურ საქმედ მიაჩნდათ.

**მეორე**, გარემოება აფხაზებისადმი გაზეთ “საქართველოს” ზოგადი დამოკიდებულებაა. კერძოდ, ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: “დღევანდელი საქართველო სულიერი მემკვიდრე წინანდელი საქართველოსი, რომელსაც თავისი სახიერების დასაცავად არავითარი მსხვერპლი არ დაუზოგავს და რომელსაც აფხაზებთან ერთად ჰარმონიულად უცხოვრია და უქმნია ერთი ისტორია და კულტურა, გადმოცემულ ტრადიციას თავყვანისცემით თან ატარებს და თავისი ღვიძლი ძმის თვისებურებებს იმდენად პატივს სცემს, რამდენადაც საკუთარზედ ხელს ვერ აიღებს”<sup>72</sup>. ( ხაზი ჩვენია)

აფხაზური ენის გადარჩენის აუცილებლობას დაუცვია სოხუმის ქართველთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელ ნიკო თავდგირიძესაც (იგი გაზეთ “საქართველოში” აფხაზეთზე გამოქვეყნებული არაერთი საინტერესო სტატიის ავტორიცაა). გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული საინფორმაციო მასალიდან ვგებულობთ, რომ თავდგირიძეს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის წინაშე დაუყენებია შუამდგომლობა, რომ სოხუმში გახსნილიყო ქართული სკოლა, რომელშიც აფხაზური ენასაც ასწავლიდნენ. ეს, თავდგირიძის აზრით, აფხაზებს უბიძგებდა შვილების ქართულ სკოლაში შემოყვანისკენ.

“მთელი უთანხმოება აფხაზთა და ქართველთ შორის იმისგან გამომდინარეობს, რომ აფხაზებს ჩვენმა მტრებმა ჩააგონეს, თითქოს, ჩვენ მათი გადაგვარება გვინდოდეს, მათი ენის მოსპობა. ჩვენ უნდა დავემტკიცოთ მათ, რომ ჩვენ დიდი პატივისცემით ვეპყრობით ყოველივე ერის დედა-ენას. ამ მოსაზრებით სასურველია აფხაზური ენის შემსწავლელი კათედრა დაარსდეს ქართულ უნივერსიტეტში”<sup>73</sup>, რაზეც მოლაპარაკებას ვაწამოებ საქართველოს განათლების მინისტრთან და სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთან ივანე ჯავახიშვილთან. საქმე უკვე გადაწყვეტილად ითვლება, უნივერსიტეტში მოწვეულია აფხაზური ენის ლექტორად ცნობილი ლინგვისტი პეტრე ტარაია წერდა ნიკო თავდგირიძე დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას.

მაშასადამე, აფხაზური ენის საკითხი, თუმცა გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტთა მიერ ცალკე არ განხილულა, მაგრამ ის ღირებულებები, რასაც რედაქცია პოპულარიზაციას უწევდა და, რაც მთავარია, იმ ადამიანთა ავტორიტეტი, რომლებიც აფხაზეთის თემას აშუქებდნენ, გვაფიქრებინებს, რომ



აფხაზური ენა, ისტორია და კულტურა რედაქციისათვის ისეთსავე ღირებულებას წარმოადგენდა, როგორსაც – ქართული.

## 2.2. მართლმადიდებლური ეკლესიის საკითხი

აფხაზეთის მოსახლეობაში მართლმადიდებლური სარწმუნოების დამკვიდრების კამპანია რუსეთის იმპერიამ მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო, ამ პროცესს კურირებდა “კავკასიაში მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმდგენი საზოგადოება”. ბევრი სასარგებლო საქმის მიუხედავად, ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნად ქართველი ისტორიკოსები მაინც კავკასიის მოსახლეობის რუსიფიკაციას მიიჩნევენ. “[რუსიფიკაცია] მართლმადიდებლური სარწმუნოების ხმაურიანი პროპაგანდის ფონზე მიმდინარეობდა და შეუიარაღებელი თვალთვაც ჩანდა, რომ ამ სარწმუნოების პროპაგანდა ფაქტობრივად დიდმპყრობელური სახელმწიფოს პოლიტიკურ და ასიმილაციურ ზრახვებს ნიღბავდა”<sup>74</sup>, წერს რელიგიათმცოდნე ნუგზარ პაპუაშვილი.

გაქრისტიანების იძულებით პროცესს, როგორც კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია ამბობს, მოჰყვა უკუშედეგი. პროტესტის ნიშნად აფხაზები მასობრივად გადადიოდნენ მაჰმადის სჯულზე. აფხაზთა გამაჰმადიანებას ხელს უწყობდა 1866-77 წლებში რუსეთ-თურქეთს შორის მიმდინარე ომი, რომლის დროსაც რუსებმა აფხაზეთის მოსახლეობაში არასაიმედო მფარველის რეპუტაცია დაიმსახურეს, რადგან ხშირად, კრიტიკულ მომენტში თავს გაქცევით შევლოდნენ და მართლმადიდებელ აფხაზებს შემოჭრილი თურქების რისხვის პირისპირ მარტოს სტოვებდნენ.

მართლმადიდებლური ეკლესიის მისიონერული ფუნქცია, კვლავაც ამბროსი ხელაიას ნაშრომს ვეერდნობით, ყველაზე წარმატებული იყო 1869-1885 წლებში, როდესაც მისიონერულ საქმიანობას ქართველი მღვდლების – დეკანოზ დავით მაჭავარიანის, მღვდლების კერესელიძის, ახვლედიანის, იოანე გეგიას და სხვათა მხარდაჭერით, ახორციელებდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. მათგან ბევრმა საკუთარი სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა მართლმადიდებლობა აფხაზეთში. ზოგიერთი გააგებულმა მუჰაჯირებმა მოკლეს, ზოგი კი – სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს.

1885 წლიდან, როდესაც აფხაზეთში შეიქმნა სოხუმის საეპისკოპოსო, ეპისკოპოსი გაბრიელი მისიონერულ მოღვაწეობას ჩამოაშორეს. მართლმადიდებლური სარწმუნოების გაგრძელება რუსიფიკაციის აგრესიული იარაღად იქცა, სოხუმის საეპისკოპოსოში იგზავნებოდნენ ის რუსი სასულიერო პირები, რომლებმაც “იწყეს, თანაც ხალხის დაუფარავად, თავიანთი რუსიფიკატორული მისწრაფებების მისიონერულ საქმიანობასთან აშკარა აღრევა. მათ უნდოდათ მხარის უსწრაფესი გარუსება ყოველგვარი აუცილებელი ეტაპობრიობის დაცვის გარეშე. მაგრამ ყოველ ხალხს აქვს თვითგადარჩენის იმპულსი, ნაციონალურ თავისებურებათა შენახვის გრძნობა, მეტადრე ენისა. ამიტომაც, როდესაც ხალხი სასულიერო მთავრობასა, თუ რჯულის მქადაგებლებს ამგვარ მისწრაფებებს მიუხვდება, ეჭვებით ისმენს მათ მისიონერულ საუბრებს და, ბუნებრივია, აფხაზები დღეს კბილით იცავენ თავიანთ მუსლიმურ რწმენას, რადგან მას თავიანთ ნაციონალობასთან აკავშირებენ; მარტო ამ გზით წარმოდგენიან მათ თავიანთი თვითმყოფადობის გადარჩენა ქრისტიან მქადაგებელთა ხელყოფისაგან, სხვანაერად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან სარწმუნოების ამა თუ იმ პოლიციური სამსახურში ჩაყენება... სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ურწმუნოების ქადაგება, შესაძლოა, ყველაზე უფრო საშიში. ყველასათვის ადვილად გასაგები მიზეზების გამო”<sup>75</sup>, წერდა არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია.

**ამრიგად, მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის მართლმადიდებლურ ეკლესიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ქართველი და რუსი სასულიერო პირები. პირველი ძალა იბრძოდა აფხაზეთის ერთიან ქართულ სივრცეში ინტეგრაციისთვის (მაგრამ არა აფხაზთა გაქართველების, არამედ მათი ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გზით); ხოლო მეორე – აფხაზეთის ეკლესიის რუსეთის ეკლესიაში შერწყმისათვის, მხარის რუსიფიკაციისათვის.**

ეს პროცესი გაზეთმა “საქართველომაც” ასახა. 1918 წელს 37-ე ნომერში გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით “აფხაზეთის ეკლესიის გარუსების ისტორიიდან”. სტატია დაფუძნებულია საარქივო მასალაზე, კერძოდ 1900 წელს ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსსა და აფხაზეთის ეპისკოპოსს შორის მიმოწერაზე. ჟანდარმერიის უფროსის წერილი ეპისკოპოსისადმი შედგება 12 შეკითხვისაგან. შეკითხვების შინაარსიდან გამომდინარე, ქუთაისის მთავარი პოლიციელი ითხოვს დეტალური ინფორმაციის მიწოდებას შემდეგი პირების შესახებ: თედო სახოკია,

ანტიმოზ ჯუღელი, მღვდელნი – მაჭავარიანი, ჩხენკელი, კერესელიძე და ბესარიონ (ბერად აღკვეცის შემდეგ ამბროსი) ხელაიას შესახებ.<sup>76</sup>

მესამე შეკითხვა, მაგალითად, პირდაპირ ასეთია: “სცდილობენ, თუ არა აფხაზეთის გაქართველებს შემდეგნი პირნი: თედო სახოკია, ანტიმოზ ჯუღელი, მღვდელნი მაჭავარიანი, ჩხენკელი, კერესელიძე და ხელაია ვესარიონ”, მე-6 შეკითხვა კი ასე ჟღერს: “მართალია, თუ არა, რომ ბესარიონ ხელაიამ, რომელიც ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვის შემოღებას მოითხოვდა, განგიცხადათ, რომ აქ საქართველოა და არა რუსეთი და ამიტომ წირვაც ქართულად უნდა იყვესო?” შეკითხვაზე აფხაზეთის ეპისკოპოსმა (სავარაუდოდ არსენი, რომელიც 1905 წლამდე მსახურობდა აფხაზეთში) უპასუხა: “ მღვდელმა ხელაიამ კერძო ლაპარაკში, როდესაც მთხოვდა და მიმტკიცებდა ქართული წირვა-ლოცვის შემოღებას, მითხრა, რომ “აქ საქართველოა და არა რუსეთი და წირვა-ლოცვაც ქართულად უნდა იყვესო”<sup>77</sup>.

ზემოთ მოხსენიებული პირები “საშიშები იყვნენ თუ არა?”, ამაზე ეპისკოპოსმა ჟანდარმერიის უფროსს მისწერა: “თუ რომ მღვდელნი: მაჭავარიანი, ჩხენკელი, კერესელიძე და ხელაია მოქმედებენ აფხაზეთ-სამურზაყანოს გასაქართველებლად, მაშინ რასაკვირველია, მავენდ უნდა ჩაითვალოს მათი მოღვაწეობა, რადგან ამით ისინი წინ აღუდგებიან რუსეთის იმპერიის მიზანსა და მისწრაფებას”. რაც შეეხება ქართველ საზოგადო მოღვაწეებს ანტიმოზ ჯუღელსა და თედო სახოკიას, მათ შესახებ აფხაზეთის ეპისკოპოსი წერს: “ მოქმედება თედო სახოკიასი და ჯუღელისა მავენებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან გაქართველებული მათგან ახალგაზრდობა მტრად გაუხდება რუსეთის ეკლესიას, რომელიც სულ სხვა მიზნებით მოქმედობს საქართველოში”<sup>78</sup>.

გაზეთმა “საქართველომ” აღნიშნული ჟურნალისტური მასალა კომენტარის გარეშე გამოაქვეყნა. საარქივო დოკუმენტებით დადასტურებული ფაქტის შეფასება რედაქციამ სავსებით მკითხველს მიანდო.

რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად მე-20 საუკუნის 10-იან წლებში აფხაზეთა მნიშვნელოვანი ნაწილი გულმხურვალე მაჰმადინად დარჩა. მართლმადიდებელი მოსახლეობა კი (როგორც აფხაზები, ისე სხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანები) ორ ნაწილად გაიყო. **პირველი** აფხაზეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას განიხილავდა, როგორც ნაწილს რუსეთის ერთიანი მართლმადიდებლური ეკლესიისა, რუსეთში

ბოლშევიკების გამარჯვების შემდეგ ისინი აფხაზეთის ავტოკეფალიას ითხოვდნენ. მართლმადიდებელთა მეორე ნაწილი – აფხაზეთის მართლმადიდებლურ ეკლესიის საქართველოს საკათალიკოსოსთან შეერთებას ემხრობოდა. ეს პროცესი გაზეთმა “საქართველომაც” გააშუქა.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადებამდე ერთი წლით ადრე რუსეთის სინოდმა აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან ჩამოშორება გადაწყვიტა. თხოვნით, რომ ეს განზრახვა სისრულეში არ მოეყვანათ, აფხაზთა დელეგაცია 1916 წლის აპრილში საქართველოს ეგზარქოსსა და კავკასიაში მეფისნაცვალს, დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს ესტუმრა. დელეგაციის წევრები იყვნენ: თავადები ალ. შარვაშიძე, დ. მარშანია, ასტამურ ინალიპა, გ. შარვაშიძე, პანჩაბაძე. გლეხები: ანტონ ჩუკბარი და ეზუხბაია.<sup>79</sup>

ჯერ კიდევ თბილისში ჩამოსვლამდე აფხაზთა დეპუტაციის თხოვნის ტექსტი გამოაქვეყნა გაზეთმა “საქართველომ”. მათ მიმართვაში ვკითხულობთ: “XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აფხაზეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა შემოღებულ იქნა ხალხისათვის გაუგებარ სლავიანურ ენაზე. ხალხს და მოძღვარს შორის შეწყდა უშუალო დამოკიდებულება, რამაც ჩვენი ეკლესია მიიყვანა დღევანდელ სამწუხარო მდგომარეობამდე (იგულისხმება აფხაზთა გამაჰმადიანება. მ.მ.) ... სარწმუნოებრივ საკითხში პოლიტიკას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ისტორიულად საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა ქრისტიანობის ქადაგება ერთგვარის ცნობილის წესით, რომლის შეცვლითაც (ანუ საქართველოს საეგზარქოსოდან აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფით. მ.მ) სარწმუნოებრივი გრძნობა კი არ განვითარდება, არამედ შესუსტდება და დაჩლუნგდება. ამ მოსაზრებათა და სარწმუნოებრივ ინტერესთა დაცვის გამო, გთხოვთ, არ გამოგვითიშოთ და გამოგვეოთ არსებული წეს-წყობილებიდან, რომელიც შექმნილია საუკუნოების განმავლობაში საქართველოს და აფხაზეთის ისტორიულ და კულტურულ ცხოვრების მიერ”<sup>80</sup>.

გაზეთის ამავე ნომერში განათავსებულია სარედაქციო წერილი “აფხაზეთის ხმა”. წერილის ავტორი გულგრილობაში ადანაშაულებს ქართულ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი – სამღვდელოებას, რომელიც მშვიდად შეხვდა აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოსგან ჩამოშორების პროექტს. “საჭიროა თვით სამღვდელთა და ერის წარმომადგენელთა ხმა შეუერთდეს მათს [აფხაზების]

ხმას, რათა განწირულ ეპარქიასთან ერთად ვითხოვოთ სინოდის წინაშე შეჩერებულ იქნას განზრახვა მისი. ერის კეთილდღეობა მოითხოვს კეთილგონიერებას. ძმებს სალოცავი შევეუნარჩუნოთ მამაპაპეულს სამლოცველოში, რომ მათთან ერთად ვიყვნეთ სულიერად და ხორციელად, ჭირიც და ლხინიც ერთი გავინაწილოთ”<sup>81</sup> – წერდა “საქართველოს” კორესპონდენტი.

ამავე საკითხთან დაკავშირებით 1916 წლის “საქართველოს” მე-100 ნომერში ვკითხულობთ: “სოხუმის ეპარქიას საქართველოს საექსარქოსოში სურს დარჩენა. პატივი ეცით ამ სურვილს, რომელიც მრავალის საუკუნის ისტორიული სინამდვილისა და სამართლიანობის ხმა არის! აფხაზების შეგნება და სიფხიზლე ამ საკითხში აშკარად და საქვეყნოდ გამოცხადდა. უკანონო განზრახვის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველებისა და აფხაზების ერთად გამოსვლა სასურველ ნაყოფს გამოიღებს, და უნდა ვიმედოვნოთ, რომ სოხუმის ეპარქია ისევ და ისევ საქართველოს განუკვეთელ ნაწილად დარჩება, ჩვენი ძალა შეერთებაშია, ეს უნდა გვახსოვდეს ყოველ საზოგადო საქმეში”<sup>82</sup>.

აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის განზრახვა არ განხორციელდა. საქართველოს ეგზარქოს პლატონს დელეგაციის წევრებისათვის უთქვამს: “მე ამბები მომდიოდა, თითქოს აფხაზებს სდომებოდეთ სოხუმის ეპარქიის გამოყოფა საქართველოს საეგზარქოსოდან, მაგრამ რადგან თქვენგან, როგორც ხალხის ნამდვილი წარმომადგენლებისგან ხალხის ნამდვილი სურვილი მესმის, ვეცდები, რომ სოხუმის ეპარქია აღარ გამოსთიშონო”<sup>83</sup>. ამავე შეხვედრაზე ეგზარქოსს აფხაზთა დეპუტაციამ სხვა თხოვნებიც წარუდგინა: აფხაზეთის ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულად დაწესდეს, აფხაზეთის სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლება სავალდებულო იყოს, “ხოლო სამურზაყანოში ამ საგნის შესახებ განკარგულება ახლავე გაეცითო”<sup>84</sup>. ეგზარქოსმა პლატონმა ამ მოთხოვნების განხილვის პირობაც დადო.

1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ აფხაზთა და რუსთა ის ნაწილი, რომელიც აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამოყოფის იდეას ასაზრდოვებდა, ახალი იდეით – **აფხაზეთის ავტოკეფალიის მოთხოვნით** გამოვიდა. 1917 წელს სოხუმში გამართულ კრებაზე აფხაზების ერთმა ნაწილმა ავტოკეფალიის სურვილი ასე დაასაბუთა: “... საქართველოს ეკლესიასთან რომ შევერთდეთ, მაშინ საქართველოს ავტონომია თუ გამოცხადდა, ჩვენც იმაში მოგვათავსებენ და რადგანაც ჩვენში ბევრი მამულია, ქართველები მოვლენ და

ჩამოგვისახლდებიანო. ... ისინი [ქართველები] თავიანთ მღვდლებს, სასულიერო გამგეებს გამოგვიგზავნიან და ეს ჩვენთვის სასურველი არ არისო”<sup>85</sup>.

განსხვავებულ პროქართულ პოზიციაზე იდგნენ აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ქართველი სასულიერო პირები. მღვდლები ბუაჩიძე და ბესარიონ კაპანაძე 1917 წლის იანვარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ითხოვდნენ და იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ამ მოთხოვნას აფხაზეთის ავტოკეფალიაც უნდა იზიერებდესო. ამავე წლის გაზეთ “საქართველოს” 24-ე ნომერში მღვდელი ბესარიონ კაპანაძე წერდა: “სოხუმის ეპარქიის ქართველი სამღვდლოება აღძრულ კითხვაში სულითა და გულით თქვენთან არის, მაგრამ რა ჰქნას, როგორ მოახერხოს თავისი გულის ნადების გამოხატვა, როდესაც ის ხელფეხი შეკრული, შებოჭილია”.

იმის დასტურად, რომ აფხაზეთში მოღვაწე სასულიერო პირები ყოველთვის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრენი იყვნენ, მღვდელმა კაპანაძემ “საქართველოში” გამოაქვეყნა ჯერ კიდევ 1906 წელს სოხუმის სამღვდლოების მიერ შედგენილი თხოვნა საქართველოს ეკლესიის რუსული სინოდიდან გამოყოფის შესახებ, რომელიც მაშინდელ მთავრობას გაუგზავნეს და ამით მხარი დაუჭირეს აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდლოებას<sup>86</sup>.

აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის მოსურნეთა შესახებ ზაქარია ედილი წერს: “ახალგაზრდა აფხაზი სამღვდლოება რუსიფიკატორების ხელშია აღზრდილი. რუსიფიკატორებმა აფხაზი სამღვდლოება ქართველებისადმი მტრულად გაწვრთნესო და მათგან განდგომის მეტს არაფერს უნდა მოელოდეთო, მითხრეს სოხუმელებმა”<sup>87</sup>.

ჟურნალისტი აფხაზთა შორის პრორუსული განწყობის გამო ქართულ საზოგადოებასაც საყვედურობს. კერძოდ კი იმ ფაქტის გამო, რომ 1917 წლის მარტში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღეს აფხაზები არავინ მიიწვიაო. საქმე კიდევ ორმა გარემოებამაც გაართულა: პირველი ის, რომ “სამურზაყანოს ქართველ სამღვდლოებას კერძო კრება ჰქონიათ და დაუდგენიათ საქართველოს საკათალიკოსოსთან შეერთება, აფხაზებისთვის კი არ შეუტყობინებიათ, ყველაფერი ეს სწყინთ აფხაზებს”, წერდა ედილი იქვე მეორე მიზეზს მიუთითებდა: “უფრო კი დამოკიდებულებას პროვოკატორები ამწვავებენ, რომელნიც ხმებსა ყრიან, ქართველებს თქვენი ადგილ-მამულების ხელში ჩაგდება უნდათო”<sup>88</sup>.

ამავე სტატიაში ჟურნალისტმა მოგვაწოდა ფაქტები აფხაზეთის ეკლესიის ისტორიიდან. მისი თვალსაზრისის თანახმად, აფხაზეთის ეკლესია თვითმყოფადი იყო XVI საუკუნიდან XVIII საუკუნემდე და მასში აფხაზეთის ტერიტორიის გარდა შედიოდა სვანეთის, გურიისა და სამეგრელოს ეკლესია-მონასტრები, ზეობდნენ აფხაზი კათალიკოსნი “სულ რიცხვით თექვსმეტამდის”. ეს ისტორიული ექსკურსი ზაქარია ედილს აფიქრებინებს, რომ აფხაზეთის ავტოკეფალიის მოთხოვნა სამართლიანია:

“დღეს აფხაზ ახალგაზრდა სამღვდელოებას სურს აფხაზეთის ავტოკეფალიის აღდგენა, შესაძლებელია საკუთარ ავტოკეფალურ ეკლესიასთან გაერთიანდეს მთელი აფხაზეთი... ეს მით უფრო შესაძლებელია, რომ აფხაზი ჯერ კიდევ სავსებით არ გამჟღავნებულა და ყოველივე ქრისტიანული წესი და ადათი მათში დღესაც ტრადიციით და სიწმინდით არის დაცული. ვუსურვებთ ახალგაზრდა აფხაზებს, სულით და გულით, თავიანთი წადილის განხორციელებას და მასთან ერთად მათს მეზობელ და დიდად მოძმე საქართველოს ეკლესიასთან მეგობრობას და კეთილგანწყობის არდავიწყებას”<sup>89</sup>, წერდა იგი. თუმცა, იქვე უთითებდა, რომ აფხაზეთში მხოლოდ 30 სამრევლოა და მათთვის ავტოკეფალიის მინიჭება “კანონიკურის სამართლით შეუძლებელია”.

გარდა ამისა, ავტორის თქმით, მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესია ქართული ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ იყო და მის ნაწილს წარმოადგენდა. “ქართულად სწარმოებდა წირვა-ლოცვა და მღვდელთმსახურება აფხაზეთში, ქართული მწიგნობრობა იყო დამკვიდრებული მონასტრებში და ქართულივე წარწერანი აქვთ როგორც ეკლესია-მონასტრებს, ასევე სხვა ნაშთებს”<sup>90</sup>.

სხვაგან “საქართველოს” ჟურნალისტმა დაწერა “საქართველოს წარსული და აფხაზეთისა ისე არიან ერთმანეთში გადახლართულნი, რომ ძნელად მიხვდება კაცი, თუ სად იწყება პირველი და სად მთავრდება მეორე”<sup>91</sup>.

იგივე მოსაზრება იკვეთება გრიგოლ ვეშაპელის წერილში “აფხაზეთისათვის”<sup>92</sup>. ავტორი სტატიაში ეყრდნობა ცნობილი სასულიერო პირის, ქართველთა მეგობრის ნ. დურნოვოს მოსაზრებას, რომელიც გაზეთ “პეტერბურგსკიე ვედმოსტი”-ში წერდა (დურნოვოს ამ პუბლიკაციის მოკლე შინაარსი “საქართველომ” ცალკე დაბეჭდა.):

“მართალია, აფხაზური ენა ძლიერ განირჩევა ქართული ენისაგან, მაგრამ ამ ენაზე არავითარი ლიტერატურა არ არსებობს. ამის გამო ძველითგან აფხაზები ხმარობდნენ ქართულ ანბანს და ქართველ სალოცავ წიგნებს. თუ ეს ასე არ ყოფილიყო, აფხაზები ქრისტიანულ სარწმუნოებას ვერ შეინარჩუნებდნენ და ისე გაეთიშებოდნენ მას”<sup>93</sup>.

გაზეთ “საქართველოს” ინტერესის სფეროში მოექცა აფხაზეთის ტაძრების რუსიფიკაციის პროცესი. ათონის, ბედიის, ილორის, დრანდისა და ბიჭვინთის ტაძრების შესახებ გაზეთი დროდადრო აქვეყნებდა ჟურნალისტური მასალებს. ამ თემის გაშუქებისას წამყვანი ადგილი კვლავაც კორესპონდენტ ზაქარია ედილს ეკუთვნის. სტატიაში “აფხაზეთის სიწმინდენი”<sup>94</sup>, ედილი წერს, რომ ათონის, ბიჭვინთისა და დრანდის ეკლესია-მონასტრები მთლიანად რუსი ეროვნების ბერ-მონაზონთა ხელშია გადასული. ამ ტაძრებსა და სამონასტრო კომპლექსების მონახულებისას ადამიანი ძნელად თუ მიხვდება, რომ აფხაზურ-ქართულ კულტურის ნიმუშებთან აქვს საქმეო.

სხვა წერილში იგი ამბობს, რომ ათონის მონასტრის მონახულებისას ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გააოცა, რომ ქართველების მიერ დაარსებული ტაძრის ფრესკებზე ერთი ქართველი წმინდანის სახეც კი ვერ ნახა. ამის მიზეზი რომ იკითხა, ათონის მონასტრის ერთ-ერთმა რუსმა ბერმა უპასუხა: “აქ რუსთა მონასტერია და ქართველ წმინდანებს რა უნდათო.”<sup>95</sup>

აფხაზური სიწმინდენი მეტნაკლებად ბედიისა და ილორის ტაძრებმა შემოინახესო, წერდა ზაქარია ედილი. ბედიის ტაძარი ქართველ ბერს (ავტორი არ ასახელებს მის ვინაობას) ქართველებისადმი ტოლერანტულად განწყობილი აფხაზეთის რუსი ეპისკოპოსის ანდრიას შეწევით აღუდგენია. სწორედ ამ მონასტრის ბერებმა შემოგვინახეს აფხაზური კულტურის შესანიშნავი ნიმუში ოქროს ბარძიმი. ედილის თქმით, ეს ექსპონატი ამტკიცებს, რომ აფხაზური სიწმინდენი ქართული ქრისტიანული ხელოვნების განუყოფელი ნაწილია<sup>96</sup>.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ილორის წმინდა გიორგის ტაძარს ანიჭებდა. მისი აზრით, ნამდვილი აფხაზები ის ხალხი იყო, ვინც რუსულ ძალმომრეობას პროტესტს უცხადებდა და თავისი თვითმყოფადობის დასამტკიცებლად გარუსებას გადარჩენილი ილორის ეკლესიის გარშემო იკრიბებოდა, თუნდაც სჯულით არც ყოფილიყო ქრისტიანი.



“რაკი სხვა სიწმინდენი რუსებს ჩაუგდიათ ხელში, ამიტომ მთელი აფხაზეთი მხოლოდ ამ ეკლესიის გარშემოლა იკრიბება, ქრისტიანი და ხშირად მუსულმანიც აქ მიდის სალოცავად და ფიცის მისაღებად. აფხაზი დააქციეს, წაართვეს მას ყოველივე და აი, მხოლოდ ეს ერთადერთი სიწმინდეა შერჩენია და მასლა შეჭხარის იგი, მისით ითქვამს სულს. მასზედ იკლავს სარწმუნოებრივ ჟინსა და ლტოლვას”<sup>97</sup>, წერდა ზაქარია ედილი.

როგორც ვხედავთ, ავტორი ილორის წმინდა გიორგის მონასტერს აფხაზეთის სიწმინდედ მიიხნევდა. სხვა წერლთა ციკლში (“შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”<sup>98</sup>) ზ. ედილი დაბა ილორს (ბუნებრივია მონასტერთან ერთად) უწოდებს საზღვარს აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის და მას კვლავ აფხაზეთს აკუთვნებს.

ამის გამო 1918 წლის გაზეთ “საქართველოს” 25-ე ნომერში არქიმანდრიტმა ამბროსიმ ამბერი-ს ფსევდონიმით გამოაქვეყნა წერილი “ილორის ბედი”<sup>99</sup>. სტატიის მიზანია დაასაბუთოს, რომ დაბა ილორი და ილორის ეკლესია ისტორიულად ყოველთვის იყო არ აფხაზეთის, არამედ სამეგრელოს, კონკრეტულად კი სამურზაყანოს ნაწილი. მისი თქმით, წერილის დაწერა გადააწყვეტინა იმ ფაქტმა, რომ სოხუმის საეპარქიო ხელმძღვანელობამ, რომელმაც აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, “ყველა სამურზაყანოელები სცნო ქართველებად და მაშასადამე საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის წევრებათ, გარდა ორის სოფლისა – ბედიისა და ილორისა”<sup>100</sup>.

ავტორი საკუთარ მოსაზრებას, რომ ილორი ყოველთვის სამურზაყანოს ნაწილი იყო, ასაბუთებს ისტორიული ფაქტებით. XVII საუკუნეში, მართალია, აფხაზებმა დაიპყრეს სამურზაყანოს მიწები ჯერ მდ კელასურამდე შემდეგ კი – კოდორამდეც, მაგრამ დაპყრობილი მოსახლეობა არ გააფხაზებულა. იმ ადგილს, სადაც მდინარე კელასურა ერთვის შავ ზღვას ბენინკაზის და ფრედრუჩის\* რუქებით ერქვა მეგრელების ნავსადგური (porto mengrello). მეცნიერების ბროსეს და ბრუნეს თქმით, ილორში მოსჩანს ნანგრევები წმინდა გიორგის ციხისა, რომელიც აუშენებია სამეგრელოს ერთ-ერთ მთავარსო. “სელეუზნევი, რომელმაც 1841 წელს მოინახულა აფხაზეთი, წერს, რომ მოქვის მონასტერი მდებარეობს 17 ვერსტის

---

\* შუასაუკუნეების ცნობილი იტალიელი კარტოგრაფები

მანძილზე სამურზაყანოს სოფლე ილორიდანო... ბერუეს\* თქმით, სამურზაყანოში და სახელდობრ ილორსა და ანაკლიაში იყო აშენებული ციხეებიო, ბროსეც, რომელმაც 1849 წელს ინახულა ილორი, გვეუბნება იმასვე<sup>101</sup>”, წერს სტატიის ავტორი.

1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ რუსეთის მთავრობამ ილორი კოდორის ადმინისტრაციულ ერთეულს მიაწერა. ამ ფაქტის გამომწვევ მიზეზზე ამბროსი ხელაია წერს: “შესაძლოა, ვიფიქროთ, გარუსების პოლიტიკის მწარმოებელთ სწადდათ სამეგრელოს ისტორიული ძეგლი და სარწმუნოებრივი ცენტრი, როგორც არის ილორი, სამეგრელოსთვის მოეშორებინათ და ამით შეესუსტებინათ ილორის მნიშვნელობა ქართველების გამაგრებისათვის აფხაზეთის საზღვარზე. რომ ეს უკანასკნელი ჩვენი მოსაზრება მისაღებია, ამას ნათლად ამტკიცებს ის, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ გამრუსებელი პოლიტიკა ცდილობდა ილორი წაერთმია ქართველებისათვის და გაეკეთებინათ რუსი ქალების მონასტრად”<sup>102</sup>.

1918 წელს არქიმანდრიტი ამბროსი ჭყონდიდელ ეპისკოპოსად აირჩიეს, 1919 წელს მის ეპარქიას შეუერთეს ცხუმ-აფხაზეთის საეპისკოპოსოც. მიზეზი, რამაც ამ გადაწყვეტილებას უბიძგა საქართველოს სასულიერო და პოლიტიკურ ხელისუფლებას, შემონახულია გაზეთ “საქართველოს” 1919 წლის 198-ე ნომერში.

1919 წელს სოხუმის საკათედრო ეკლესიაში კვლავაც მხოლოდ ეროვნებით რუსი სასულიერო პირები მსახურობდნენ. წირვა-ლოცვა რუსულად ტარდებოდა და მასზე მხოლოდ მოსკოვის პატრიარქს მოიხსენიებდნენ<sup>103</sup>. არადა, ამ დროისათვის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა არსებობის წელიწადზე მეტს ითვლიდა და აფხაზეთიც, ავტონომიური რესპუბლიკის პრინციპის საფუძველზე, მის ნაწილად ითვლებოდა.

გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტი შესწრებია შემდეგ ფაქტს: “ამას წინათ ფრონტის დღეს დღესასწაულობდა აფხაზეთის მთავრობა. სადღესასწაულო წესრიგში ეკლესიაში პარაკლისის გადახდაც იყო. როცა ჯარი მიადგა სალოცავად ტაძარს, რუსის მღვდლებმა კარი მიუხურეს და უარი განუცხადეს ეკლესიაში პარაკლისის შესრულებაზე<sup>104</sup>”. ამის გამო აფხაზეთის მთავრობამ

---

\* ალბათ, იგულისხმება **ადოლფ ბერუე**, გეოგრაფი და მხარეთმცოდნე, რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრი. იგი იყო ამავე საზოგადოების კავკასიის განყოფილების მიერ თბილისში დაარსებული კავკასიის მუზეუმის ზედამხედველი.

დეკრეტით გამოაცხადა აფხაზეთში რუსული წირვა-ლოცვის აკრძალვა. ცხუმის საეპისკოპოსო, სავარაუდოდ სამურზაყანოს შეუერთდება და სოსუმშიც ჭყონდიდელი მიტროპოლიტის, აფხაზეთში კარგად ცნობილი აბხაზური, მეგრული და და ქართული ენის კარგად მცოდნე ამბროსი ხელაიას სამღვდელო ძალა-უფლება გავრცელდებაო”. ასეც მოხდა.

კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის შესახებ მრავალი თქმულა და დაწერილა, მაგრამ მის პორტრეტს, ჩვენი აზრით, საინტერესო შტრიხი მიემატება, თუ მოვიყვანთ ვრცელ ციტატას მის მიერ 1918 წელს წარმართქმული ერთ-ერთი ქადაგებიდან. ეს ქადაგება მან ქ. სოსუმში, აფხაზეთა უკანასკნელი მთავრის შთამომავლის – გიორგი შერვაშიძის – სულის მოსახსენიებელი წირვის შემდეგ წარმოსთქვა.

წმინდა ამბროსი ამბობდა: “არც ძველად... როდესაც ჩვენი ეკლესია თვით განაგებდა თავის ბედს, არ უწარმოებია და არც ახლა, რასაკვირველია, არ აწარმოებს მასზე მცირერიცხოვანი ერების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას. საქართველოს ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელი ამგვარად მოქმედობდნენ, წარმოიდგინეთ, იმ დროსაც კი, როდესაც აქ საშინლად ბობოქრობდა ჩვენი ხალხის გამანადგურებელი სინოდალური საეკლესიო პოლიტიკა.

ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიგონოთ სულმნათი ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც აფხაზეთა შორის ქრისტიანობის დამკვიდრების საუკეთესო საშუალებად სთვლიდა სემინარიაში აფხაზური ენის სწავლების შემოღებას. მეორე ქართველმა მოღვაწე მღვდელმთავარმა, აწ უკვე განსვენებულმა კათოლიკოსმა კირიონმა თავის სოსუმში ყოფნის დროს ბევრი აფხაზეთა ეროვნების სასარგებლო საქმეები გააკეთა, სხვათა შორის, ჩაუყარა საფუძველი საღმრთო წერილისა და საღვთისმსახურო წიგნების გადათარგმნის საქმეს აფხაზურ ენაზე.

აფხაზ-ქართველნი უნდა შეერთდნენ ისე, რომ ნაციონალურად თითოეულმა მათგანმა შეინარჩუნოს თავის ელფერი. მსგავსად იმისა, როგორც სხვადასხვა საამო სუნის ყვავილები, თუმცა შედიან თაიგულში, როგორც მისი ელემენტები, მაგრამ თავის სპეციფიკურ თვისებას კი არ ჰკარგავენ და ამავე დროს, ყველნი ერთად შეადგენენ ერთს საუცხოვო და მშვენიერ თაიგულს”<sup>105</sup>.

ამბროსი, როგორც მიტროპოლიტი, ცხუმ-აფხაზეთის ეკლესიის მრევლს 1919-21 წლებში მწყემსავდა. მკვლევარი ნუგზარ პაპუაშვილი წერს, რომ 1919-21 წლებში აფხაზეთის ეკლესიაში ეთნიკური თვალსაზრისით სიმშვიდე იყო, ყოველშემთხვევაში ასე ჩანსო. იგი თვლის, რომ ეს გარემოება ეპისკოპოს ამბროსის კორექტული და სასარგებლო მუშაობის შედეგი იყო.<sup>106</sup>

ამრიგად, გაზეთმა “საქართველომ” განსაკუთრებული ადგილი დაუთმო რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ აფხაზეთში წარმართული რუსიფიკატორული პოლიტიკის მხილებას. რედაქციის თვალსაზრისით თანახმად, აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნაც იყო შედეგი რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ანტიქართული საქმიანობისა. გარდა ამისა, გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნდა არაერთი მასალა, რომელშიც აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების მდგომარეობა აისახა, ჟურნალისტები აფხაზეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას ერთიანი ქართული მართლმადიდებლური სივრცის ნაწილად მიიჩნევენ და მისი თვითმყოფადობის გადარჩენის ერთადერთ გზად საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიასთან ერთობა ესახებოდათ.

### **2.3 საომარი მოქმედებები და პოლიტიკური გადატრიალებების მცდელობები აფხაზეთში**

1918-19 წლები აფხაზეთისათვის პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზედ დაძაბული იყო. მხოლოდ 1918 წელს რეგიონმა ბოლშევიკთა სამი შეიარღვეული აგრესია და პოლიტიკური გადატრიალების ორი მცდელობა გადაიტანა. 1919 წელს კი, აფხაზეთი თეთრგვარდიელი სარდლის დენიკინის მოხალისეთა არმიასა და საქართველოს რესპუბლიკის ჯარს შორის გაჩაღებული ომის ასპარეზად იქცა. მოხალისეებმა 1919 წელს დაიპყრეს სოჭა და გაგრა, ანუ ზუსტად ის ქალაქები, რომლებიც 1918 წელს ბოლშევიკებთან ბრძოლის შემდეგ ქართველმა გენერლებმა (ჯერ ვალიკო ჯუღელმა, შემდეგ კი გიორგი მაზნიაშვილმა) აიღეს.

აფხაზეთში არეულობას იწვევდა სამი დიდი გარეშე ძალა – თურქეთი, თეთრგვარდიული რუსეთი და ბოლშევიკური რუსეთი. მათგან პირველ ორს – თურქეთსა და თეთრგვარდიულ რუსეთს, აფხაზი სეპარატისტების სახით, საიმედო დასაყრდენი ჰყავდა.

სეპარატიზმის გაძლიერება აფხაზეთში პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე აღინიშნა. მცირე ექსკურსის სახით გთავაზობთ იმ რამდენიმე საგაზეთო მასალის ანალიზს, რომელიც გაზეთ “საქართველოში” 1918 წლამდე გამოქვეყნდა და ასახა რეგიონში სეპარტიზმის გაძლიერების ნიშნები.

**სეპარატიზმი აფხაზეთში 1918 წლამდე.** ერთ-ერთ სარედაქციო წერილში<sup>107</sup>, რომელიც “საქართველოს” რედაქტორმა გრიგოლ ვეშაპელმა 1917 წელს გამოაქვეყნა მიმოხილულია აფხაზი ერის უმძიმესი ისტორია, მათი დაპყრობა ჯერ თურქეთის, შემდეგ კი – რუსეთის მიერ. აფხაზეთის სიმდიდრე ჯერ თურქეთმა გაზიდა, 1810 წლიდან ახალმა დამპყრობელმა რუსეთმა მრავალი ათასი “დესეტინა” აფხაზური მიწა იქ ჩასახლებულ რუს მოსახლეობას დაურიგა, მიწის ნამდვილი მესაკუთრეები, ეთნიკური აფხაზები კი, თურქეთში გადაასახლა. მანვე ჩამოაჭრა აფხაზეთს სოჭის ოლქი და ჩერქეზეთის ძველებზე აშენებულ ჩერნოგორიის გუბერნიას შეუერთაო.

მრავალსაუკუნოვანი დაპყრობისა და იერიშების გამო აფხაზეთის მოსახლეობა, ბუნებრივია, დაბნეულია და ყველას ეჭვის თვალით უყურებს, წერდა გრიგოლ ვეშაპელი, მაგრამ “მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ტომითაც და ენითაც ქართველებს ენათესავენთან... [მათი] ხალხური კულტურა ყოველთვის ქართული ენით, ქართული წიგნით ვითარდებოდა”. რუსი ცდილობს აფხაზები წაჰკიდოს ქართველებს, მათ ყურში ჩასწორწულებს: “აფხაზეთი არასოდეს საქართველო არ ყოფილა, მეგრელები მუდამ თქვენი მტრები იყვნენ. თუ საქართველოს ავტონომია ექმნა და თქვენ მის ფარგლებში შეხვალთ, სრული განადგურება მოგელითო. პირიქით, თუ საქართველოს ჩამოშორდებით, მეტი ფასი გექნებათო”<sup>108</sup>.

1916 წელს, ანუ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დამხობამდე, აფხაზეთში სეპარატისტული განწყობა იმ გარემოებამ გაამწვავა, რომ საქართველოს რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერობის (ავტონომიის) მიღების პერსპექტივა გაუჩნდა.

რუსეთის მიერ დაპყრობილი ჩვენი ქვეყნა ერობის შემოღებას 1870-იანი წლებიდან ითხოვდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ცარისტული რუსეთი აიძულა დაპყრობილი ერების ნაციონალური მისწრაფებებისათვის ანგარიში გაეწია, ერობის მინიჭების შესახებ პირობა საქართველომაც მიიღო.

განიხილებოდა ერობის რამდენიმე მოდელი, მათგან ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეები 1890 წლის მოდელს უჭერდნენ მხარს.

ხოლო ის ძალები, რომლებიც საქართველოს ეროვნული ინტერესებით არ ხელმძღვანელობდნენ, 1890 წლის მოდელის წინააღმდეგნი იყვნენ. ერთ-ერთი ასეთი ძალა სოხუმის ქალაქის თვითმმართველობაშიც მუშაობდა.

გაზეთი “საქართველო” გვატყობინებდა, რომ სოხუმის თვითმმართველობის “ჭეშმარიტ რუსად” ცნობილ ხმოსანს ტომარა (გვარია. მ.მ.) წინადადება შემოუტანია, აფხაზეთი არ შეუერთდეს ქართველთა მოთხოვნას ერობის 1890 წლის მოდელის შემოღების თაობაზე. ამის მიზეზად კი ის დაუსახელებია, რომ ეს მოდელი წოდებრივი პრინციპზეა დაფუძნებული, მაშასადამე, არასოციალისტურიაო. ტომარას წინადადება ჩაეარდა (ათმა ხმოსანმა დაუჭირა მხარი და 22 წინააღმდეგი წავიდა)<sup>109</sup>. თუმცა, “საქართველოს” 1916 წლის 138-ე ნომერში ვკითხულობთ, რომ ტომარამ ეროვნებით რუსი და ბერძენი ათამდე თანამოაზრის ხელმოწერით კვლავ შეიტანა საპროტესტო განცხადება.

საქართველოს შესაძლო ავტონომიამ ეთნიკური აფხაზების სეპრატისტული ნაწილი რომ დააფრთხო, ამაზე ზემოთ მოტანილი ფაქტიც მეტყველებს. კერძოდ კი ის, რომ სეპარატისტულად განწყობილმა აფხაზებმა სასწრაფოდ მოითხოვეს აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია და ეს ასე დაასაბუთეს: “... საქართველოს ეკლესიასთან რომ შევეერთდეთ, მაშინ **საქართველოს ავტონომია** თუ გამოცხადდა, ჩვენც იმაში მოგვათავსებენ და რადგანაც ჩვენში ბევრი მამულია, ქართველები მოვლენ და ჩამოგვისახლდებიანო...”<sup>110</sup>. (ხაზი ჩვენია, მ. მ.)

აფხაზეთის საქართველოსაგან განცალკავების კიდევ ერთი მცდელობა 1917 წლის ნოემბერში სოხუმში გამართულ აფხაზეთის პირველ სახალხო ყრილობაზე შედგა. ყრილობაზე მიღებული დეკლარაციის ოთხპუნქტიან ტექსტს, რომელიც გაზეთმა “საქართველომ” გამოაქვეყნა, სრულად გთავაზობთ.

“აფხაზეთის სახალხო საბჭოს მოვალეობაა:

1. რევოლუციის მოპოვებათა დაცვა და განმტკიცება, ხალხის პოლიტიკური აღზრდა და ორგანიზაცია;
2. აფხაზეთის სახალხო საბჭომ უნდა დაიცვას, აგრეთვე, აფხაზეთის ეროვნული და კულტურულ-ეკონომიური უფლებები მათი ყოველგვარი შელახვის ცდისგან, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი;

3. აფხაზეთის სახალხო საბჭოს უმთავრესი საზრუნავია იმუშავოს აფხაზეთის ხალხის თვითგამოსარკვევად;

4. აფხაზეთის ხალხი შედის ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნის, და აფხაზეთის შეერთებულ მთიელთა კავშირში, და რასაკვირველია, ის საჭიროებს მჭიდრო კავშირი იქონიოს მთიელ ძმებთან. აფხაზეთის სახალხო საბჭო იქნება ის ორგანო, რომელიც შეაერთებს აფხაზებს მთიელთა კავშირთან და გაატარებს ცხოვრებაში კავშირის პოლიტიკურ ღოზუნგებსა და დადგენილებებს”<sup>111</sup>.

როგორც ვხედავთ, დეკლარაცია (კერძოდ კი, მე-4 პუნქტი) არის სეპარატისტული და სახავს საქართველოსაგან აფხაზეთის განცალკავების მიზანს. აფხაზეთისადმი მიძღვნილ პირველ ქვეთავში (იხ: “პოლიტიკური სიტუაცია”) აღვნიშნეთ, რომ სახალხო საბჭოს დეკლარაციის მიღებამდეც (1917 წლის 20 ოქტომბერს) სეპარატისტული მოძრაობის მაშინდელი ლიდერი ა.გ. შერვაშიძე იმყოფებოდა ჩრდილოეთ ოსეთში მთიელთა კავშირის ერთ-ერთ შეკრებაზე და მან აფხაზეთის შესვლას მთიელთა კავშირში ხელი მოაწერა “აფხაზეთის ხალხის” სახელით\*. ორ კვირაში მიღებულ იქნა ჩვენ მიერ ციტირებული დეკლარაცია, რომელმაც ა. გ. შერვაშიძის თვითნებურ ქმედებას იურიდიული საფუძველი მისცა.

გაზეთმა “საქართველომ” სეპარატიზმის ეს გამოვლენა შეფასების გარეშე დატოვა და მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების კონსტატაციით შემოიფარგლა. ჩვენი აზრით, საკითხის გაშუქებისადმი ასეთი მიდგომა განაპირობა რედაქციის სამოქალაქო პასუხისმგებლობამ, აფხაზურ-ქართული ურთიერთობის არგამწვავების სურვილმა.

ჩვენი ვარაუდით, რედაქციის “სინჟმე” განპირობებული იყო იმ ფაქტითაც, რომ “საქართველოს” ჟურნალისტებმა ამ დროისათვის უკვე იცოდნენ – მთიელთა კავშირი ანგარიშს უწევდა ამიერკავკასიის მთავრობას, სადაც ქართველ პოლიტიკოსებს დიდი გავლენა ჰქონდათ. ამიტომ, თხოვნის მიუხედავად, მთიელთა კავშირი აფხაზეთს არ შეიერთებდა.

---

\* კერძოდ, ა.გ. შერვაშიძემ ხელი მოაწერა მთიელთა კავშირში “სოხუმის ოლქის მთიელი ხალხის (აფხაზების)” შესვლას. აფხაზეთის მოსახლეობა ვერ დაასახელა, რადგან იცოდა, რომ აფხაზეთის მოსახლეობაში ამ საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნება არ იყო. ამის შესახებ იხ: “ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში”; თბ; 2006წ; გვ: 112

ამის შესახებ ცნობა (ახალი ამბის, საინფორმაციო შენიშვნის სახით) გამოქვეყნებულია გაზეთის იმავე გვერდზე, რომელზეც აფხაზთა სახალხო საბჭოს დეკლარაციაა განთავსებული. კერძოდ, მთიელთა კავშირის განცხადებით, ისინი აფხაზი ხალხის სურვილს მხოლოდ ამიერკავკასიის მთავრობის ნებართვის შემთხვევაში გაივალისწინებდნენ<sup>112</sup>. ეს მართლაც ასე მოხდა, მთიელთა კავშირის “სახელმწიფო ხელისუფლება სოხუმის ოლქზე არ განუხორციელებია. ამ კავშირის ხელისუფლება აფხაზეთზე მხოლოდ “ეროვნული, კულტურული და პოლიტიკური კომპეტენციით” შემოიფარგლა”<sup>113</sup>.

საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფორმირების შემდეგ, აფხაზთა სეპარატისტულად განწყობილმა ნაწილმა საკუთარი მიზნების მისაღწევად აგრესიული გზა აირჩია. 1918 წელს მათ სახელმწიფო გადატრიალების ორი მცდელობა განახორციელეს. პირველად 1918 წლის აგვისტოში თურქეთის პოლიტიკური მხარდაჭერით; მეორე კი ოქტომბერში – თეთრგვარდიული რუსეთის ინსპირირებით. გადატრიალებების ეს მცდელობები გაზეთმა “საქართველომაც” გააშუქა.

**თურქეთი და აფხაზური სეპარატიზმი.** 1918 წლის აპრილ-მაისში ბოლშევიკური წითელი არმია შეიჭრას სოხუმში, რასაც საპასუხო რეაქცია მოჰყვა ამიერკავკასიის მთავრობის მხრიდან\*. მათ შესახერებლად გაგზავნილ იქნა ამიერკავკასიის საჯარისო ნაწილები გენერალ ვალიკო ჯუღელის მეთაურობით\*. საბოლოოდ ბოლშევიკები აფხაზეთიდან განდევნილ იქნენ, მაგრამ მათი შემოჭრის ფაქტი საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რომლებმაც საშველად თურქეთის რეგულარული არმიის ნაწილებს მოუხმეს. თურქული დესანტი აფხაზეთში გადმოჰდა, ასე რომ ჯუღელს ერთი ხელით ბოლშევიკებთან ბრძოლა მოუხდა, ხოლო მეორე ხელით – თურქულ დესანტთან.

ამის შესახებ “საქართველო” წერდა: “აფხაზეთის სახალხო საბჭომ სასტიკი პროტესტი განაცხადა მტრის დესანტის გადმოსხმის გამო და ოსმალთა სარდალს განუცხადა, რომ აბხაზთა ტერიტორიაზე მოქმედობენ აფხაზთა რაზმები

---

\* ბოლშევიკებთან საომარი მოქმედებების მიმდინარეობის პერიოდში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული მთავრობა, რომელმაც გააგრძელა აფხაზეთის ბოლშევიკებისაგან დაცვის საქმე.

\* 1918 წელს ბოლშევიკების მიერ აფხაზეთზე განხორციელებული სამივე სამხედრო აგრესია ძირითადად მოკლე საინფორმაციო შენიშვნებისა და სამთავრობო ანგარიშების ფორმით გაშუქდა “საქართველოს” 1918 წლის შემდეგ ნომრებში: 44; 70; 86; 96; 97; 98; 100; 106; 126.



საქართველოს რესპუბლიკის ჯარებთან ერთად”<sup>114</sup>. საქართველოს მთავრობამ აფხაზეთში თურქი დესანტის უკანონო გადმოსხმის გამო პროტესტი განუცხადა თურქეთის პოლიტიკურ მკავშირეს – გერმანიას, რომლის სამხედრო დანაყოფები მაშინ ამიერკავკასიაში იმყოფებოდნენ. “გერმანიის წარმომადგენლებმა [საქართველოს მთავრობას] აღუთქვეს, ამის შესახებ ოსმალეთის მთავრობას მოველაპარაკებითო”<sup>115</sup>, წერს “საქართველო”.

გაზეთ “საქართველოდან” ვგებულობთ იმასაც, რომ თურქულმა დესანტმა აფხაზეთი სწორედ გერმანელების მოთხოვნით დატოვა. “გენერალმა ფონ კრესმა განუცხადა ოსმალეთს, რომ ოსმალეთის გადადგმული ნაბიჯი სრულიად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებებს და იმ მოვალეობას, რომელიც გერმანიამ იკისრა საქართველოს რესპუბლიკის მიმართ”<sup>116</sup>.

წარუმატებლად დამთავრებულ თურქული დესანტის პირველი ღაშქრობას ორ თვეში დესანტის მეორედ გადმოსხმაც მოჰყვა. 1918 წლის 9 აგვისტოს ამჯერად აფხაზი აზნაურის ტ.მარშანიას მამულში გადმოსხმულ იქნა თურქული დესანტი, რომელიც შეუდგა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ აფხაზი და ადგილობრივი თურქი პლანტატორების მობილიზაციას<sup>117</sup>.

რამდენიმე დღეში თურქებისა და ქართველების სამხედრო დანაყოფებს შორის შეტაკება მოხდა ახალ ათონთან. გაზეთ “საქართველოში” ამის თაობაზე ქართული გვარდიის რაზმის უფროსის შეტყობინება გამოქვეყნდა: “18 აგვისტოს ახალი ათონის მონასტერში გამაგრებული ქართული გვარდიის ნაწილს თავს დაესხა ოსმალთა და აფხაზთა გაერთიანებული რაზმი 1000 კაცამდე, ჩვენებმა გაიმარჯვეს, თუმცა 55 კაცი მოუკვდათ ქართველებს”<sup>118</sup>.

ბრძოლის დღესვე, დილის 9 სთ-ზე, როდესაც აფხაზეთის ეროვნული საბჭოს სხდომა უნდა გახსნილიყო, ოპოზიციამ ვ.ა. შარვაშიძის მეთაურობით და მისმა მომხრეებმა შეიარაღებული ძალებით ალყა შემოარტყა სახალხო საბჭოს შენობას<sup>119</sup>. ეს ფაქტი, ანუ აფხაზეთში პირველი პოლიტიკური გადატრიალების მცდელობა გაზეთ “საქართველოს” არ გაუშუქებია. ერთადერთი წერილი<sup>120</sup>, რომელიც აღნიშნულ მოვლენას ეხმიანება ეკუთვნის ნიკო თავდგირიძეს. ეს პუბლიკაცია თავისი შინაარსით სოციალისტური პოლიტიკის კრიტიკაა, ავტორი საქართველოს მენშევიკურ მთავრობას საყვედურობდა იმ აფხაზების დაჭერის გამო, რომლებსაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან კავშირი არ ჰქონდათ. ამ მიზეზის გამო სტატიის შინაარსს სხვა ქვეთავში განვიხილავთ.

ავხაზეთში თურქეთის პოლიტიკაზე საუბარს დავამთავრებთ გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული იმ სტატიის შინაარსით, როელიც 1919 წელს თურქულ გაზეთ “კაეტში”, სავარაუდოდ აფხაზმა ავტორებმა გამოაქვეყნეს და რომელიც აზერბაიჯანულმა გაზეთმა (“აზერბაიჯანში”) გამოქვეყნა. სტატიის ავტორი აფხაზეთში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას აფხაზი ერის გენოციდად მიიჩნევს:

“ქართველებს გერმანელთა მხარდაჭერით აფხაზების ჟლეტა არ ეყოთ და ახლა წითელი არმიის (იგულისხმება საქართველოს რესპუბლიკის არმია. მ. მ.) დახმარებით ჟლეტენ აფხაზებს. ... უბედური აფხაზები, რომელთაც დღემდე შეინარჩუნეს თავის ხალხოსნობა და რომელთაც ვერა დააკლო რა თვით რუსეთის დევნამაც, იღუპებიან დღეს სამუდამოთ... აფხაზთა დარბეულ სოფლებში დაძრწიან ქართველი აგენტები, რომლებიც ძალით აწერინებენ მათ ხელს ქვეშევრდომობაზე ამ რიგად ქართველებს სურთ თავის ძალადობა დააკანონ საზავო კონფერენციის წინაშეც, მაგრამ მათ ამაზე ამაო იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

მდიდარი და მშვენიერი აფხაზეთი, რომელმაც საშნელი მადა აღუძრა საქართველოს, დღეს ცრემლისა და დარდის არეს წარმოადგენს. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ტანჯვა-წამება მხოლოდ სომხებმა შეისმინეს, მხოლოდ მათ აღიმაღლეს ხმა და აფხაზეთში ხალხი მიენდო ამ კეთილშობილურ ძალას”<sup>121</sup>.

როგორც ჩანს, თურქეთის მიერ აფხაზეთის ანექსიის წარუმატებელი მცდელობების შემდეგ საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებათა ასპარეზად თურქული პრესა იქცა.

**დენიკინის მოხალისეთა არმია.** თურქეთის დახმარებით პოლიტიკური გადატრიალების მცდელობა რომ კრახით დასრულდა, სეპარატისტთა ჯგუფმა გეზი იმ დროისთვის გაძლიერებული თეთრგვარდიული რუსეთისაკენ აიღო. ერთ დროს თურქოფილი სეპარატისტის ა. გ. შერვაშიძის მეთაურობით აფხაზთა დელეგაცია თეთრგვარდიულ გენერალ ალექსეევს 1918 წლის სექტემბერში ქ. სოჭში შეხვდა. დელეგაციის წევრებმა გენერალს “სთხოვეს გაენთავისუფლებინა აფხაზეთი საქართველოს შეიარაღებული ძალებისაგან...” თხოვნა გენერალმა ალექსეევმა ხელსაყრელ საბაზად გამოიყენა დაკარგული მიწების (იგულისხმება სოჭი და გაგრა. მ.მ. ) რუსეთის მფლობელობაში დასაბრუნებლად<sup>122</sup>.

ავვისტო-სექტემბერი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორმა ყუბანში, ქ. ეკატერინოდარში გენერალ ალექსეევთან მოლაპარაკებებს მონაწილეობდა. მოლაპარაკებები წარუმატებელი გამოდგა. საქართველომ დათმო ქ. ტუაფსე, მაგრამ თეთრგვარდიელები მოითხოვდნენ ქართული საჯარისო ნაწილების გაყვანას ქ. სოჭიდან და ქ. გაგრიდანაც. გაზეთ “საქართველოში” ისტორიკოსი სარგის კაკაბაძე წერდა: “ტუაფსეს ოლქი ამჟამად დაკარგულია ჩვენთვის და ევ. გეგეჭკორს ბედად ხვდა ეს ოფიციალურად დაკარგული დაედასტურებინა ეკატერინოდარში გამართული მოლაპარაკებების დროს...”

ბოლშევიკებთან ბრძოლაში გარჯვებული გენერალი ალექსეევი მაინც ცალი თვალით სამხრეთისკენ იყურება და საქართველოს მის ბუნებრივ მიჯნას (იგულისხმება გაგრა და სოჭი მ. მ.) ეცილება. ეს ცხადი მანევრებელია იმისი, რომ აგრესიული რუსული ნაციონალიზმი, რომელსაც ჩვენ აქ გაბოროტებული რუსული აფიცრობისა და ჩინოვნიკობის სახით ვხედავთ, ყუბანის ოლქში რეალურ ძალად იქცა და ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებას არ დააყოვნებს, თუკი ვითარებამ ხელი შეუწყო”<sup>123</sup>.

მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ გენერალ ალექსეევის მოთხოვნა არ შეასრულა და არ დათმო ქალაქები სოჭი და გაგრა, აფხაზეთში შიდა ანტიქართული ძალები ამოქმედდნენ. აფხაზეთის სახალხო საბჭოს ნაწილმა 1918 წლის 9 ოქტომბერს მეორე პოლიტიკური გადატრიალების მცდელობა განახორციელა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს შენობას ალყა შემოარტყა აფხაზთა შეიარღვეულმა რაზმებმა. ამ ოპერაციას თაოსნობდნენ აფხაზეთის საოლქო კომისარი ივ. მარღანია, აფხაზეთის საქმეთა მინისტრი რ.ჩქოტუა. სახალხო საბჭოს ანტიქართულად განწყობილმა ფრთამ (ხმოსნები დ.ალანია; ს.აშხაცავა და სხვები) სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს მენშევიკ ექიმს ვ. შერვაშიძეს თანამდებობის დატოვება მოსთხოვა. მათ ამ თანამდებობაზე ს. აშხაცავას დანიშნვა სურდათ. ვ. შერვაშიძის მხარდამჭერმა ჯგუფმა მოახერხა საქართველოს მთავრობასთან დაკავშირება. სახალხო საბჭოში გამოცხადდნენ სანაპირო ფრონტის შტაბის უფროსი პოდპოლკოვნიკი თუხარელი და პოლკოვნიკი წერეთელი. გადატრიალების მეორე მცდელობაც მარცხით დამთავრდა <sup>124</sup>.

გაზეთი “საქართველო” ამ ფაქტს მხოლოდ მთავრობის მიერ გავრცელებული ოფიციალური ცნობით გამოეხმაურა: “ოლქის კომისრის მარღანიასა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოტუას მეთაურობით შედგა გადატრიალების

მცდელობა. მათი მეთურობით აფხაზეთის ცხენოსანი ასეული და აფხაზეთის მილიცია გარს შემოერთება აფხაზეთის სახალხო საბჭოს შენობას. შენობაში შევიდნენ შეიარღვეული პირები, ხოლო გარეთ ტყვიამფრქვევლები გამაგრდნენ”<sup>125</sup>. აჯანყების მარცხით დამთავრების შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაშლილად გამოაცხადა აფხაზეთის სახალხო საბჭო და ახალი არჩევნები დანიშნა.

“ საარჩევნო კომისიაში დასახელებულ იქნენ ვარლამ შერვაშიძე, ისიდორე რამიშვილი, ვასილ გურჯუა, ექიმი პაშალიდი და გირგი შანშიევი. გარდა ამისა, სოხუმის კომისრად დასახელდა ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც ამავდროულად ქუთაისის გუბერნატორია”<sup>126</sup>.

აფხაზეთში 1919 წელს სახალხო საბჭოს არჩევნები ჩატარდა. მენშევიკთა შემუშავებული საარჩევნო დებულების თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა აფხაზეთში მაცხოვრებელ იმ პირებსაც მიეცათ, რომლებიც არ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. სწორედ ამიტომ ის ძალა, რომელმაც 1918 წლის 9 ოქტომბრის პოლიტიკური გადატრიალება დაგეგმა ( დენიკინის გამოგზავნილი რუსი დემიანოვი და მის გარშემო გაერთიანებული სეპარატისტული ხმოსნები) აფხაზეთის სახალხო საბჭოში დარჩა.

1919 წელი აფხაზეთში თეთრგვარდიელების სამხედრო აგრესიის წელი იყო. ამიერკავკასიიდან გერმანიის წასვლისა და თეთრგვარდიული რუსეთის მეკავშირის ინგლისის შემოსვლის შემდეგ, საქართველოს ეროვნული მთავრობა დენიკინისა და მისი თანამებრძოლების პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა.

1919 წლის გაზეთ “საქართველოს” ნომრები გაჯერებულია თეთრგვარდიელებსა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ნაწლებს შორის მიმდინარე საომარი დაპირისპირების ამსახველი მასალებით. გაზეთმა გამოაქვეყნა სოჭში საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის მიხა ხოჭოლაავას სატელეფონო (პირდაპირი მავთულით) შეტყობინება.

შეტყობინების თანახმად, ქართველი გენერალი კონიაშვილი, პოლკოვნიკი წერეთელი და პეტრიევი მოხალისეთა არმიას ტყვედ აუყვანია. მოხალისეთა არმიამ სოჭზე იერიში მიიტანა 24 იანვარს გამთენიისას. მათ ეხმარებოდნენ “ბანდები”, რომლებიც სომხებისაგან იყო დაკომპლექტებული. “სომხებსა და ქართველებს შორის მომხდარ უთანხმოებაში მუშაობს ვიდაცის უცხო ხელი, რომელიც სთესავს პროვოკაციას”<sup>127</sup>, ატყობინებდა საქართველოს მთავრობას მიხა ხოჭოლაავა.

თეთრგვარდიელებმა ქართველი სამხედროები გამოუშვეს, მაგრამ ტუაპის რაზმის გენერალმა ბურნევიჩმა კონიევის შეკითხვებს ულტიმატუმით უპასუხა: “მე მივიღე ბრძანება ჩემი მთავრობის მიერ დავიკავო სოჭის ოლქი იმ ცარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობის გამო, რომელიც ხსენებულ ოლქში ხდება. ამიტომ, თქვენო აღმატებულებავ, სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად წინადადებას გაძლევთ, დაჰყაროთ იარაღი და ჩაგვაბაროთ მთელი სამხედრო მასალა. ყველა ქართველი მეომარი და ადმინისტრაციი მოსამსახურენი, იარაღის ჩაბარების შემდეგ განთავისუფლებულნი იქნებიან და შეუძლიანთ წავიდნენ საქართველოში”.

კონიაშიელი საქართველოს მთავრობას ატყობინებდა: “მდგომარეობა მძიმეა, ფრონტზედ მრავალი დაჭრილი და დახოცილია. ხოსტში “მოხალისეთ” ზურგში გადმოგვისხეს დესანტი. ზღვაში ნაღმოსანი სდგას და ნიშანს ელის. ველი თქვენს კატეგორიულს ბრძანებას”<sup>128</sup>.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ვეგენი გეგეჭკორმა ეს ამბავი შეატყობინა ინგლისის წარმომადგენლობას. გაზეთმა “საქართველომ” ინგლისელებისადმი მიწერილი საპროტესტო ნოტის სრული ტექსტი გამოაქვეყნა: “საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ მომანდო განუცხადო თქვენს აღმატებულებას სასტიკი პროტესტი მოხალისეთა არმიის ასეთი გამოსვლის წინააღმდეგ და განვაცხადო, რომ საქართველოს მთავრობა ურთიერთშორისი გავლენის მოხდენის პრინციპით მიიღებს ყველა ზომებს თავისი ინტერესების დასაცავად და იარაღით ხელში დაიცავს თავის ტერიტორიების ხელშეუხებლობას და მის ხალხის უფლებებს და ინტერესებს”<sup>129</sup>, წერდა საქართველოს საგარეო მინისტრი.

საპროტესტო ნოტისა და ინგლისის წარმომადგენელთა მოთხოვნის მიუხედავად დენიკინის მოხალისეთა არმიამ საომარი მოქმედებები არ შეაჩერა. ერთმანეთის მიყოლებით აიღეს ქალაქები სოჭი და გაგრა. გაზეთ “საქართველოს” ერთ-ერთი სარედაქციო წერილი კავკასიაში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკას აკრიტიკებს.

“ჩვენმა ჯარმა სოჭის ოლქში ინგლისელების რჩევით დაიჭრა ის ხაზი, რომელიც ჩვენთვის ნაკლებ ხელსაყრელი იყო სტრატეგიულად. ეს შეცდომა ძვირად დაგვიჯდა. მტერი ღია კარებში შემოგვეჭრა, მოწინავე რაზმები გაგვიულიტა და ჩვენ მთავარ ძალას ხოსტში უკან დასახევი გზა გადაუჭრა... ინგლისის მთავარსარდალი აშოშმინებს ჩვენს მთავრობას და არწმუნებს, მას, რომ

თუ მოხალისეთა რაზმმა საქართველოს საზღვრები გადმოლახა, თვით ინგლისი ამას ომის საბაზად მიიჩნევს და საქართველოს ტერიტორიის ხელუხლებლობას დაიცავს. როგორ შეიძლება, რომ რომელიმე კავკასიელ ერს მოკრძალება ჰქონდეს დიდი ბრიტანეთის ძლიერების წინაშე, თუკი მის სიტყვას დენიკინის რაზმებიც კი არაფრად აგდებენ?<sup>130</sup> წერდა “საქართველოს” კორესპონდენტი.

თეთრგვარდიელთა ბრძოლა საქართველოს წინააღმდეგ ქ. გაგრის აღებით დასრულდა.

### **ბოლშევიკური რუსეთი აფხაზეთში. გაზეთმა “საქართველომ”**

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო აფხაზეთში ბოლშევიკების მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის ფაქტების გაშუქებას. პირველი ბოლშევიკური გამოსვლა 1918 წლის თებერვალში, ქ. სოხუმში მოხდა.

1918 წლის 15 თებერვალს სოხუმის პორტში შემოვიდა რუსეთის შავიზღვისპირეთის ფრონტის სამხედრო ესკადრის კრეისერი “დაკია”. 16 თებერვალს ერთ-ერთმა მეზღვაურმა შეურაცხყოფა მიაყენა პორუჩიკ ნ.ემხვარს, რომელმაც მეზღვაურს არ აპატია და იგი მოკლა. მეზღვაურებმა მთელი რიგი მოთხოვნები წაუყენეს ქალაქის ხელმძღვანელობას მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის შექმნა. ხელისუფლება იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნები. კრეისერი “დაკია” ჯავშნოსანმა “დერზკიმ” შეცვალა. დრანდის მოსახლეობამ შეიპყრო ემხვარი და მისი ძუძუმტე, რომელიც გადასცეს “დერზკის” ეკიპაჟს, რუსმა მეზღვაურებმა აფხაზები წამებით მოკლეს\*. ამან საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია

აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაუყოვნებლოვ დატოვა სოხუმი და კოდორის მოსახლეობასთან ერთად სამხედრო სამზადისი დაიწყო. მათ მოსთხოვეს მეზღვაურებს დაეშალათ სამხედრო რევოლუციური კომიტეტი, ამ მოთხოვნაზე უარი მიიღეს. ბოლშევიკებმა ციხეებიდან გაათავისუფლეს პატიმრები, მათ შორის ყაჩაღები, დაურიგეს მათ იარაღი და ბრძოლაში ჩართეს. სოხუმი ორი დღის განმავლობაში იბომბებოდა რუსული ჯავშნოსანის “კაროლ კარლის” მიერ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მხოლოდ 20 თებერვალს მოხერხა სოხუმის დაბრუნება.<sup>131</sup>

\* ეს ამბავი ლეო ქიანელმა საკუთარი ნოველის “ჰაკი აბას” ფაბულად გამოიყენა.

ეს ბოლშევიკური გამოსვლა გაზეთმა “საქართველომ” მხოლოდ ერთი საინფორმაციო შენიშვნით, მას შემდეგ გააშუქა, რაც სოხუმში კვლავ ამიერკავკასიის კომისარიატის მმართველობა აღდგა. კომისარიატის მიერ ქალაქის თავად დანიშნული მენშევიკი ბენია ჩხიკვიშვილი დეპეშით იტყობინებოდა, რომ ბოლშევიკების მიერ განთავისუფლებულმა პატიმრებმა ტყეებს შეაფარეს თავი: “მდგომარეობა სასოწარკვეთილებამდე მიდის, ჩვენ არ გვიჯერებენ და მტრულად გვიცქერიან. დრანდის მეგრელები და აფხაზები, რომლებსაც ჩვენთან კარგი დამოკიდებულება აქვთ, სასოწარკვეთილებაში არიან შექმნილი მდგომარეობის გამო და შესაძლებელია ოსმალეთის დესანტს გადმოსხმა სთხოვონ წესრიგის დასამყარებლად, თუ დროზე შესაფერისი ღონისძიება არ ვიხმარეთ...”<sup>132</sup> – ატყობინებდა მთავრობას ჩხიკვიშვილი.

მდგომარეობა ორ თვეში კვლავ დაიძაბა. თავდაპირველად ბოლშევიკური გამოსვლები დაიწყო გაგრაში, სადაც ადამიანთა მცირე ჯგუფმა შექმნა აღმასრულებელი კომიტეტი და გაგრაში გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. 7 აპრილს მათ ალყა შემოარტყეს სოხუმს, დაიკავეს ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა სასიცოცხლო პუნქტები. შეიქმნა სამხედრო რევოლუციური კომიტეტები, მუშათა და გლეხთა აღმასრულებელი კომიტეტები შეიქმნა გუდაუთასა და სამურზაყანოშიც.<sup>133</sup>

გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად ბოლშევიკების მიერ შექმნილი სამხედრო რევოლუციური კომიტეტები ითხოვდნენ, რომ აფხაზეთის ყველა საბოქაულოს, მათ შორის ქ. სოხუმს ეცნო სახალხო კომისრების, ანუ ბოლშევიკური მთავრობის ძალაუფლება. სოხუმის მოსახლეობამ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ მეგრელებისა და სომხების დახმარებით გაძლიერებულმა ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს სოხუმზე, აიღეს იგი და ქალაქს 2 მლნ მანეთის კონტრიბუციაც დააკისრესო. “სენაკში ბოლშევიკებმა გაგზავნეს დეპეშა: სოხუმი ავიღეთ და განზრხვა გვაქვს ფოთზე გამოვიღაშქროთო. ბოლშევიკებს აქვთ იარაღი და ფული. ბოლშევიკი ჯარისკაცი დღე-ღამეში 2 თუმან ფულს დებულობს”<sup>134</sup>, იტყობინებოდა გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტი.

სოხუმის მოსახლეობის ბოლშევიკურად განწყობილ ნაწილს ამიერკავკასიის მთავრობის წევრმა აკაკი ჩხენკელმა სპეციალური შეტყობინებაც გაუგზავნა: “მე გთხოვთ, ყოველგვარი ზომები მიიღოთ დაუყოვნებლივ ანარქიის შესაჩერებლად. მოიწვიეთ სახალხო ყრილობა და გამოაგზავნეთ თბილისში თქვენ თქვენი

წარმომადგენლები, რათა ჩვენთან ერთად და ჩრდილო კავკასიელ მთიელთა წარმომადგენლებთან ერთად, შეერთებულის ძალით, გამოვიმუშავოთ კონსტიტუცია, განვსაზღვროთ და დავადგინოთ სახელმწიფოებრივი სწორი მიჯნები, რათა თქვენმა ხალხმა მთელმა აფხაზობამ და სამურზაყანოელებმა, მასში ჰპოვონ თავიანთი იმედებისა და სურვილების ახდენა, ფართო გულითადი გამოძახილი, რომ სავსებით, როგორც კავკასიის ფედერაციის სრულუფლებიან წევრს თანასწორივე მზრუნველობა და ყურადღება მიეცეს ყოველისფერის დასაკმაყოფილებლად”<sup>135</sup>.

თუმცა, მშვიდობისმოყვარეობისაკენ მოწოდებამ ბოლშევიკური ამბოხება ვერ ჩაახშო. მათი დამარცხება ამიერკავკასიის სეიმის მიერ გაგზავნილმა სამხედრო არმიამ შესძლო, რომელსაც გენერალი ვალიკო ჯუღელი და პოლკოვნიკი კონიაშვილი მეთურობდნენ. “საქართველოში” გამოქვეყნდა მოკლე შინაარსი იმ ანგარიშისა, რომლითაც ვალიკო ჯუღელი 1918 წლის 29 მაისს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე წარსდგა.

ჯუღელის თქმით, მან საომარი მოქმედებების დაწყებამდე თურქეთსა და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის ქალაქ ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებებზე გააგზავნა აფხაზ მუშათა და გლეხთა წარმომადგენლები და თურქეთის მთავრობას გადასცა, რომ ის აფხაზები, რომლებმაც თურქული დესანტი აფხაზეთში ბოლშევიკებთან საბრძოლველად მიიწვიეს, სინამდვილეში არ გამოსატავდნენ აფხაზი ხალხის უმრავლესობის ნებას (ხაზი ჩვენია).

ამის შემდეგ იგი კოდორის ხეობაში გამაგრებულ ბოლშევიკებთან საბრძოლველად გაემგზავრა, თავდაპირველად მათთან მშვიდობიანი მოლაპარაკება სცადა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლშევიკებმა დაყარეს ჭორი, რომ ჯუღელის რაზმი თავადაზნაურებისაგან შედგებოდა და აფხაზეთში კონტრ რევოლუციისათვის ჩავიდა. ამან რომ არ გასჭრა, ახალი ჭორი მოიფიქრეს, ვითომ ჯუღელის რაზმი აფხაზეთში სომეხი ეროვნების მოსახლეობის ამოსაქლეტად იყო ჩასული, ამანაც რომ არ გაჭრა, ხმები დაყარეს, ჯუღელი აფხაზეთის დასაპყრობად არის ჩამოსული.

ჭორებმა არ გაამართლა და ბოლშევიკები სამხედრო დაპირისპირებაზე გადავიდნენ, პირველი ყუმბარა მათ გაისროლეს. იღბალი თავიდან მათ მხარეს იყო, მაგრამ შემდეგ ქართულმა არტილერიამ ძალიან ზუსტი იერიში მიიტანა



ბოლშევიკთა ბანაკზე და ისინი ოჩაჩირიდან გაგრამდე, შემდეგ კი სოჭამდე განდევნაო. “ბოლშევიკებს თანაუგრძნობდნენ მოიჯარადე მეგრელები, მოიჯარადე და პლანტატორი სომხები და აფხაზები. კოდორის აფხაზები ჩვენ მხარეს იყვნენ, გუდაუთისა, კი – ბოლშევიკების მხარეს<sup>136</sup>”, ასეთი ინფორმაცია მიაწოდა მთავრობას გენერალმა ჯუღელმა.

მისივე თქმით, იმ ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, რაც ბოლშევიკები აფხაზეთში მმართველობდნენ, მოასწრეს ეროვნული შუღლის გაღვივება ჯერ ბერძნებსა და მეგრელებს, ხოლო შემდეგ სომხებსა და ბერძნებს შორის.

მამასადამე 1918 წლის მაისში გენერალ ვალიკო ჯუღელის მეთურობით ბოლშევიკები აფხაზეთიდან განდევნილ იქნენ.

მეორე ბოლშევიკური თავდასხმა აფხაზეთზე 1918 წლის ივნისში განხორციელდა. “მათ წინააღმდეგ საბრძოლველად სოხუმში გადასროლილ იქნა ქართული სამხედრო რაზმები გენერალ გ.მაზნიაშვილი ხელმძღვანელობით. ქართულმა შეიარღვებულმა ძალებმა სოჭის ბოლშევიკური რაზმები, რომლებიც ზურგს უმაგრებდნენ აფხაზეთის ბოლშევიკებს, დაამარცხეს, ისინი აიძულეს უკან დაეხიათ და დაეტოვებინათ გაგრა. საომარი ოპერაციები გადატანილ იქნა სოჭის ოლქის ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობის განკარგულებით გენერალმა მაზნიაშვილმა გააგრძელა ბოლშევიკების დევნა. ქართულმა ჯარმა 3 ივლისს დაიკავა ადლერი, ხოლო 27 ივლისს - სოჭი<sup>137</sup>”.

მაზნიაშვილის სამხედრო ექსპედიციის შესახებ გაზეთი “საქართველო” წერდა: “გენერალ მაზნიაშვილის ჯარს მიზნად აქვს დასახული სულ მოკლე ხანში გაწმინდოს სოხუმის ოლქი ბოლშევიკებისგან და იარადი აჰყაროს არასაიმედო ელემენტებს, რასაც ძალიან დიდი თანაგრძნობით ეკიდება აფხაზების უმრავლესობა”<sup>138</sup>.

მაზნიაშვილმა, არათუ სოხუმი გაანთავისუფლა, არამედ გაგრა, სოჭი და ტუაფსეც კი აიღო. ქართული არმიის ამ ხანმოკლე წარმატებამ გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტებს ახალი იმედები ჩაუსახა: “თუ შავი ზღვის გუბერნია საქართველომ შემოიერთა, ხელოვნურად ამართული ყორეები მოიშლება და სოჭისა და ტუაფსეს მიდამოების გაქართულება რამდენიმე წელში მოხდება. ეს საბოლოოდ დააშოშმინებს სამეგრელოსაც, რომელიც დიდ სივიწროვეს განიცდის თავისუფალი მიწის უქონლობით<sup>139</sup>”, წერდა “საქართველოს” კორესპონდენტი.

სხვაგან გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტი ნიკო თავდგირიძე ქართული არმიის საომარ მოქმედებებს ასე აფასებდა: “ხშირად როცა ხალხის განწყობა სურთ აამაღლონ, რაიმე სახალისო მოვლენას განგებ გამოიგონებენ. აქ კი თვით ჩვენივე მოძმეების საგმირო საქმეები უცხოელებს იპყრობს, იმონებს და ქედს ახრევენებს ჩვენი ძლიერების წინაშე”<sup>140</sup>. 300-400 კაციანი რაზმით სოჭისა და ტუაფსეს აღება და ბოლშევიკური არმიის განდევნა არის წარმოუდგენელი გმირობა, რასაც გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობითა და ქართველი ჯარისკაცების გამბედაობით მივაღწიეთო, წერდა ნიკო თავდგირიძე.

“რამდენადაც შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებზე მტერთან შეტაკებამ სახელი გაუტეხა ქართულს ლაშქარს(იგულისხმება ბათუმის დაპყრობა თურქეთის მიერ. მ.მ.) და მწარე გრძნობით ადავსო ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილი, იმდენად უკანასკნელი ოპერაცია (იგულისხმება მაზნიაშვილის მიერ აფხაზეთიდან ბოლშევიკების განდევნა მ.მ.) ისტორიულად დამსახურებულს სახელს უბრუნებს მთელს ქართულ მხედრობას და აიმედოვნებს მოქალაქეებს, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ბედი ამიერიდან უზრუნველყოფილ იქნება მუხანათურ მტრის შემოსავისაგან”,<sup>141</sup> წერდა გაზეთ “საქართველოს” კიდევ ერთი უცნობი პუბლიცისტი.

“საქართველოს” პუბლიცისტთა სიხარული ნაადრევი გამოდგა, რადგან ქალაქი ტუაფსე დაახლოებით ერთ თვეში დაეთმეთ, ხოლო ქალაქები – სოჭი და გაგრა 1919 წელს ერთმანეთის მიყოლებით დაიპყრო თეთრგვარდიული რუსეთის მოხალისეთა რაზმებმა.

1920 წელს შავი ზღვის გუბერნიაში გლეხები აჯანყდნენ, მათ დენიკინის რაზმები გააძევეს სოფლებიდან – ხოსტა, პლასტუნკა, ადლერი. მარტის თვისათვის მთელი შავი ზღვის გუბერნია ბოლშევიკური ორგანიზაციების მმართველობის ქვეშ მოექცა. ისტორიკოს მერი გაბედავას თქმით, 1920 წლის მაის-ივნისში რუსეთის წაქეზებითა და დახმარებით ბოლშევიკური მოძრაობის ინსპირირებას ადგილი ჰქონდა სამაჩაბლოელ ოსებში. პარალელურად ბოლშევიკებმა თავი წამოყვეს აფხაზეთშიც, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მოახერხა ეს მოძრაობა ძირშივე ჩაეხშო. “აფხაზეთის ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად 1920 წლის მეორე ნახევრიდან აფხაზეთში ფაქტობრივად შეწყდა ბოლშევიკური საქმიანობა”<sup>142</sup>.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ 1920 წლის მაის-ივნისში, როდესაც აფხაზეთში ბოლშევიკთა მხრიდან კიდევ ერთი პროვოკაცია განხორციელდა, გაზეთი “საქართველო” არა გამოდიოდა. შესაბამისად ამ მოვლენებს გაზეთი ვერ გააშუქებდა.

აფხაზეთში ბოლშევიკების უკანსაკნელი შემოტევა 1921 წლის თებერვლის ბოლოს განხორციელდა. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის 6 მიმართულებიან გეგმაში, ერთ-ერთი მიმართულება სწორედ გაგრა-სოხუმის მიმართულება გახლდათ. აფხაზეთზე საბჭოთა რუსეთის მე-9 არმიის შემოტევა 19 თებერვალს დაიწყო. ამავე დღეს გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნდა კორესპონდენცია “აფხაზეთში”. ავტორის თქმით, სოხუმში შეკრებილა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრთა საერთო ყრილობა.

“მთავრობის მოწოდებამ ქვეყნის დასაცავად ძალთა მობილიზაციის შესახებ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. ყრილობამ დაადგინა: მიიღოს ყოველგვარი ზომები ქვეყნის დასაცავად. დგება მოხალისეთა რაზმები ... ყრილობა ღრმად დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი კვლავ გაიმარჯვებს მტერზე, რომელიც საქართველოს ველურათ დაესხა თავს”<sup>143</sup>.

მეორე დღეს, გაზეთი “საქართველო” სულ ორი წინადადებით იუწყებოდა, რომ გაგრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეჩერებულია<sup>144</sup>. თუმცა, ამ საიმედო ინფორმაციას რეალური საფუძველი არ გააჩნდა, 22 თებერვალს საბჭოთა ჯარებმა აიღეს გაგრა, 3 მარტს კი ქალაქი – სოხუმი. ამ დროისათვის გაზეთი “საქართველო” დახურული იყო, დედაქალაქში საბჭოთა რუსეთის დროშა ფრიალებდა.

ამრიგად, გაზეთ “საქართველოში” აისახა აფხაზეთში 1915-18 წლებში არსებული სეპარატისტული მოძრაობის ტენდენციები – კერძოდ კი ის, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ნაწილს – როგორც სოხუმის ქალაქის საბჭოს რუს, ბერძენ და სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ასევე, ეთნიკური აფხაზების ერთ ჯგუფსაც – არ სურდა საქართველოს ავტონომია, მათ ეშინოდათ, რომ “ქართველები ჩაუსახლდებოდნენ”, ეს კი ჩვენთვის სასურველი არ არისო.

1918 წლის შემდეგ აფხაზეთში არსებული შიდა სეპარატიზმი იკვებებოდა ჯერ თურქეთის, შემდეგ კი თეთრი რუსეთის სამხედრო მხარდაჭერით. მოგვიანებით ეს გარეშე ძალა ჩაანაცვლა საბჭოთა რუსეთმა, რომელიც აფხაზთა

ეროვნული თვითმყოფადობის მოტივაციით კი არა, სოციალური სამართლიანობის დემაგოგიური ლოზუნგით მოქმედებდა. სწორედ ამიტომ, რეგიონს შიგნით ბოლშევიკურ გამოსვლებს ეთნიკური აფხაზებზე მეტად მოიჯარადე გლეხები (როგორც ქართველები– მეგრელები, ასევე სომხები, ბერძნები, რუსები) უჭერდნენ მხარს.

ამ ისტორიული კონტექსტის ფონზე გაზეთმა “საქართველომ” 1918 წელს ასახა აფხაზეთში სამი ბოლშევიკური გამოსვლა, თურქული დესანტის ორჯერ გადმოსხმის ფაქტი, პოლიტიკური გადატრიალების მცდელობები; 1919 წელს – დენიკინის მოხალისეთა არმიასთან სამხედრო დაპირისპირება; 1920 წელს – შავი ზღვის გუბერნიაში გლეხთა აჯანყებები და თეთრგვარდიული რუსეთის დამარცხება; დაბოლოს, 1921 წელს გაზეთის უსაფუძვლო ოპტიმიზმის მიღმა გამოიკვეთა გასაბჭოების, მათ შორის გაგრა-სოხუმის მხრიდან წამოსული ანექსიის გარდუვალი პერსპექტივა.

## 2.4. ”საქართველო” პატრიოტი აფხაზების შესახებ

გაზეთ “საქართველოში” აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის ჟურნალისტური მასალები, რომელშიც აფხაზებისადმი მხარდაჭერა, მოწონება და სიყვარულია გამოხატული.

განსაკუთრებული სიყვარულით რედაქციამ აფხაზეთის უკანსკნელი მთავრის უბრწყინვალესი თავადის მიხეილ შერვაშიძის (ხამუთ ბეის) ვაჟის გიორგი შერვაშიძის (ზოგან შარვაშიძედ არის მოხსენიებული) გამოხატა. აფხაზი მამისა და ქართველი დედის ალექსანდრა (ცუცუ, კესარია) დადიანის ვაჟი, გიორგი ენციკლოპედიურ წყაროებში მოხსენიებულია აფხაზ და ქართველი პოეტად, დრამატურგად, პუბლიცისტად და საზოგადო მოღვაწედ, ქართველ თერგდალეულთა თანამოაზრედ. იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე აფხაზთა და ქართველთა შორის ურთიერთობის გამყარებისათვის, აფხაზეთის პროქართული ორიენტაციისათვის იბრძოდა.

გიორგი შერვაშიძე ისევე, როგორც მამამისი, რუსეთის იმპერიის მიერ არაერთგზის იქნა რეპრესირებული. 1866 წელს საგლეხო რეფორმის გატარების გამო აჯანყებულმა აფხაზებმა სცადეს 1864 წელს გაუქმებული აფხაზთა

სამთავროს აღდგენა და მთავრად გიორგის დასმა. თუმცა, ამ აჯანყებას, რომელიც რუსეთმა სისხლში ჩაახშო, მოჰყვა მუჰაჯირობის პირველი ტალღა, 20 წლის გიორგი შერვაშიძე კი, რუსეთში გადაასახლეს. მართალია, 9 წლის შემდეგ იგი უდანაშაულოდ სცნეს და საქართველოში დაბრუნების უფლება მისცეს, მაგრამ 1905 წლამდე აფხაზეთში ჩასვლის უფლება არ მისცეს.

გიორგი შერვაშიძის პიროვნების აღსაწერად მოვიხმობთ იმ ნაწყვეტს, რომელიც ისტორიკოსმა დ.ჩიტაიამ თავის წიგნში<sup>145</sup> მოიტანა. ეს მოგონება ასახავს 1917 წელს ქ. სოხუმში გამართულ აფხაზეთა პირველ ყრილობას, რომელზეც ჩამოყალიბდა აფხაზეთა სახალხო საბჭო, მიღებულ იქნა აფხაზეთის კონსტიტუცია და დეკლარაცია. მოგონების პირველწყაროა 1931 წელს ბერლინში გამოშვებული ქართული ჟურნალის “თეთრი გიორგის” ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატია “გაუცხოების დასაწყისი”.

“კრების დღეა. სოხუმის ქუჩები გადაჭედებულია ხალხით. აფხაზების ყრილობაზე თავადობა და გლეხობა ერთად იყრის თავს, ერთად ბჭობენ, თანაც ყოველ წვერი თანასწორუფლებიანია. კრების დარბაზში შემობრძანდა მთავრის ძე გიორგი შარვაშიძე. ყველა ფეხზე დაუდგა. გიორგიმ აფხაზურ ენაზე მიმართა დამსწრე საზოგადოებას. აუხსნა რუსეთის მდგომარეობა, მიულოცა თავისუფლების მოახლოება და დაასკვნა: თქვენ უფროს ძმებს მიჰყევით. (გულისხმობდა ქართველებს. დავით ჩიტაია), მათთან ერთად იმოქმედეთ და იბრძოლეთ თავისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. ვიცი, ზოგიერთებს არ მოეწონებათ ჩემი ასეთი აზრი, რადგან ისინი მოსკოვისკენ იყურებიან, მე კი თბილისისკენ. სხვა გზა არც არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისთვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირში და ღხინში”. ამის შემდეგ ავტორი ასკვნის, რომ ეს იყო მათრახი რუსოფილებისათვის. “გაათავა გიორგიმ და გამობრძანდა დარბაზიდან”<sup>146</sup>. ზემოთაც ვთქვით, რომ ამ ყრილობაზე მაინც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აფხაზეთის კავკასიის მთიელთა რესპუბლიკაში გაწევრიანების შესახებ.

გ.შერვაშიძე 1918 წლის თებერვალში სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როდესაც სოხუმს რუსეთის შავიზღვისპირეთის ფრონტის სამხედრო ესკადრის ჯავშნოსანი გემი “კაროლ კარლი” ბომბავდა. ქალაქის მთავრობა კოდორში იყო გახიზნული და ბოლშევიკების მიერ სოხუმზე მიტანილი შეიარაღებული აგრესიის ჩახშობისთვის ემზადებოდა. გარდაცვლილი უხმაუროდ და უფერულად დაკრძალეს

მოქვის საგვარეულო ტაძარში. აფხაზეთს გიორგი შერვაშიძის გლოვისთვის არ ეცალა.

მისი დაღუპვა გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული ჩანახატით აღნიშნა ქართველმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ. რობაქიძისეული ტექსტი, ბუნებრივია, მხატვრულ-ლიტერტურული უფროა, ვიდრე – პუბლიცისტური. ავტორმა გაიხსენა, თუ როგორ გაიცნო გიორგი შერვაშიძე: “იგი ცხენით მოდიოდა სოხუმის ქუჩაში. გადმოხტა, გავიცანი: გიორგი შერვაშიძე შვილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრისა. რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლათ არის აყვანილი სილადით კიდევ, – თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია, ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უაილდის ყელსახვევისა, ქართული ყაიდა ჩაცმულობისა, მკაცრი სტილით ჩამოკვეთილი: სადა და ამასთანავე მეტად რჩეული...”

სილამაზე ივერიული: ხაზების სისწორე და სირბილე, სწორუპოვარი პროფილი: – აქაც სისადავე და რჩეულობა თან. მთელი საუკუნოებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს. უბრალო მიმოსვრაც მოწმობს მისი, რომ მის გვარში ასი წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა. არაფერში ეტყობა ძალდატანება: მოძრაობა, თავის დაჭერა, სიარული, ბაასი – თავისუფალი მეტად და ამასთანავე ძალზედ წარჩინებული. რაც უნდა მოიმოქმედოს, ყველაფერი ლამაზი გამოუვა – გიელვებთ ფიქრი”<sup>147</sup>.

შემდგომში მწერალი გიორგი შერვაშიძეს სოხუმის ქალაქის თავის, ნიკო თავდგირიძის მიერ გამართულ ვახშამზე შეხვდა. ამჯერად შერვაშიძეს ვეროპულად ეცვა და არანაკლებ დახვეწილად გამოიყურებოდა. რობაქიძემ განსაკუთრებით აღნიშნა ის გარემოება, რომ გიორგი შერვაშიძე თავისუფლად საუბრობდა ფრანგულად, რუსულად, ქართულად და აფხაზურად. აგრეთვე, იცოდა გერმანული და ინგლისური ენები. ზედმიწევნით იცოდა “ვეფხისტყაოსანი” და “თვითონაც მწიგნობრობდა”.

“ბაასის საგანი ხშირად საქართველოა. გაბედულება მისი საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება – აი მისი ფიქრის ხვეული. ხოლო აქაც ნელი, რბილი, უღელვებელი. ხანდახან ოსმალეთსაც ჩააყენებს საქართველოს საკითხში და ეს იმ დროს, როდესაც თუთუნს მოახვევს, საგანგებოდ უგზავნის სტამბოლიდან ერთი ოსმალო... ამ დღეებში მოვიდა ამბავი

მისი სიკვდილისა, მოგვშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი”<sup>148</sup>, წერდა გრიგოლ რობაქიძე.

გიორგი შერვაშიძის ხსოვნას აფხაზეთში პატივი მხოლოდ გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ მიაგეს. ამ დროს საქართველო უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკა იყო. ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა ამბროსიმ (ხელაიამ) სოხუმში გიორგი შერვაშიძის სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა. კიდევ ერთხელ გაიხსენეს გიორგი შერვაშიძის ანდერძი: “საქართველო უაფხაზეთოდ არ ვარგა და აფხაზეთი უსაქართველოდ”<sup>149</sup>.

გაზეთ “საქართველოს” არც სხვა აფხაზების ღვაწლი დაუტოვებია ყურადღების გარეშე. მაგალითად, გაზეთმა აღნიშნა აფხაზ ანდრია ლაკერბაიას გარდაცვალებაც. “საქართველოს” კორესპონდენტის თქმით, გარდაცვლილმა უარი თქვა სამხედრო სამსახურზე, პოლკოვნიკობაზე და მომრიგებელი მოსამართლის ნაკლებად საპატიო თანამდებობა აირჩია. მისი აარჩევანი განპირობებული იყო საკუთარ პატარა ერთან სიახლოვის, მისი ჭირისა და ღხინის გაზიარების სურვილით.

ანდრია ლაკერბაია არაერთხელ გამოჰქომაგებია თავის მცირერიცხოვან ერს, დაუცვია მისი ღირსება, მაშინ, როდესაც აფხაზების შესახებ რუსის მთავრობასთან და საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებლებთან არასწორი ინფორმაცია მიჰქონდათ ავის მოსურნეებსო. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მეფის კანცელარიაში დაუტოვებია მოხსენება “სიმართლე აფხაზეთზე”. პირადულზე წინ ყოველთვის საზოგადო საქმე ეყენა და ამიტომაც მთელი აფხაზეთი დასტირისო, წერდა გაზეთ “საქართველოს” ჟურნალისტი.<sup>150</sup>

აქვე ორიოდ სიტყვით შევეხებით იმ გარემოებას, რომ მაშინ როდესაც აფხაზი ერის რეპუტაციასა და ღირსებას ღახავდნენ, გაზეთი “საქართველო” მისი ქომაგობის ტვირთს კისრულობდა. 1916 წელს აფხაზეთში მომსახურე ერთ რუს ჩინოვნიკს რუსულ გაზეთში გამოუქვეყნებია სტატია, რომელშიც წერდა, რომ აფხაზეთში მცხოვრები რუსები 1916 წლიდან შიშით ელოდნენ აფხაზებისა და თურქების ერთობლივ აჯანყებას და სწორედ ამიტომ გარბოდნენ აფხაზეთიდან<sup>151</sup>.

ჩვენი მხრიდან დაეძინო, რომ XX საუკუნის დასწყისში აფხაზთა პროთურქულად განწყობილმა ნაწილმა მართლაც მოაწყო წარუმატებელი შეიარაღებული გადატრიალებები, ოღონდ არა 1916, არამედ 1918 წლებში. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, რუსი ჩინოვნიკის ინფორმაციაში სიმართლის წილი არცთუ მცირე იყო.

თუმცა გაზეთმა “საქართველომ” ამ ბრალდებას პროვოკაცია უწოდა და მეფის მთავრობის წინაშე აფხაზთა რეპუტაცია ასე დაიცვა: “სინამდვილეში კი აფხაზები შველოდნენ, ესმარებოდნენ, უმასპინძლებოდნენ იმ რუს მცხოვრებთ, რომელნიც სოხუმს სტოვებდნენ და მთებში იხიზნებოდნენ”, რუსმა გენერალმა ზაპინსკიმ აფხაზებს ნამდვილი პატრიოტები უწოდა. მამუხდარა რუსი მოხელეც სიცრუეს აფხაზთა დალატზე, ალბათ, მაშინ შეთხზავდა, როცა რომელიმე აფხაზის სუფრასთან იჯდაო<sup>152</sup>, აღნიშნა გაზეთის კორესპონდენტმა.

შეჯამებისას ვიტყვით, რომ აფხაზი პატრიოტების ამავის დაფასებით და მათი საქმის პოპულარიზაციით, აგრეთვე, აფხაზი ერის ღირსების ქომაგობითა და დაცვით გაზეთ საქართველოს” ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დათბობა-მოგვარების საქმეში საკუთარი, გამოკვეთილად დადებითი წვლილი შეჰქონდა.

### **3. აფხაზეთში მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა**

გაზეთ “საქართველოში”, როგორც საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ბეჭდვით ორგანოში, სისტემატურად იბეჭდებოდა მასალები, რომელიც სოციალისტური პარტიების, განსაკუთრებით მენშევიკური ფრთის პოლიტიკას აკრიტიკებდა.

სოციალიზმის კრიტიკა აფხაზეთზე გამოქვეყნებულ საგაზეთო მასალებშიც დროდადრო გვხვდება. გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტები აკრიტიკებდნენ ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის, ხოლო შემდეგ – საქართველოს ეროვნული მთავრობის პოლიტიკას აფხაზეთში. კერძოდ, მათ უკმაყოფილებას იწვევდა მენშევიკური მთავრობის **საკადრო და საარჩევნო პოლიტიკა**; აგრეთვე ისინი მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს მთავრობას უფრო ეფექტურად უნდა ებრძოლა **ქ. სოჭის შენარჩუნებისათვის** და უნდა ჰქონოდა პრეტენზია ამ ქალაქაზე, მით უფრო, რომ საამისო საფუძველი არსებობდა. გარდა ამისა, “საქართველომ” გააკრიტიკა აფხაზეთში მიწების გადანაწილების საკითხი.

#### **3.1. მენშევიკური მთავრობის საკადრო და საარჩევნო პოლიტიკის კრიტიკა**



“საქართველოს” ერთი-ერთი კორესპონდენტის (ფსევდონიმი ინ-რი) კრიტიკა დაიმსახურა მენშევიკმა გენერალმა ვალიკო ჯუღელმა. ერთ-ერთ წერილში<sup>153</sup> გატარებული მოსაზრების თანახმად, სწორედ გენერალ ჯუღელის მიერ დანიშნულმა რუსმა მოხელეებმა მოახდინეს პროვოცირება იმისა, რომ აფხაზებმა თურქეთს დახმარება სთხოვეს.

1918 წლის თებერვალში აფხაზეთზე ბოლშევიკთა პირველი შეიარაღებული აგრესია რომ მოიგერია, გენერალმა ჯუღელმა სოხუმის სამხედრო მმართველობა ჩააბარა ასევე სოციალტებს, ეროვნებით რუს ტუგაევს (ქალაქის კომენდანტი) და ნოვიკოვს (შტაბის უფროსი).

ივნისში საქართველოს მთავრობამ გერმანიის საჯარისო ნაწილებს ქ. სოხუმში შესვლა სთხოვა. მთავრობის თხოვნა განპირობებული იყო მოარული ხმებით, რომ ადგილობრივი სეპარატისტები აპირებდნენ თურქეთისათვის სამხედრო დახმარების თხოვნას და აფხაზეთში თურქული დესანტის გადმოსხმა იგეგმებოდა.

საქართველოს მთავრობის გათვლით, ეს გეგმა ჩაიშლებოდა, თუკი სოხუმში გერმანიის სამხედრო ნაწილები შევიდოდა. გათვლა მარტივ ლოგიკას ეფუძნებოდა – გერმანია პირველ მსოფლიო ომში თურქეთის პოლიტიკური და სამხედრო პარტნიორი იყო, ამდენად თურქეთი ვერ გაბედავდა იმ ტერიტორიის ანექსიას, სადაც მისი პოლიტიკური პარტნიორის, გერმანიის სამხედრო ნაწილები იქნებოდა გამაგრებული.

გერმანელებმა თხოვნა შეგვისრულეს, ქ. სოხუმის პორტსა და საკრებულოს შენობის თავზე გერმანული დროშა აფრიალდა. “საქართველოს” კორესპონდენტის თქმით, ამან ძალიან გააბრაზა ადგილობრივი რუსები, რომელთაც მხარი აუბეს ჯუღელის მიერ დანიშნულმა ტუგაევმა და ნოვიკოვმა. მათ მასხრად აიგდეს გერმანელი მაღალჩინოსანი სამხედროები. სოხუმის საკრებულოში შესულ გერმანელებს მოასმენინეს მარსელიოზა და ამ დროს ფეხზე ადგომაც კი აიძულეს\*.

პირველად გერმანელმა სამხედროებმა ეს მოითმინეს, მეორედ კი ყველაფერი საკუთარ ელჩს შეატყობინეს, მოხსნეს თავიანთი დროშა და სოხუმი დატოვეს.

---

\* საფრანგეთი პირველ მსოფლიო ომში გერმანია-თურქეთის წინააღმდეგ იბრძოდა. ბუნებრივია, კაიზერული გერმანიის სამხედრო პირები ღრმად შეურაცხყოფილად იგრძნობდნენ თავს, როდესაც აიძულეს ფეხზე ადგომა და თავიანთი მტრის, საფრანგეთის ეროვნული ჰიმნის (თანაც სოციალისტურის) მარსელიოზას მოსმენა .

მართალია, სოხუმელ რუსებს ეს ძალიან გაუხარდათ, მაგრამ გერმანელების წასვლამ თურქებს გზა გაუხსნა. ერთ კვირაში აფხაზი თავადი ალ. მარშანია გუდაუთაში გამაგრებულ ბოლშევიკებთან ბრძოლის ეგიდით აფხაზეთში 600 კაციან თურქულ დესანტს შემოუძღვა. ეს ფაქტი, “საქართველოს” კორესპონდენტის თქმით, ჯუღელის მიერ დანიშნული კადრების უტაქტო პოლიტიკის შედეგი იყო.<sup>154</sup>

რედაქციის გულისწყრომას საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიერ ქართველი ჯარისკაცების არსათანადო დაფასებაც იწვევდა. გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტმა ნიკო თავდგირიძემ ერთ-ერთ სტატიაში ქართული საჯარისო ნაწილებისა და ქართველი ჯარისკაცებისადმი უღირსი დამოკიდებულებაში დაადანაშაულა მენშევიკური მთავრობის მიერ სოხუმში სამოქალაქო თავმჯდომარედ დანიშნული გიზო ანჯაფარიძე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1918 წელს აფხაზეთში სამი ბოლშევიკური გამოსვლა ჯერ ამიერკავკასიის, შემდეგ კი, დამოუკიდებელი საქართველოს საჯარისო ნაწილებმა ჩაახშეს. საომარი მოქმედებების დროს ქართველმა ჯარისკაცებმა ცნობილი სარდლების მეთურობით აფხაზეთის საზღვარი გააფართოვეს და ქ. ტუაფსეც კი დაიჭირეს.

“საქართველო” წერდა: “გენერალ მაზნიაშვილის ოპერაციებმა სოხუმის ოლქსა და შავი ზღვის გუბერნიაში აღადგინეს ქართული იარაღის პრესტიჟი, რომელიც შეიბღალა ბათუმის ოლქში\*. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცებისათვის. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოელებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულან, შეგვიძლიან, თუ არა საკუთარი ძალებით სახელმწიფოს აშენება”<sup>155</sup>.

ბუნებრივია, რომ ქართველი ჯარისკაცები რედაქციამ გმირებად მონათლა და საკადრისი ხოტბაც შეასხა. თუმცა, თავდგირიძის თქმით, სოხუმში მენშევიკ საჯარო მოხელეს გიზო ანჯაფარიძეს აუთვალწუნებია ქართველი ოფიცრები იაშვილი, ჭკადუა, დუნდუა. ისინი სასტუმროში ქეიფისას ანჯაფარიძეს გაულანძღავს კიდევ: “იცით მე ვინ ვარ! მე შემიძლია თქვენი გაუბედურება და გასაღდათება”. მეტიც, ოფიცერი დუნდუა ანჯაფარიძემ დააჭერინა კიდევ<sup>156</sup>.

---

\* 1918 წლის აპრილში, მაისსა და ივნისში თურქეთმა დაიპყრო აჭარა, აიღო ქ. ბათუმი და ბრძოლები ახალციხე-ახალქალაქის მაზრებში გადმოიტანა. ახალშექმნილ ქართულ არმიას უჭირდა თურქეთის ძლიერ სამხედრო ძალასთან დაპირისპირება.

სტატიის ავტორი მკითხველს აფხაზეთში ანჯაფარიძის მუშაობიდან კიდევ ორ ფაქტს აწვდის. პირველი ისაა, რომ ანჯაფარიძემ სოხუმში დააბრუნა ორი ბოლშევიკი, რომლებიც გენერალმა მაზნიაშვილმა ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებების გამო აფხაზეთიდან გააძევა. (მათ აფხაზეთიდან განდევნილ ბოლშევიკური არმიის ნაწილებისათვის 2 მლნ სახელმწიფო ფული გაუტანებიათ). მეორე ფაქტი კი ის იყო, რომ ანჯაფარიძემ ტუაფსეს რუსი მოსახლეობა შეკრიბა და განუცხადა, საქართველოს რესპუბლიკას ტუაფსეს აღება არ სურდა, უბრალოდ ბოლშევიკებთან ბრძოლის გამო მოუხდა ამ ქალაქის აღება. რუსეთში ბოლშევიკების დამარცხებისა და დამფუძნებელი კრების არჩევნების შემდეგ ქართული ჯარი ტუაფსესაც და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სოჭსაც დატოვებს<sup>157</sup>.

ანჯაფარიძის საქციელი სტატიის ავტორმა ანტიქართულ პოლიტიკად შეაფასა: “საჭიროა ჩვენმა მთავრობამ მეტი დაკვირვება და წინდახედულება გამოიჩინოს, როდესაც განაპირა რეგიონებში აგზავნის სპეციალურ რწმუნებულებს”<sup>158</sup>, წერდა თავდგირიძე.

ამავე წერილში ნიკო თავდგირიძე აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით მთავრობამ დააკავა ცნობილი, პატივსაცემი და, რაც მთავარია, ქართველებისადმი ერთგულებით გამორჩეული აფხაზი თავადი დიმიტრი მარშანია. მისი ერთადერთი ვაჟი, თურმე, ქართულ ჯარში იბრძოდა და მძიმედ დაიჭრა კიდევ. დიმიტრი მარშანია მენშევიკურ მთავრობას ჯერ თბილისში გადაუსახლება, მოგვიანებით კი უდანაშაულოდ უცვნია და სოხუმში დაუბრუნებია. “ამნაერი მოპყრობის გამო ყველა ის აფხაზი, რომელიც ჩვენთვის თავს დადებდა სამსხვერპლოდ, ჩვენი წინააღმდეგი შეიქნა”<sup>159</sup>, წერდა თავდგირიძე.

ნიკო თავდგირიძე მენშევიკური მთავრობის მიერ სანდო პირად მიჩნეულ აფხაზ ჯოტო შერვაშიძეს აკრიტიკებს. აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომრეს, ჯოტო შერვაშიძეს საქართველოს მენშევიკური მთავრობისათვის წაუყენებია მოთხოვნა, რომ ქართულმა ჯარებმა აფხაზეთი სასწრაფოდ დატოვონო. ამის გამო თავდგირიძემ შერვაშიძე “ვითომ ჩვენიანად” მოიხსენია.

“ის ჯარი, რომელმაც განსაცდელისაგან იხსნა მთელი აფხაზეთი, რომელმაც საარაკო გაბედულება და მამაცობა გამოიჩინა ბოლშევიკებთან ბრძოლაში, ეს ჯარი უნდა განიდევნოს აფხაზეთიდან? რას მოასწავებს დევნა,

დამცირება, ჩაგვრა და ლანძღვა გენერალის მაზნიაშვილისა, რომელმაც აღადგინა უცხოელ ერთა თვალში ქართველ მეომართა სახელი?”, წერდა თავდგირიძე.

დაბოლოს, თავდგირიძის განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ პირველი გადატრიალების მცდელობის შემდეგ, როდესაც საქართველოს მთავრობამ აფხაზეთის სახალხო საბჭო დაშლილად გამოაცხადა, **არჩევნების გარეშე** შეიქმნა დროებითი სახალხო საბჭო. ეს საბჭო თითქმის მთლიანად სოციალისტი ხმოსნებით დაკომპლექტდა, ხოლო თავმჯდომარის თანაშემწედ და ფაქტობრივად ყველა საქმის წარმმართველად დაინიშნა რუსი დემიანოვი.

თავდგირიძე წერდა: “თუ სამართლიანობის აღდგენა გვინდოდა, კონსტიტუციონური წესის თანახმად უნდა მოვქცეულიყავით: დაგვეთხოვა საბჭოს მთელი შემადგენლობა და ახალი, წესიერი არჩევნები მოგვეხდინა. ჩვენ გაგვეხარდა, რომ ერთმა ნაწილმა საბჭოსისამ ძალით გარეკა მეორე, სრულუფლებიანი წევრი საბჭოსისა, მაგრამ რა მოვიგეთ ამით? იცის, თუ არა მთავრობამ, რომ ეხლანდელი, ვითომდა ჩვენი მომხრე აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწედ და ფაქტიურად საქმეების გამგედ მოწვეულია კერენსკის კაბინეტში ყოფილი მინისტრის თანაშემწე დემიანოვიჩი. ეს დემიანოვიჩი არის მომხრე, თანამგრძობელი და მესაიდუმლე იმ რუსი მოღვაწეებისა: ტომარა-ზახაროვებისა და კომპანიისა, რომელნიც დაუძინებელი მტერნი არიან ქართველობისა და ყოველს საშუალებას ხმარობენ, რომ ქართველებს აფხაზეთში ნიადაგი მოუსპონ”<sup>160</sup>, წერდა ნიკო თავდგირიძე.

ამ სტრიქონების დაწერიდან 2 თვეში აფხაზეთში მოხდა პოლიტიკური გადატრიალების მეორე მცდელობა, ამჯერად თეთრგვარდიული რუსეთის ინსპირირებით. გამართლდა ნიკო თავდგირიძის ეჭვი იმის შესახებ, რომ დემიანოვი რუსეთის ინტერსების გამტარებელი იყო. როგორც ისტორიკოს მერი გაბედავა წერს, დემიანოვი აფხაზეთის საზღვართან, ქ. ეკატერინოდარში გამაგრებულ თეთრგვარდიული სარდლის ალექსეევის კადრი გახლდათ. მოვლენათა განვითარებამ დაადასტურა, რომ სოციალისტი დემიანოვი რუსეთის მონარქისტული მიზნების განხორციელებისათვის იღვწოდა.

მეტიც, რუსი დემიანოვი 1919 წლის თებერვალში აფხაზეთში გამართული პირველი არჩევნების შემდეგაც დარჩა. მან გარს შემოიკრიბა საბჭოს კიდევ 7 წევრი და აფხაზეთის სახალხო საბჭოში შეიქმნა სეპარატისტულად

განწყობილ ხმოსანთა ჯგუფი. ჩვენი აზრით, აფხაზეთის სახალხო საბჭოში საქართველოს ინტერესების მოწინააღმდეგეთა მოხვედრა იყო შედეგი 1918 წლის დეკემბერში საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული საარჩევნო დებულებისა.

დებულებამ აფხაზეთში მაცხოვრებელ საქართველოს არამოქალაქე, ანუ სხვა ქვეყნის მოქალაქე პირებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება დაუმტკიცა. საარჩევნო დებულების მე-2 მუხლში ჩაიწერა: “აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა არჩევნების უფლება აქვს განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და სარწმუნოებისა აფხაზეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომელსაც საარჩევნო სიების შედგენამდე შესრულებია ოცი წელიწადი და რომელსაც აფხაზეთში ბინადრობა ჰქონია 1914 წლის ივლისის 19-მდე”<sup>161</sup>.

ჯერ კიდევ საარჩევნო დებულების მიღებამდე გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტი (ფსევდონიმით “რიონელი”\*) ითხოვდა, რომ საქართველოს პარლამენტს ეს დებულება არ დაემტკიცებინა. “ნუთუ, ამ პატივცემულმა პირებმა არ უწყიან, რას ნიშნავს ასეთი დებულება? ნუთუ, მათ არ ესმით, თუ რა დიდ საფრთხეს უმზადებს ასეთი დებულება როგორც თვით აფხაზეთს, ისე საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას? ნუთუ, მათ არ იციან, აფხაზეთში დღეს ბინადრობს 60 ათასი რუსი და 30 000 სომეხი, რომელთა დიდი უმრავლესობა უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომია და ამიტომ მათი მისწრაფება, ეჭვი არ არის, იქნება უცხოეთისკენ და არა საქართველოსკენ?

და თუ ესმით, რას ნიშნავს ყოველივე ეს, მაშ რას ნიშნავს ასეთი პოლიტიკური შეცდომა? ვგონებ, დრო არის მოვშორდეთ ვიწრო პარტიულ ბურჟუსს, ვიმოქმედოთ სახელმწიფოებრივი გეზით და ვაწარმოოთ რეალური პოლიტიკა”, წერდა “საქართველოს” კორესპონდენტი<sup>162</sup>.

მისი უკმაყოფილების მეორე მიზეზი იყო ის, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს არჩევნებისათვის შექმნილ კომისიაში, რომელიც უხუცესი

---

\* ჩვენი აზრით აღნიშნული სტატიის ავტორი შეიძლება იყოს ნიკო ნიკოლაძე, რადგან ფსევდონიმი “რიონელი” ერთ-ერთია მისი ფსევდონიმებისაგან. თანაც, სტატია, მართალია, აფხაზეთს ეძღვნება, მაგრამ ფაქტობრივად სოციალისტური და ეროვნული მსოფლ მხედველობის დაპირისპირებას ასახავს.

მენშევიკის ისიღორე რამიშვილის თავმჯდომარეობით შეიქმნა, აფხაზი ეროვნების ერთი წევრიც კი ვერ მოხვდა. “ამრიგად, გამოდის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია სწყვეტს აფხაზების ბედს თვით აფხაზების დაუსწრებლად<sup>163</sup>”, ასკენის “საქართველოს” კორესპონდენტი.

ისიღორე რამიშვილის პასუხმა, რომ ჩვენ ვიწვევთ აფხაზებს, მაგრამ ისინი არ მოდიანო, კორესპონდენტი ვერ დააკამყოფილა. “სიმართლე გვითხრათ, ასეთი პასუხი არ გვაკამყოფილებს. ასეთი პასიური მოქცევა მაგნებელია როგორც თვით აფხაზებისათვის, ისე საქართველოს რესპუბლიკისათვის. საჭროა ბატონმა რამიშვილმა გამოიკეციოს აფხაზთა მოუსვლელობის მიზეზი, მიიღოს ენერგიული ზომები და დაინტერესოს ამ მომავალ არჩევნებით აფხაზი ხალხი. გეწამს, რომ აფხაზთა დაუსწრებლობას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მოჰყვება მავნე და უსიამოვნო შედეგები<sup>164</sup>”, წერდა “საქართველოს” ჟურნალისტი.

აფხაზეთის სახალხო საბჭოს შემადგენლობა მართლაც ჭრელი გამოდგა. ეს ორგანო მუდმივი ურთიერთდაპირისპირების ფონზე მუშაობდა. პირველსავე სხდომაზე მოხდა კონფლიქტი დემიანოვის ჯგუფსა და საბჭოს დანარჩენ წევრებს შორის. “საქართველოს” კორესპონდენტის თქმით, “პარლამენტში (იგულისხმება აფხაზეთის სახალხო საბჭო მ. მ.) ორი მიმდინარეობაა: უმრავლესობა – დემოკრატიული; მეორე ჯგუფი კი (სულ 8 კაცი) დენიკინის რუსეთის მომხრენი<sup>165</sup>”.

ამავე კორესპონდენტის ინფორმაციით, სხდომაზე გინებამდე (სეპარატისტმა ცაგურიამ შეგინა მთელ საბჭოს) დაუპირისპირდნენ ერთმანეთს მენშევიკები და მენშევიკთა უკიდურესად მემარჯვენე ჯგუფი (ანუ, აფხაზი სეპარატისტები). ხმოსანმა კაკუბავამ თქვა, რომ “საქართველოს დემოკრატიამ ცეცხლით და მახვილით, სიკვდილით დასჯით და ძალდატანებით, რომელიც არ ნახულა ნიკოლოზ მე-2 დროსაც, დაიმორჩილა აფხაზეთი”<sup>166</sup>.

საბჭომ მიიღო რეზოლუცია, (ალბათ, იგულისხმება “აქტი ავტონომიის შესახებ”, რომლის ძალითაც აფხაზეთი გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ერთეულად). კორესპონდენციიდან ვგებულობთ, რომ ამ პროცესს დემიანოვი შეეწინააღმდეგა. მისი აზრით, საბჭო არ იყო უფლებამოსილი ემსჯელა, შედიოდა თუ, არა აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც ავტონომიური ერთეული.

თუმცა, კენჭისყრით გადაწყდა, რომ საბჭოს ამის უფლებამოსილება გააჩნდა. დემიანოვმა ამ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.<sup>167</sup>

ამრიგად, გაზეთი “საქართველო” აკრიტიკებდა აფხაზეთში მენშევიკური ცენტრალური მთავრობის საკადრო და საარჩევნო პოლიტიკას. რედაქციას არც სოციალისტური მთავრობის მიერ დანიშნული ასევე სოციალისტი კადრები მოსწონდა და არც ის – თუ როგორ ჩატარდა აფხაზეთში სახალხო საბჭოს არჩევნები.

### 3.2 სოჭის შენარჩუნებისათვის არასათანადო ბრძოლა

არაერთგზის აღვნიშნეთ, რომ ქართულმა არმიამ 1918 წელს აიღო ქალაქები გაგრა, სოჭი, ტუაფსე. ტუაფსე რამდენიმე კვირაში დაეთმო. თუმცა, თეთრგვარდიელი გენერალი ალექსეევი მოითხოვდა, რომ ქართულ არმიას ქ. სოჭიც დაეცალა. 1918 წლის აგვისტო და სექტემბერი საქართველოს საგარეო მინისტრმა ვეგენი გეგეჭკორმა ქ. ეკარტერინოდარში ალექსეევის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებაში გაატარა.

მოლაპარაკებები ჯერ დასრულებული არ იყო, როდესაც გაზეთ “საქართველოში” ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა სარგის კაკაბაძემ გამოაქვეყნა სტატია “შავი ზღვის სანაპიროსათვის”<sup>168</sup>. სტატიაში იგი აღნიშნავს, რომ ტუაფსე დაკარგულია და ევ. გეგეჭკორს ბედად ხვდა ამ დანაკარგის ოფიციალურად დადასტურება. თუმცა, მეორე ქალაქი სოჭი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთმო, რადგან ამ ქალაქში ქართველი მოსახლეობა ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს და გარდა ამისა, ეს ქალაქი ისტორიულად ძველქართული ქალაქიაო. ბოლოს, ს. კაკაბაძე სოჭის სტრატეგიულ მნიშვნელობაზეც მიუთითებს.

“... შავი ზღვის სანაპიროზედ ჩვენი მიჯნის მოგვარების საქმეში ჩვენ მხარს აღარავინ დაგვიჭერს. საქართველოს დემოკრატია უნდა იზრუნოს საკუთარი ძალით ამ საკითხის გადასაწყვეტად და ენერგიულად უნდა შეუდგეს, სანამ დაკარგულის დაბრუნება შესაძლებელი იქნება, იმის შენარჩუნებას მაინც, რაც ჩვენს ხელთ არის. შავი ზღვის სანაპიროზედ ჩვენი საზღვრები უნდა უზრუნველყოფილ იქმნას. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის თავისუფალი მომავალი და მისი ინტერესები”<sup>169</sup>.

მენშევიკური მთავრობა ტუაფსესა და სოჭის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობის ამოცანად არ მიიჩნევდა. ნიკო თავდგირიძე გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებულ წერილში ამბობს, რომ მან საქართველოს მთავრობასთან შესახვედრად თბილისში ჩერქეზების წარმომადგენელი ჩამოიყვანა.

შეხვედრის მიზანი იყო, რომ ქ. ტუაფსეში მაცხოვრებელი ეთნიკურ ჩერქეზებს ტუაფსეს შენარჩუნების საქმეში საქართველოს მთავრობისათვის მხარი დაეჭირათ. თავდგირიძე შავი ზღვის ქალაქების შენარჩუნების აუცილებლობას ასე ასაბუთებდა: “ტუაპსე ჩვენი სანაპიროების და საზღვრების გასამაგრებლად ისეთივე აუცილებელია, როგორც დარიალის ხეობა. თუ ტუაპსე ჩვენ განკარგულებაში არ იქნა, ზღვის სანაპიროების დცვას და შენარჩუნებას ჩვენ ვერ შევძლებთ”<sup>170</sup>. თუმცა, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ჩერქეზების წარმომადგენელს არც კი შეხვედრიან.

“ბატონმა ჩვენმა საგანგებო რწუნებულმა ევგენი გეგეჭკორმა მე თვითონ მითხრა: რას ვეჩრებით ჩვენ ტუაფსესა და სოჭში, როცა სამეგრელო ვერ დაგვიმშვიდებიაო. შეიძლება ეს მართალი განცხადებაც იყოს, მაგრამ ამგვარი განწყობით ჩვენ გენერალ ალექსეევს ვერაფერს გამოვრჩებით...”<sup>171</sup>, წერდა ნ. თავდგირიძე.

მოგვიანებით, როდესაც ამიერკავკასიაში გერმანიის ჯარები ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ჯარებმა ჩაანაცვლეს, საქართველოს მთავრობის პოზიცია ასეთი იყო: “სოჭის ოლქი ქართველი ჯარის მიერ დატყერილია დროებით, თვით ადგილობრივ მცხოვრებლების სურვილის მიხედვით და ეს ტერიტორია რუსეთს დაუბრუნდება, როცა თვით რუსეთში ნორმალური სახელმწიფოებრივი ცხოვრება დამყარდება...”,<sup>172</sup>

გაზეთ “საქართველოს” ჟურნალისტი არ ეთანხმებოდა საქართველოს მთავრობის პოზიციას: “ჩვენი მთავრობის პრეტენზიები არ სცილდება ე.წ. გაგრის ჭიშკარს, რომელიც ბ. ნ. ჟორდანიას სიტყვით საქართველოს ისტორიულ და სტრატეგიულ საზღვარს წარმოადგენს... სოჭის ოლქი სრულიადაც რუსეთის უდავო კუთვნილებას არ წარმოადგენს. როგორც უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, არათუ სოჭის, არამედ თვით ახლანდელი ტუაფსეს ოლქი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა.



რასაკვირველია, დღეს ჩვენს პრეტენზიებს მარტო თამარ მეფის დროინდელი სიგელებით ვერ დავიცავთ, მაგრამ როგორც ვიცით, საქართველოს რესპუბლიკა მემკვიდრეა არამარტო ბაგრატიონების საქართველოსი, არამედ ამიერკავკასიის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ერთეულისა, რომელშიც ყოველთვის მთელი შავი ზღვის გუბერნია შედიოდა.

სოჭის ოლქში დაახლოებით სამოცდაათი ათასი სული ცხოვრობს და აქედან რუსობა მხოლოდ ნახევარი, ე.ი. ოცდათხუთმეტი ათასია. ყველაზე ჩქარის ტემპით ქართველი მოსახლეობა იზრდება და ეს გასაკვირველი არც არის, რადგან ოლქს მჭიდროდ დასახლებული ქართული პროვინციები აკრავს და ძველი ჯიქეთი კლიმატური პირობებით სამეგრელოს და აფხაზეთის გაგრძელებას წარმოადგენს”<sup>173</sup>.

მაშასადამე, სოციალისტური მთავრობის კრიტიკის კიდევ ერთი მიზეზი მთავრობის მიერ ქ. სოჭის შენარჩუნებისათვის არასათანადო ბრძოლა იქცა.

### **3.3 აფხაზეთში მიწების გადანაწილების პოლიტიკის კრიტიკა**

აფხაზეთში მიწის პოლიტიკა კიდევ ერთი მიზეზი იყო, რის გამოც გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტებმა მენშევიკური მთავრობა გააკრიტიკეს.

1918 წლის გაზეთ “საქართველოს” მე-6 ნომერში გამოქვეყნებულია საინფორმაციო შენიშვნა, რომ გლეხთა დაჟინებული მოთხოვნის გამო აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაადგინა “სახაზინო, საკაბინეტო, სუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და მსხვილ მესაკუთრეთა ტყეები და მთები უნდა გადავიდეს აბხაზების და აბხაზეთის მიწა-წყალზე მოსახლე სხვა ერთა სათემო წყობილებაში”<sup>174</sup>.

მიწის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება ის უმტკივნეულესი თემა იყო, რაც აფხაზი თავად-აზნაურობის ანტიქართულ განწყობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დამხობამდე მეგრელი მოიჯარადე გლეხების სოციალისტურმა მოთხოვნებმა, მიწაზე მათმა პრეტენზიებმა აფხაზი თავადაზნაურობის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ის, რომ მეგრელი მოიჯარადე გლეხების სოციალისტური განწყობა აფხაზების გაბრაზების მიზეზი ხდებოდა – ჯერ კიდევ 1917 წელს გაზეთ “საქართველოში” ნიკო თავდგირიძემ აღნიშნა (იხ: “საქართველო”; 1917წ; №171; გვ:2). ამის შესახებ ჩვენ ამ თავის შესავალშიც ვისაუბრეთ.

მოგვიანებით, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ გამოსცა მიწის დეკრეტი და ფაქტობრივად მიწა სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. ამის შესახებ გაზეთ “საქართველოში” ზაქარია ედილი წერდა: “[მიწის დეკრეტი] აფხაზეთისათვის მეტად ნაადრევი იყო, ვისაც უნახავს აფხაზეთი, იმას ისიც ეცოდინება, რომ აფხაზეთში დღემდის თითქმის სისრულით შენახული იყო ფეოდალური წესწყობილება. ის პატივისცემა, ის თავაზი, რაც 60 წლის წინად იყო ჩვენში, აფხაზეთში შეუცვლელად არის დარჩენილი. დღემდის თავადიშვილის სიტყვა მათთვის თითქმის წმინდათა წმინდა იყო”<sup>175</sup>.

ხოლო ნიკო თავდგირიძე, რომელიც თავდაპირველად მეგრულ მოიჯარადეთა სოციალისტურ განწყობას აკრიტიკებდა, შემდგომში მენშევიკურ მთავრობას მოუწოდებდა ამჯერად მეგრული მოიჯარადეები არ გაებრაზებინა. მოიჯარადე მეგრელები, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, **კვლავინდებურად უმიწოდ დარჩნენ**. საქართველოს მთავრობა მათი მიწით დაკმაყოფილების საკითხს არც კი განიხილავდა, თუმცა, გაჩნდა მოსაზრება, რომ ჩამორთმეულ მიწებზე თურქეთში გადასახლებული მუჰაჯირები უნდა დაებრუნებინათ. ასეთი პერსპექტივა იწვევდა მოიჯარადე მეგრელების უკმაყოფილებას და მათი “გაბოლშევიკების” პროცესს უწყობდა ხელს.

“უმიწო და საპატრონო ჩვენებური მოიჯარადე გლეხებია, ესენი არიან ფაქტიური მემკვიდრენი აზნაურების მამულის. ჩვენი სოციალისტები კი ჩვენ გლეხებს ართმევენ ოფლით და ტანჯვით გაწმენდილ-დამშვენებულ მიწებს და სათათრეთში გაქცეულ მუჰაჯირებს აძლევენ. **ჩვენებურმა გლეხმა ვედარ გაიგო: ვინ არის მისი მტერი და ვინ – მოყვარე. მენშევიკები ართმევენ მიწას და ბოლშევიკები კი აძლევენ**”<sup>176</sup>, წერდა ნიკო თავდგირიძე. (ხაზი ჩვენი ა. მ. მ.)

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ საფუძველს არ იყო მოკლებული აფხაზი სეპარატისტების შიში – “საქართველოს ავტონომია თუ გამოცხადდა, ჩვენც იმაში მოგვათავსებენ და რადგანაც ჩვენში ბევრი მამულია, ქართველები მოვლენ და ჩამოგვისახლდებიანო”. ჩვენ მიერ განხილული ორი სტატია მიუთითებს იმაზე, რომ აფხაზეთში მცირემიწიანობით დატანჯული მეგრული გლეხების ჩასახლება საქართველოსათვის (ყოველ შემთხვევაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისათვის) სასურველ პერსპექტივად განიხილებოდა.

პირველი სტატიის ავტორი წერდა – “თუ შავი ზღვის გუბერნია საქართველომ შემოიერთა, ხელოვნურად ამართული ყორეები მოიშლება და სოჭისა და ტუაფსეს მიდამოების გაქართულება რამდენიმე წელში მოხდება. ეს საბოლოოდ დააშოშმინებს სამეგრელოსაც, რომელიც დიდ სივიწროვეს განიცდის თავისუფალი მიწის უქონლობით<sup>177</sup>” ხოლო ნიკო თავდგირიძე წერდა: “უმიწო და საპატრონო ჩვენებური მოიჯარადე გლეხებია, ესენი არიან ფაქტიური მემკვიდრენი აზნაურების მამულის...” (ორივეგან ხაზი ჩვენია).

მაშასადამე, ჩვენი დაკვირვებით გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტები აფხაზეთში მიწების) სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებას ( და საერთოდაც მთელა საქართველოში კერძო საკუთრების ჩამორთმევას ეწინააღმდეგებოდნენ. თუმცა, თუ ხელისუფლება მიწებს სახელმწიფო საკუთრებად მაინც აცხადებდა, “საქართველოს” პუბლიცისტთა აზრით, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული აფხაზეთის მიწები ეროვნებით ქართველ/მეგრელ გლეხებზე უნდა გადანაწილებულიყო. თუ ეს ასე არ მოხდებოდა, უმიწო მეგრელები ბოლშევიკური რუსეთის მეკავშირედ იქცეოდნენ.

#### 4. აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციების სტატისტიკა; დასკვნები

**სტატისტიკა, ავტორები, ფსევდონიმები.** გაზეთ “საქართველოში” 1915-21 წლებში აფხაზეთზე გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაცია იმ მიზეზის გამო ვერ აღწერეთ, რომ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული კოლექცია საკმაოდ ნაკლებია.

აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებული და ჩვენ მიერ მოპოვებულ-დამუშავებული პუბლიკაციების საერთო რაოდენობა შეადგენს 218-ს. აქედან დიდი ნაწილი საინფორმაციო შენიშვნებს უკავიათ. საინფორმაციო შენიშვნები გაზეთ “საქართველოს” ხან მეორე, ხანაც მესამე გვერდზე ქვეყნდებოდა რუბრიკით “ქრონიკა”.

წიგნი პუბლიკაციების  
ელი ჯამური ოდენობა

915	1	28
916	1	35
917	1	44
918	1	34
919	1	33
920	1	32
921	1	12
<b>ულ</b>	<b>ს</b>	<b>218</b>

საინფორმაციო შენიშვნები, საინფორმაციო კორექსიონდენციების დიდი ნაწილი და ზოგიერთი სარედაქციო სტატია (სარედაქციო სტატიებს ეთმობოდა გაზეთის პირველი, ან მეორე გვერდი) ავტორის ხელმოწერის გარეშე ქვეყნდებოდა. ხელმოწერა აქვთ მხოლოდ ანალიტიკურ სტატიებს, რომლებიც გაზეთის შუაგულში, მეორე და მესამე გვერდზე ქვეყნდებოდა. იშვიათ შემთხვევაში ავტორი ხელს აწერდა სარედაქციო, ანუ პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ პუბლიკაციასაც.

აფხაზეთის თემატიკას ყველაზე უფრო ინტენსიურად აშუქებდნენ ზაქარია ედილი და ნიკო თავდგირიძე. თუმცა, საინტერესო ანალიტიკური სტატიები გამოაქვეყნეს – სპირიდონ კედიამ, გრიგოლ ვეშაპელმა, არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ. რამდენიმე ლიტერატურულ-პუბლიცისტური ნარკვევი კი, გრიგოლ რობაქიძის კალამს ეკუთვნის.

აფხაზეთზე მომუშავე ჟურნალისტების ჩვენ მიერ აღნუსხული ფსევდონიმებია: **ამ-ბერი**; გალიუს; გლეხიშვილი; ი-ლე-ბადათურელი; ილორელი; ინ-რი; ირაკლი; კაი; მეგობარი; **რიონელი**; სალი; ს. ფ. ; ჭახრაკი; ჯუანშერ; **ი.ჯ.** ; **ჯაგახი**.

ფსევდონიმების უმრავლესობა უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ფსევდონიმი **ამ-ბერი** ეკუთვნის ამბროსი ხელაიას. ამის შესახებ წერს მისი მოღვაწეობის მკვლევარი ნ. პაპუაშვილი ჩვენ მიერ არაერთგზის მითითებულ

წიგნში “ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში”; თბ; 2005წ. წიგნის ავტორი კათოლიკოს პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მოგონებებზე (“ჩემი მოგონებები”; თბილისი 2001 წელი) დაყრდნობით აცხადებს, რომ ამბროსი ხელაიას პუბლიცისტური ფსევდონიმებიდან ცნობილია რამდენიმე: “ამბერი” “ქორინბელიელი”; “სამურზაყანოელი”. (იხ, დასახ ნაშრომი გვ: 42).

რაც შეეხება ფსევდონიმებს – ი.ჯ. და ჯავახი – ისინი, ჩვენი ვარაუდით, ეკითვნის “საქართველოს” პუბლიცისტს იასონ ჯავახიშვილს, რომელმაც საკუთარი გვარ-სახელითაც გამოაქვეყნა რამდენიმე პუბლიკაცია აფხაზეთზე. სამწუხაროდ, იასონ ჯავახიშვილის ბიოგრაფია, ან სხვა რაიმე ფაქტი მისი მოღვაწეობიდან, ჩვენთვის უცნობია. ამიტომაც, იგი შესავალში გაზეთ “საქართველოს” ე.წ. ნაკლებად ცნობილ პუბლიცისტებს მივაკუთვნეთ.

კიდევ ერთი ფსევდონიმი “რიონელი”, სავარაუდოდ ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის. ის ფაქტი, რომ აღნიშნული ფსევდონიმი ე.წ. გაშფრულ ფსევდონიმთა რიგს მიეკუთვნება, საკმარისად არ მიგვაჩნია, რადგან იგი შეიძლება იმერეთში მდ. რიონის დაბა-სოფლებსა და ქ. ქუთაისში მაცხოვრებელ სხვა პუბლიცისტსაც აეღო.

თუმცა, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წერილი წარმოადგენს აფხაზეთში მენშევიკური მთავრობის საარჩევნო პოლიტიკის კრიტიკას, აგრეთვე, წერის სტილისა და არგუმენტების დამაჯერებლობის გამო ვფიქრობთ, რომ აღნიშნული სტატიის\* ავტორი, ფსევდონიმით “რიონელი” შეიძლება იყოს ნიკო ნიკოლაძე.

**დასკვნები.** ამრიგად, გაზეთ “საქართველოში” ხუთი წლის განმავლობაში შუქდებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისის აფხაზეთის ცხოვრება. აფხაზეთის შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს შორის ჭარბობს საინფორმაციო ხასიათის მასალები. ანალიტიკური მასალათა რაოდენობა შედარებით მცირეა, თუმცა საკმარისია, რათა გაეიგოთ რედაქციის პოზიცია, შეხედულება ამ მეტად რთულ და თავისებურ რეგიონში წარმოქმნილ პრობლემებთან დაკავშირებით.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი საგაზეთო მასალების ანალიზისას ჩვენ ვცადეთ გამოგვეკვეთა ის ფაქტები, რომლებმაც აღწერეს რეგიონში არსებული სეპარტისტული მოძრაობისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. კერძოდ,

---

\* “აფხაზეთის არჩევნები”; “საქართველო”; 1918 წ.; № 241; გვ: 3 4.

1. **ქართული ენის დევნა.** აფხაზეთში ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დამხობამდე იდევნებოდა ქართული ენა. ენა იდევნებოდა სკოლებიდან, ეკლესიიდან, ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებიდანაც კი. მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (მათ შორის ეთნიკური აფხაზები) არ მიესალმა სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას.

ქართული ენის ეკლესიებში დაბრუნებაც დიდ დაბრკოლებებს გადააწყდა. გაზეთ “საქართველოს” ცნობით, სოხუმის საკათედრო ტაძარში 1919 წელს, ანუ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის არსებობიდან წლინახევრის შემდეგაც წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

რაც შეეხება აფხაზურ ენას, ის პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც გაზეთი “საქართველო” წარმოადგენდა მიიჩნევდა, რომ აფხაზური ენა, ისევე როგორც აფხაზური კულტურა მთლიანად, განსაკუთრებული მოფრთხილების საგნად უნდა ქცეულიყო.

2. **აფხაზეთის მართლმადიდებური ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი.** გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიხედვით ვასკენით, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ეთნიკურ აფხაზებს შორის იყო ორი ჯგუფი. ერთ მათგანს სურდა აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია და ეს სურვილი საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთანავე დააფიქსირეს.

საგარაუდოდ სწორედ ამ ჯგუფის მოთხოვნით, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს (1916 წელს) დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს საეგზარქოსოდან გამიჯნვის საკითხი. ამ პერსპექტივას შეეწინააღმდეგა ეთნიკურ აფხაზთა პროქართული ჯგუფი. ისინი თბილისში ჩამოვიდნენ, შეხვდნენ ეგზარქოს პლატონს და ამიერკავკასიის მეფისნაცვალს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. მათი თხოვნა იყო, რომ აფხაზეთის ეკლესია არ გამოსცალკავებოდა საქართველოს საეგზარქოსოს.

გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტები ცდილობდნენ განემარტათ, რომ ისტორიულად აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია რუსეთის კი არა, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო.

ზაქარია ედილიც კი, რომელიც აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას იგი ისტორიულად გამართლებულ მოთხოვნად მიიჩნევდა, წერდა:

“ახალგაზრდა აფხაზი სამღვდელთა რუსიფიკატორების ხელშია აღზრდილი. რუსიფიკატორებმა აფხაზი სამღვდელთა ქართველებისადმი მტრულად გაწვრთნეს და მათგან განდგომის მეტს არაფერს უნდა მოელოდეთ, მითხრეს სოხუმელებმა”. (ხაზი ჩენია მ.მ.) სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტოკეფალიის მოთხოვნა, ზოგადად ქართული სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი სივრციდან სეპარაციის სურვილი, გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტთა აზრით, შედეგი იყო ასწლიანი რუსიფიკატორული პოლიტიკისა. რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის რუსიფიკატორული პოლიტიკის მხილება მძიმედ გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაცია.

გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტები აფხაზეთის მართლმადიდებლური ეკლესიის თვითმყოფადობის გადარჩენის ერთადერთ გზად მის ისტორიულ წიადში, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაბრუნებას მიიჩნევდნენ. ჭყონდიდელი მიტროპოლიტის ამბროსი ხელის ქადაგებაში აფხაზ მართლმადიდებლებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ატყობინებდა: “არც ძველად... როდესაც ჩვენი ეკლესია თვით განაგებდა თავის ბედს, არ უწარმოებია და არც ახლა, რასაკვირველია, არ აწარმოებს მასზე მცირერიცხოვანი ერების ეკლესიურად შთანთქმის პოლიტიკას, პირიქით, ყოველთვის ხელს უწყობდა სხვა თანამორწმუნე ხალხთა ეკლესიის ნაციონალიზაციას...” წმინდა ამბროსის ეს მიმართვა სწორედ გაზეთმა “საქართველოში” შემოგვინახა.

**3. აფხაზეთის პოლიტიკური მდგომარეობის გაშუქება.** რთულ საგარეო მდგომარეობას აფხაზი სეპარატისტების ჯგუფი შიდა დაძაბულობის ინიცირებისათვის იყენებდა. მათ ჯერ კავკასიის მთიელთა კავშირის დახმარებით სურდათ საქართველოსგან განცალკავება, შემდეგ – თურქეთის დახმარებით, ბოლოს კი – თეთრგვარდიული რუსეთის.

ეს პროცესები, სახელმწიფო გადატრიალებების მცდელობები და დენიკინის არმიასთან ბრძოლა გაზეთმა “საქართველომაც” გააშუქა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზები რედაქციას არ დაუდანაშაულებია. მათი დამუნათება, შერცხვენა-დანაშუსება გაზეთის არც ერთ ნომერში არ გვხვდება.

ყველაზე უფრო მძაფრი შეფასება, რომელსაც ჩვენ აფხაზეთში მიმდინარე სეპარატისტული მოძრაობის შეფასებისას გაზეთ “საქართველოში” გადავაწყდით, ასეთია: “... სომხებისა და რუსების ფულითა და ჩაგონებით გაბრიყვებული, თანამედროვე პირობებით უკმაყოფილო ნაწილი ჩვენი ისტორიულად მოძმე აფხაზებისა ფარულ და ცბიერ პოლიტიკას აწარმოებენ: ერთი ნაწილი გვემხრობოდა

და მეორე ნაწილი ზურგში დასაცემად იარაღს ისხამდა და ოსმალების ჯარის გადმოსასხმელად ემზადებოდა”<sup>178</sup> – ეს მკაცრი შეფასება, რომელიც ნიკო თავდგირიძეს ეკუთვნის გამონაკლისია, სხვა მსგავსი შეფასება ჩვენ გაზეთ “საქართველოში” არ შეგვხვედრია.

გაზეთში გაშუქდა აფხაზეთში განხორციელებული **ბოლშევიკური სამხედრო აგრესიებიც**. თუმცა, ეს გამოსვლები ადგილობრივი სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების მხარდაჭრით არ სარგებლობდნენ. მას მხარს უჭერდნენ უმიწოდ დარჩენილი აფხაზეთში მკვიდრი ქართველი, სომეხი, ბერძენი და, რაც მთავარია, რუსი მოსახლეობა. შეაბამისად, **ეს სხვანაერი მხოლოდ სოციალური მოტივით ნასაზრდოვები სეპარატიზმი იყო**, რაც სწორედ ასეთად შეაფასა კიდევ გაზეთ “საქართველოს” რედაქციამ.

**3. აფხაზების დაფასება-გამოქომაგება.** გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნდა რამდენიმე პუბლიკაცია, რომლებშიც ჟურნალისტებმა პატივი მიაგეს ღირსეულ და პატრიოტ აფხაზებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟის, აფხაზეთისა და საქართველოს გულმხურვალე მამულიშვილის გიორგი შერვაშიძისადმი მიძღვნილი პუბლიკაცია, რომლის ავტორიც გრიგოლ რობაქიძეა.

გარდა ამისა, გაზეთ “საქართველოს” ფურცლებზე შემონახულია აფხაზი პატრიოტის ანდრია ლაკერბაიას სახელი. გაზეთის რედაქცია გამოექომაგა აფხაზი ერის ღირსებას, როდესაც აფხაზებს რუსულ პრესაში იგი რუსეთის იმპერიისადმი დალატის ბრალი დასდეს.

ჩვენი ვარაუდით, ასეთი პუბლიკაციების მიზანი ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დათბობა და დარეგულირება იყო.

**4. მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა.** გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნებულ პუბლიკაციების ერთ ნაწილში გაკრიტიკებულია მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა აფხაზეთში. კრიტიკას იმსახურებდა

ა) არასწორი საკადრო პოლიტიკა – საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პირთა პარტიული ნიშნით დანიშნვა. გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტთა აზრით, სწორედ სოციალისტი ჩინოვნიკები ართულებდნენ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს. წახალისებულნი იყვნენ ზიანის მომტანი პირები, ხოლო დევნას განიცდიდნენ აფხაზი და ქართველი პატრიოტები. მაგალითად, აფხაზი თავადი დიმიტრი შერვაშიძე, რომელიც უსამართლოდ დაადანაშაულეს და დაიჭირეს, ასევე უდიერად მოეპყრნენ ქართული არმიის სანაქებო ჯარისკაცებს.



ბ) სოჭის შენარჩუნებისათვის არასათანადო ბრძოლა. გაზეთ “საქართველოს” არაერთი სარედაქციო წერილში გააკრიტიკეს მენშევიკური მთავრობის მიერ ქ. სოჭის შენარჩუნებისათვის გაწეული ძალისხმევა. პუბლიცისტების აზრით, მენშევიკური მთავრობა არასათანადოდ იბრძოდა ამ ქალაქისათვის. მით უფრო, რომ სოჭი საქართველოს მხოლოდ შუა საუკუნეების ისტორიის საფუძველზე კი არა, უახლესი ისტორიის საფუძველზეც ეკუთვნისო. მეფის რუსეთის დაშლისა და ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ შავი ზღვის გუბერნია (რომელშიც ქ. სოჭიც) შედიოდა საქართველოს ნაწილად გამოცხადდა.

გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტების აზრით, სოჭის დაკარგვა სამხრეთ-დასავლეთის კარიბჭის მოშლასა და მტრისთვის ქვეყნის საზღვრების გახსნას ნიშნავდა.

გ) მიწის პოლიტიკა აფხაზეთში – გაზეთ “საქართველოს” პუბლიცისტების აზრით, აფხაზეთში მიწების სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადება არ უნდა მომხდარიყო, რადგან პატრიარქალურ, ფეოდალურ ურთიერთობების მქონე რეგიონში ეს ნაბიჯი მტრულ ნაბიჯად იქნებოდა აღქმული და აფხაზების ანტიქართულ განწყობას კიდევ უფრო გაამძაფრებდა.

თუმცა, საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთში მიწებს სახელმწიფო საკუთრებად მაინც აცხადებდა, “საქართველოს” პუბლიცისტთა აზრით, სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული აფხაზეთის მიწები ეროვნებით ქართველ/მეგრულ გლეხებზე უნდა გადანაწილებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში უმიწო მეგრელები ბოლშევიკური რუსეთის მეკავშირედ იქცეოდნენ.

**მაშასადამე,** ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოველდღიურმა გაზეთმა “საქართველომ” 1915-21 წლებში გააშუქა საქართველოს ერთ-ერთი ურთულესი რეგიონის, აფხაზეთის ყოფა-ცხოვრება; ასახა ის მრავალფეროვანი და რთული პროცესები, რომლებიც რეგიონში მიმდინარეობდა. გაზეთ “საქართველოს” ფურცლებზე შემონახულ საგაზეთო მასალებში შეხვდებით არაერთ საგულისხმო ფაქტს, რომელიც შეიძლება ძლიერ სასარგებლო იყოს აფხაზურ-ქართული კონფლიქტის შესწავლით დაინტერესებული სპეციალისტების კვლევებისათვის.

## II სამაჩაბლო

### 1. სამაჩაბლო XX საუკუნის პირველ ოცწლეულში

ძველი სამაჩაბლოს, ამჟამად სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რესპუბლიკად წოდებული ტერიტორია “ჩრდილოეთ კავკასიიდან, სადაც ოსთა ისტორიული სამშობლო მდებარეობს იმათავითვე გამოყოფილია სახელმწიფო და იმავდროულად ბუნებრივი საზღვრით – კავკასონის მთავარი წყალგამყოფი თხემით<sup>179</sup>”.

ქართველი და ანგარიშგასაწევი ოსი (გ.თოგოშვილი, ვ.აბაევი) ისტორიკოსები შეთანხმებულები არიან იმ საკითხზე, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან შიდა ქართლში – მაჩაბლების, არგვისა და ქსნის ერისთავების სამფლობელოში ოსებმა ჩამოსახლება დაიწყეს XVII-XVIII საუკუნეებში. “საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს 1922 წლამდე არასოდეს ჰქონიათ რაიმე ეთნოპოლიტიკური, ან ეთნოტერიტორიული ერთეული, ისინი საართველოში ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენდნენ. ცნება “სამხრეთ ოსეთი” შიდა ქართლის მთიანეთის ოსთა კომპაქტური დასახლების ტერიტორიის აღსანიშნავად ხელოვნურად მკვიდრდებოდა მიმოქცევაში ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ მიერთებისა და საქართველოს ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ, რაც ფაქტობრივად ყოველად გაუმართლებელი და მიუღებელი იყო, მაგრამ იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად ერთობა ხელსაყრელი გახლდათ<sup>180</sup>”, – ასეთია ქართველ ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის შეფასება.

ოსთა სეპარატიზმის აშკარა გამოვლინება საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისთანავე დაიწყო. მართალია, სამხრეთ ოსეთის ხალხთა მე-5 ყრილობამ, რომელიც სოფელ ჯავაში 1918 წელს გაიმართა, დაადგინა, რომ “სამხრეთ ოსეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ფართე ტერიტორიული თვითმმართველობის საფუძველზე ...<sup>181</sup>”, მაგრამ ამ ამის მიუხედავად სამხრეთ ოსეთი იქცა ტერიტორიად, საიდანც ყველაზე რეალურ საფრთხე დაემუქრა საქართველოს ახალგაზრდა რესპუბლიკას. 1918-20 წლებში სამხრეთ ოსეთში სამჯერ მოეწყო აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის მტავრობის დამხობის მიზნით.

გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტი ზაქარია ედილი თავისი სამოგზაურო კორესპონდენციების ციკლში “საქართველოს ოსები” წერდა: “ოსებმა

მილიონ ნახევარი ფული შეკრიბეს და დაიწვეს ახალი გზის გაყვანა, რომელიც მათ ჩრდილოეთ ოსეთთან შეაერთებდა. ეს გზა გაჰყვება კახვიდან ლიახვის ხეობას, გაივლის შუაგულს საქართველოს ოსეთისას სოფლებს გუფია, ჯავას, ხცეს, ვანილს, როკის, აქ გადავა მტაგრეხილზედ, ჩავა სოფელ ზაქიში და შემდეგ ალაგირში. ს გზა აერთებს ორთავე ოსეთს ამერსა და იმერსა. ამრიგად შეერთდება და გახდება მთლიანი ერთეული კავკასიის მტაგრეხილით შუაგაგლეჯილი ოსეთისა... ჩვენთვის კი საბედისწერო მნიშვნელობა ექნება ამ გზას<sup>182</sup>”, წერდა ზაქარია ედილი

სამაჩაბლოში მაცხოვრებელ ეთნიკურად ოსი მოსახლეობა “საქართველოს” ჟურნალისტმა დაახასიათა, როგორც უაღრესად შრომის მოყვარე. მიწათმოქმედების გარდა, ისინი მისდევენ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოშენებას. სური რძის ნაწარმი და ძროხის ხორცი, ჟურნალისტის თქმით, თბილისში ძალიან ძვირად ფასობდა.

ოსები ჭრიდნენ ხე-ტყეს და ამუშავებდნენ ხის მასალას. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ოსებმა თბილისთან ვაჭრობას არჩიეს ჩრდილოეთ კავკასიათან ვაჭრობა, იქიდან კი დეფიციტური საქონელი – ფქვილი, შაქარი და ნავთი ჩამოჰქონდათ. ისინი ქართველებზეც ჰყიდდნენ ამ საქონელს, ოღონდ კატეგორიულად მოითხოვდნენ რუსულ ფულს, რაც დამოუკიდებელ საქართველოში დიდი დეფიციტი იყო.

ედილის თქმით, ოსებისათვის ორცოლიანობა ჩვეულებრივი ამბავი იყო. “ისინი სიხარულით მრავლდებიან, ყველა ოჯახში 5-10 ბავშვია”. ამრავლებული ოსური მოსახლეობა ვერარ ეტევა, ამიტომაც ეძებს ცარიელ ადგილებს. “ქათველებისადმი ოსების არამეგობრული დამოკიდებულება არის ისეტივე, როგორიც არის დარიბისა მდიდრისადმი, უმიწაწყლოსი, კარგი დედულმამულიანისადმი და სხვა. მართალია, ქართველი გლეხი ბევრით არაფრით არის შეძლებული ოსეთის გლეხებზედ, მაგრამ მასთან შედარებით უფრო ფართოდა სცხოვრობს, უფრო მეტი მიწა-წყალი აქვს და აქედან გამომდინარეობს შური ქართველებისადმი...

დღეს ოსობა საღტესავით ერტყმის ქართლსა და შიგ მის შუაგულშია შეჭრილი. ქართლს საშნელი საფრთხე მოელის და ამ ფრიადს სერიოზულს საკითხს ჩვენმა მტავრობამ დროულად უნდა მიაქციოს ყურადღება და ოსებს სხვა ადგილი მისცეს

სადმე დასასახლებლად, რათა ოსებმა მთელი ქართლი შუაზედ არ გაჰგლიჯონ და ამით დიდი საფრთხე არ მოუმზადონ საქართველოს”<sup>183</sup>, წერდა ზაქარია ედილი.

გაზეთ “საქართველოში” სამაჩაბლოს შესახებ გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალები ცხადყოფენ, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ეთნიკური ოსების მხრიდან აღვილი ჰქონდა მრავალანერ კრიმინალს – ძარცვას, ყაჩაღობას, თავდასხმებს, ადამიანთა ცემას, გატაცებასა და მკვლელობას. ჟურნალისტური მასალების მიხედვით ისტორიული შიდა ქართლი იკვეთება როგორც ერთგვარი ანკალავი, კრიმინალების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია, რომელზეც ვერც ამიერკავკასიისა და შემდგომში ვერც საქართველოს ხელისუფლება ფაქტობრივად კონტროლს ვერ ამყარებდა.

მკვლევარ ავთანდილ სონღულაშვილის თქმით, კრიმინოგენური ვიტარება განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამწვავდა. “მათ შექმნეს ძირითადად ოსებით დაკომპლექტებული 300 კაციანი შეიარღვეული რაზმი და “წესრიგის დამყარების” საბაბით მემამულეთა ოჯახებზე, საერთოდ ქართველებზე თავდასხმები ძარცვის მიზნით. ამ ფაქტს აღიარებს სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს პირველი სესიაც, რომელიც 1918 წლის 3-4 მარტს გაიმართა<sup>184</sup>”.

სამაჩაბლო (როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვის ხეობა) ეთნიკური თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჭრელი მხარე იყო, თუმცა, აფხაზეთისგან განსხვავებით ეროვნებით ქართულ მოსახლეობას აქ გამოკვეთილად დიდი აღვილი ეჭირა. დემოგრაფ ანზორ თოთაძის მიერ მოპოვებული მონაცემებიტ ჩანს, რომ ქ. ცხინვალში, რომელიც დღეს უკვე დედაქალაქია სეპარატისტული რესპუბლიკისა, 1922 წელს ოსები რაოდენობის მიხედვით ერთ-ერთ ბოლო აღვილას იღვნენ. ირველი აღვილი ებრაელებს (1651 სული); მეორე ქართველებს (1436), მესამე სომხებს (765) ეკავათ. ოსები კი რიგით მეოთხე აღვილას (613) სჯერდებოდნენ.

მრავლეროვან სამაჩაბლოში (როგორც დიდი, ისე პატარა ლიახვის ხეობებში) კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი საზოგადოება ცხოვრობდა. ზემოთა მხარე უფრო ტრადიციული, ფეოდალური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი წეს-ჩვეულებებით ცხოვრობდა და დაგვიანებით ითვისებდა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ პროგრესს.

“ხეობის შუა წელში განსაკუთრებით შეინიშნებოდა სომეხ ვაჭართა მომძლავრება, რომელტაც თითო-ოროლა დუქნის გახსნით დაიწყეს მთის მოსახლეობაში ფეხის მოკიდება. ნალოგიური პროცესები მიმდინარეობდა ღიახვის ხეობის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაშიც, სადაც სომეხ ვაჭართა მოქმედებას ცვლიდა და ღიდ კონკურენციას უწევდა ცხინვალის რეგიონში ფრიად მომძლავრებული ებრაული მოსახლეობა, რომელნიც ზედმიწევნით კარგად იცნობდა რა მოსახლეობის ყოფით ჩვევებს, ისინი შესანიშნავად უხამებდნენ თავიანთ ვაჭრულ მოქნილობას დამოთხოვნილების შესაბამისად მარაგებდნენ წვრილმან სამრეწველო საქონლით. აღნიშნული პროცესი, სოფლად კაპიტალიზის განვიტარების შესაბამისად სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. იწყება პატარ-პატარა საგაჭრო ფარდულებისა და სახელოსნოების გახსნა, რომელთაც განდევნეს აქამდე ე.წ. “საწვრიმალეობით ვაჭრობა”, სადაც უმთავრესად ებრაელები იყვნენ დასაქმებულნი”<sup>185</sup>.

ამრიგად, XX საუკუნის დასაწყისის სამაჩაბლოს საზოგადოებრივი და ეკონომიკური ცხოვრება იმავე ტენდენციებით ხასიათდებოდა, როგორითაც დანარჩენი საქართველო. ეს იყო კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე მყოფი რეგიონი, რომელიც ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით გამოირჩეოდა. ოსური მოსახლეობა, მიუხედავად იმისა, რომ სიმრავლის თვალსაზრისით არ გამოირჩეოდა, სამაჩაბლოში ანგარიშგასაწევ ძალად იქცა. მძიმე კრიმონეგული ვითარება, აგრეთვე ოსების სოციალური ხასიათის პრობლემები გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ეს რეგიონი ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის არასტაბილურობისა და სამხედრო პროვოკაციების კერად ჩამოყალიბდა.

## 2. სეპარატიზმი სამაჩაბლოში

“ტერმინი “სამხრეთ ოსეთი” პირველად გამოყენებულია 1830 წელს წერილების ციკლში, რომელიც დაიბეჭდა “ტიფლისკი ვედომოსტში” (№72-86). ლოგორც ჩანს, კორესპონდენტი ამ ტერმინს საკუთარი ინიციატივით იყენებს, რადგან 1830 წელს გრაფ პასკევიჩის სამხედრო მინისტრ ჩერნიშოვისადმი წარდგენილ ანგარიშში აღნიშნულია: ოსი ტომის დაშოშმინებისათვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია მცირე სამხედრო ექსპედიციის ჩატარება. ეს ექსპედიცია მიმართული იქნება კავკასიის მთიანეთის სამხრეთით მდებარე ჩრდილოეთ ქართლის ოსების წინააღმდეგ.

კორესპონდენტის აზრით, მის მიერ “სამხრეთ ოსეთად” წოდებული ზონის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 7200 სულს შეადგენდა<sup>186</sup>.

ტერმინი “სამხრეთ ოსეთი”, როგორც დღეს უკვე ლეგიტიმურ საერთაშორისო ტერმინად ითვლება, ქართველ მეცნიერთა თქმით რუსეთის იმპერიალისტური, (როგორც მეფის რუსეთის, ისე ბოლშევიკურის) პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგია. მ პოლიტიკაში კი, “ეროვნებათა დაპირისპირება, ეთნოპოლიტიკური შუღლის პროვოცირება-გაღვივება საიმპერიო პრინციპის – “გათიშე და იბატონეს” ნაცადი ინსტრუმენტი... ამის ნათელი მაგალითია ოსთა და ქართველთა ურტიერთობის სერიოზული გამწვავება ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს (1917-21წწ), როცა ქართველი ხალხი ტავგანწირვით იბრძოდა 117 წლის წინათ დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის. სწორედ ამ დროს ზედიზედ ეწყობოდა საბჭოთა რუსეთისა და ბოლშევიკური პარტიის მიერ ინსპირირებული ოსთა შეიარაღებული აჯანყებები, რომელტა უახლოესი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ჯერ მისი საქართველოდან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება, შემდგომში კი – დასუსტებული საქართველოს რესპუბლიკის დაპყრობა.

აქვე აუცილებლად მიგვანჩნია ხაზი გაესვას შემდეგს: ქართული მხარე არასოდეს ყოფილა შეიარაღებული შეტაკების წამომწვევი, იგი არასოდეს დასხმია პირველი ოს სეპარატისტებს. კიდევ მეტი, ქართველი მხარე ყოველთვის მოუწოდებდა დიალოგისკენ, კონფლიქტური სიტუაციების პოლიტიკურ-სამართლებრივი მოგვარების ინიციატორად გამოდიოდა. ასე იყო 1918-21 წლებში...”<sup>187</sup>. ქართველ მეცნიერთა ეს თვალსაზრისი დასტურდება გაზეთ “საქართველოში” სამაჩაბლოს შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციებითაც.

პირველი შეიარაღებული აჯანყება სამაჩაბლოში ჯერ კიდევ ამიერკავკასიის სეიმის დროს, ანუ 1918 წლის მარტში მოხდა. პირველი მსოფლიო ომის ფრონტიდან შინ დაბრუნებულ მოსახლეობას იარაღი ჰქონდა, ელემენტარული საარსებო პირობები კი – არა. ასეთი მდგომარეობა ნოყიერ ნიადაგს იძლეოდა აჯანყებისთვის, მძიმე სოციალური ფონი და სუსტი სახელმწიფო კონტროლი რუსეთმა ეფექტურადა გამოიყენა და 1918 წლის მარტში სამაჩაბლოში აჯანყება დაიწყო. აჯანყებულებმა ქალაქი გორიც კი დაიკავეს.

გაზეთმა “საქართველომ” ამ აჯანყების შესახებ ინფორმაცია მკითხველს გორის მაზრის თანაშემწის გოგუას საშუალებით მიაწოდა. სტატიკაში ნათქვამია, რომ გოგუა “პირდაპირი მავთულით” დაუკავშირდა თბილისს. შემდეგ ტექსტში თხრობა გაგრძელდა პირველ პირში; შეიქმნა განცდა, რომ გოგუა პირდაპირ ტელეფონიტ ესაუბრებოდა “საქართველოს” მკითხველს. ისი ნათქვამიდან გაირკვა, რომ გორის მაზრის უფროსმა გიორგი მანაბელმა ისე, რომ დახმარებას არ დაუცადა, აჯანყებულ ცხინვალში შესვლა გაბედა. მას ამიერკავკასიის არმიის 400 გვარდიელი ახლდა თან. აჯანყებულ ოსებს მანაბლისათვის დაკავებული 4 ოსის გადმოცემა მოუთხოვიათ, ჩვენ თვითონ გავასამრთლებთო. არი რომ მიიღეს, არმიას ცეცხლი დაუშინეს, 4 ადამიანი მაშინვე დაიღუპა, “არანაერმა მოლაპარაკებამ არ გასჭრა,<sup>188</sup>” – ამბობდა გოგუა.

“მანაბელი და კოსტა კოზაშვილი მოჰკლეს. ეძებდნენ: გაგლოევს, სანდრო კეცხოველს, კაპანაძეს, არჯევანიძეს და სხვებს. ჩვენ მათი გადარჩენის იმედი არა გვაქვს. ...ოსები იტყვიან: ქართველები უნდა განვდევნოთ და ჩვენები უნდა დასახლდნენ მათ ადგილასო. ცხინვალში დიდძალი ოსობა ჩამოვიდა. ამჟამად გორში მდგარი ოსების პოლკი 300 კაცისგან შედგება. ამბობენ, რომ ცხინვალიდან კვლავ ჩადიან პოლკის გასაძლიერებლად”<sup>189</sup>.

საგაზეთო მასალაში მოყვანილია საგულისხმო ფაქტი. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ოსი ეროვნების პირი ხარებოვი, რომელმაც გაზეთის ინფორმაციის თანახმად აჯანყებამდე რამდენიმე ხნით ადრე “ხულიგანი ბრბო” შეადგინა და გორის თავადაზნაურობა ამოწვიტა. მაზრის უფროსს გიორგი მანაბელს იგი არ დაუსჯია და უთხოვია, “როგორც შეგნებული პირი” ანარქიასთან ბრძოლაში დამეხმარეო. ეს სულგრძელობა ახალგაზრდა ჩინოვნიკ მანაბელს ძვირად დაუჯდა, რადგან ცოტა ხანში ხერებოვმა დიდი აჯანყების მოწყობაში მიიღო მონაწილეობა, ამ აჯანყებაში კი გიორგი მანაბელი მხეცურად მოკლეს.

აჯანყების შესახებ დეტალური მასალა გამოაქვეყნდა გაზეთმა “სახალხო საქმემ”, რომელიც “საქართველომ” მტლიანად შემოკლების გარეშე გადმობეჭდა. ავტორის თქმით, შიდა ქართლში დაძაბულობა 16 მარტს დაიწყო. ამ დღეს ცხინვალს ოსთა დელეგაცია ესტუმრა და მენშევეკური მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებს შემდეგი მოთხოვნა წაუყენა:

“1) დაუყოვნებლივ დაგვიყავიტ მიწები

2) გორის მაზრიდან გააძევეთ რევოლუციურ ორგანიზაციებში მომუშავე შემდეგი პირნი: კოსტა კახაშვილი, სოსიკო გოგინოვი, შაქრო კასრაძე და ილია მაისურაძე

3) გორის მაზრიდან გააძევეთ ყველა თავადი და აზნაური

4) მოგვეცით სიტყვისა და კრების თავისუფლება”<sup>190</sup>.

ამ მოთხოვნების განსახილველად ცხინვალში მუშათა და გლეხთა საბჭო შეიკრიბა, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილება მიღებული არც იყო, რომ მტებში ჩაასაფრებულმა აჯანყებულებმა სროლა ატეხეს. მათთან გაეშურა ადგილობრივი ადმინისტრაციის 6 მოხელე, რომელსაც თან ახლდა ოსთა მიერ გამოგზავნილი დელეგაციის წევრი ვინმე ჩოჩიევი. ამ დელეგაციას აანყებულმა ოსებმა ახლოს მისვლის საშუალება არ მისცეს და სროლა აუტეხეს. სროლა “მათიანს”, ჩოჩიევს ძლივს შეუჩერებია.

17 მარტს ცხინვალში გორის მაზრის უფროსი გიორგი მაჩაბელი ჩავიდა. იგი წაყენებული 4 მოთხოვნიდან ყველას შესრულებას დაჰპირდა აჯანყებულებს, გარდა გორის მაზრიდან თავადაზნაურების გაძევებისა. აჯანყებულების მოთხოვნით, ამის შესახებ განცხადება მაჩაბელს საჯაროდ, სპეციალურად შეკრებილ მიტინგზე უნდა გაეკეთებინა.

18 მარტს, დილით დვრისის მოედანზე მართლაც შეიკრიბა მიტინგი და ადგილობრივმა ადმინისტრაციამ აჯანყებულ ოსებს საჯაროდ დაუდო ზემოთხსენებული პირობა. თუმცა, აჯანყებულებმა ახლა სხვა პირობაც წამოაყენეს. კერძოდ, მენშევიკურ მთავრობას უნდა გაეთავისუფლებინა პატიმრები : ხარებოვი და ფილიშვილი. მიტინგზე გამოვიდა ცხინვალის კომისარი ყულუმბეგოვი, რომელიც ამბობდა, რომ ოსებს არარ უნდა მოეცადათ თავიანთი მოთხოვნების შესრულებისათვის.

“... მოთმინება კმარაო. ოლო სიტყვების დროს ორივე ხელეპი მადლა აუქნევია, ამ ნიშნის შემდეგ ატეხილა სროლა ორის მხრიდან: ზღუდრის კარიდან და ნაცარგორიდან. თავზარდაცემული ხალხი დაშლილსა და მუცელზწე ხოხვით მოშორებია მოედანს”<sup>191</sup>, წერს კორესპონდენტი. სე დაიწყო 5 დღიანი განუკითხაობა ცხინვალში. აჯანყებულებმა დაარბიეს დუქნები, მაღაზიები, ამიერკავკასიის მტავრობის ჯარს ყუმბარებს ესროდნენ.



“ალაგ-ალაგ ბრბოს უმკლავდებოდნენ გიორგი მახაბელი, კოსტა კაზაშვილი, ილია მაისურაძე დასხვები. მავთულები გორსა და ცხინვალს შუა წინადვე გადაეჭრათ და გორიდან მაშველი ჯარის მოლოდინი არავის ჰქონია. Xიდის ყურეზე ტყვის მფრქვეველი მდგარა, აქ მძიმედ დაუჭრიათ გიორგი მახაბელი და შემდეგ საავადმყოფოს წინ მოუკლავთ. მავე ადგილას გიორგისავით მოვალეობის მსხვერპლი გამხდარა კოსტა კაზაშვილიც. შანდრო კეცხოველი ხიდის ყურეზე მდგარა, მოუკლავთ ისიც და მიცვალებული გვამი ბრბოს სასტიკად დაუსახინრებია”<sup>192</sup>.

ცხინვალელები გაიქცნენ, ხოლო აჯანყებულებმა მათი სარჩო-საბადებელი გაზიდეს.. “მათ უბატონიათ ცხინვალში 22 მარტის შუადღემდე, როდესაც გაუგიათ გორიდან წამოსული ჯარის ამბავი, აჩრულად დაუტოვებიათ ქალაქი”. ცხინვალის მეამბოხე კომისარი ყულუმბეგოვი ამიერკავკასიის ჯარებმა დააპატიმრეს.

ჩხინვალის ადგილობრივი მოსახლეობიდან არავინ დაიდუბა. ოკლეს მხოლოდ ღრმად მოხუცებული და ქართლში საკმაოდ ცნობილი კახი შაქრო მახაბელი. “ამის მოკვლის მიზეზი, როგორც გადმოსცეს ისა ყოფილა, რომ ცოცხალი ვერ მოაშორეს ვერაგულად მოკლულს ძმისწულს გიორგი მახაბელს”<sup>193</sup>, წერდა გაზეთი.

1918 წლის მარტის ოსთა აჯანყებას ვრცელი წერილი მიუძღვნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრმა, პოეტმა, პუბლიცისტმა 1924 წლის აჯანყების მონაწილემ შალვა ამირეჯიბმა. მისი წერილი “ცხინვალის ფრონტი”<sup>194</sup> არის მენშევიკური, სოციალისტური პოლიტიკის კრიტიკა.

“მთელი ტრაგედია ქართველი დემოკრატიისა იმაში გამოიხატება, რომ იმ დროს, როდესაც ქართული დემოკრატია ისევ სოციალური რეფორმებისა და დემოკრატიზმის ნიადაგზე სდგას, სხვა დანარჩენი ერები კავკასიისა ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებენ... პოლიტიკა წაგლეჯისა, აი რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს – ცხინვალი ჩვენი, საქართველოს მადლობი – ოსეთია...”

ჩვენ არ ვიცით საქართველო უფრო ქართული, ვიდრე ის ადგილია საქართველოსი, სადაც ამჟამად ოსები ცხოვრობენ. ეს არის ზურგი საქართველოსი, მისი ხერხემალი. ვინც ჩვენ იმა გვეტყვის, რომ დღეს იქ ქარტველები არ სცხოვრობენ, ამიტომ ის არც საქართველოა, მან ისიც უნდა სთქვას, რომ არც

ხერხემალია ტანისთვის აუცილებელი, რადგა მასზედ არ არის თვალები, ყურები, ან გული”<sup>195</sup>.

სტატიის ავტორი დარწმუნებული იყო, რომ აჯანყების ინსპირატორები ჩრდილოეთ კავკასიის ოსები იყვნენ. ეს კავშირი ჩრდილოეთ ოსეთსა და სამაჩაბლოს ოსებს შორის, შალვა ამირეჯიბის აზრით, საქართველოს უდიდეს საფრთხეს უქადდა. “ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენებაა საქართველოსათვის და საჭიროა არა მარტო მისი სასწრაფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი აღარ განმეორდეს”<sup>196</sup>, წერდა იგი.

კიდევ ერთი წერილი, რომელიც შალვა ამირეჯიბს ეკუთვნის, გორის მაზრის მოკლულ უფროსს გიორგი მაჩაბელს ეძღვნება. ვტორი, როგორც ჩანს, ბავშვობიდან იცნობდა მას, ამიტომ გარდაცვლილს იხსენებს როგორც მეგობარს, როგორც ადამიანს, ვიხეც აღმატებულ ხარისხში არ საუბრობენ. აი რას წერს იგი: “სქელი იყო, სქელი იყო ბავშვობიდანვე... მას ჰქონდა ნაზი სული და ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე ფლეიტაზე უკრავდა. იქ, პეტრე დიდის ქუჩაზე, სადაც მაშინ ქართული გიმნაზია იყო, გიმნაზიის ბაღში, სადაც ამდენი იყო იასამანი, მისი ფლეიტა სულ მუდამ გაისმოდა და ჩვენ ბავშვები მის მუდმივ ამალას შევადგენდით”<sup>197</sup>.

შალვა ამირეჯიბი იხსენებს, რომ ბოლოს, როდესაც გ. მაჩაბელი ნახა, იგი ამიერკავკასიის მთავრობის სხვადასხვა მინისტრის კაბინეტში დარბოდა და ფულს ითხოვდა, რომ გვარდიელებისათვის იარაღი შეეძინა. “ამბობენ მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: - რათა მკლავთ აქ! ე მინდოდა ოსმალეთის საზღვარზე სიკვდილი. საცოდავი! ის მოკვდა, ალბათ, იმ რწმენით, რომ საქართველოს მთლიანობა კიდევ შესაძლებელია და ცხინვალის ფრონტი გარეშე ფრონტი არ არის. იქნება, ეს ასეა, იქნება, ოსები მორალატენი არ არიან და კიდევ შესაძლებელია მათთან ძმური კავშირი”<sup>198</sup>, წერდა შ. ამირეჯიბი.

დასასრულ ავტორი, კვლავ სოციალისტურ (მენშევიკურ) გულუბრყვილობას ეხება. მისი თქმით, გ. მაჩაბელი მართლა “სხვანაერად” მოკვდა. ის მოკვდა იმავე გლეხებისათვის, რომელთა უფლებისათვის ის იბრძოდა და მოკვდა ტანჯვაში და წამებაში, იქნება, თავისივე “გლეხების” ხელით”<sup>199</sup>.

1918 წლის მარტის ბოლოს ამიერკავკასიის ჯარების გენერლის ვალიკო ჯუღელის მეთაურობით სამთავრობო ჯარებმა გორი აიღეს და აჯანყებულები უკან

დახიეს. “საქართველოში” გამოქვეყნებულია პოლკოვნიკ კონიაშვილის დეკემბრის: “გორი. არტის 23. ამიერკავკასიის მთავრობას. მე შევეურთდი ჯუღელის ჯარს. ცხინვალი და მისი მიდამოები ჩვენ დავიპყართ. შემდგომ რაც მოხდება, გაცნობებთ”<sup>200</sup>.

თუმცა, აჯანყების დროს გარდაცვლილებს უკვე აღარაფერი ეშველობოდათ. თავისი დოკუმენტურობით და ახალი ამბებისათვის დამახასიათებელი მშრალი თხრობის მანერის გამო შემზარავად გამოიყურება “საქართველოს” ამავე (66-ე) ნომერში ცხინვალის შესახებ გამოქვეყნებული კიდევ ერთი ახალი ამბავი:

“... ცხინვალის ახლოს, სოფელ თამარაშენში მოკლეს 5 ჯარისკაცი, დაჭრეს – 3. ტყვეებს ანთავისუფლებენ, თუმცა აჯანყებულები მთებისკენ მიიწევდნენ და ტყვეებიც თან მიჰყავდათ. 6 სთ-ზე მოასვენეს მოკლული მანახელი, კეცხოველი და სხვები. კვდრები დასახინრებულია, ზოგის ცნობაც კი შეუძლებელია”<sup>201</sup>.

ოსთა პირველი აჯანყების შემდეგ გაზეთმა “საქართველოში” მკითხველს შესთავაზა სტატია, რომლის ავტორიც შეეცადა გაენალიზებინა “საქართველოს ოსეთის” შექმნის ისტორია. იგი წერს, რომ საქართველოს მთები “უწინ სულ ქართველებით იყო დასახლებული”. თუმცა, ბარის მოქსახლეობას რომ მტერი მუსრს გაავლებდა, მთის ქართველები ნელ-ნელა ბარში ჩამოდოდნენ. სე დაიცალა სამანახლოსა და საერისთავოს მთები ხაჭაპურიძეებისგან, ელბაქიძეებისგან, თრამქაცეებისგან.

“მსხლები, ღვერცვეი, ჯავა, კოშკაროაა, ტონტობეთი, კვაში თავი, ჯრია, ბუზალა, ზელდა და სხვანი ეს დაცლილი ქართ ველებისგან ქვეყანა შევსებულა ჩრდილოეთ ოსეთიდან ლტოვილი ოსებისგან”<sup>202</sup>. თუმცა, ავტორის ტქმით 1918 წლის მარტის აჯანყება ჩრდილოეთიდან ახალ გადმოსახლებულმა ოსებმა კი არა 80-90 წლის გადმოსახლებულმა ოსებმა, ე.წ. “ხიზნებმა” დაიწყეს.

“ხიზნები დასახლდნენ ნაოხარ ქართულ ნასოფლარებში, სადაც კიდევ იყვნენ დარჩენილი კანტიკუნტად ქართული მოსახლეობა, რომლებიც შემდგომ აიყარნენ და ახლა მთლიანად ოსებს დაუთმეს თავიანთი მოზომილი ნადელები: დათაშვილებმა, თვალაშვილებმა, ცვარაძეებმა და სხვებმა. ეს ნასოფლარები არიან თავიანთ შესანიშნავი თლილი ქვის წარწერებით, ძველი ხუცური წარწერებით, რომელთაც ასე ემტერებიან ოსების მასწავლებლები”<sup>203</sup>.

ავტორის თქმით, თავდაპირველად ყველაფერი რიგიანად მიდიოდა. ქართული ენისა და კულტურის გაველენით გადმოსახლებული ოსები ქართველდებოდნენ, ამიტომაც დღესდღეობით ბევრ ოსს ქართულ ეროვნულ საბჭოსა და სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაშიც კი შეხვედებითო. თუმცა, მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოგზავნილმა მასწავლებლებმა, სასულიერო პირებმა და აგიტატორებმა ერთიანი ოსეთის, ანუ ჩრდილოეთ ოსეთთან სამაჩაბლოს მიერთების, იდეის პოპულარიზაცია დაიწყეს, ყველაფერი შეიცვალა.

მათი შეგონებით ოსებმა ქართველი ქალების ცოლად მოყვანასა და საკუთარი ქალიშვილების ქართველ კაცებზე ქორწინება შეაჩერეს. არდა ამისა, რუსული პოლიტიკის გამო ბევრი ეთნიკურად არაოსი დღეს ოსადაა ჩაწერილი, რადგან 1900-იანი წლებიდან მეფის რუსეთის გადაწყვეტილებით მიწები მხოლოდ ეთნიკურ ოსებს ურიგდებოდათ. ამდენად ოსად ეწერებოდა ისიც, ვინც ოსი არ იყო, მაგრამ მიწა სჭირდებოდათ.

ავტორი სტატის ბოლოს ქართველთა წინააღმდეგ ოსთა შეთქმულებაზეც კი საუბრობს. “ოსების აგენტები ქურდულად ყველა ქართულ დაწესებულებაში არიან ასევე ოჯახებში, მეზობლებში და ამრიგად, დღეს საშინელი ოსების მუხრუჭში იმყოფება მთელი ქართლი...”<sup>204</sup>.

1918 წლის მარტში ოსთა აჯანყებას, მოჰყვა დუშეთის მაზრაში ბოლშევიკური აჯანყება, რომელშიც ასევე დიდი წვლილი მიუძღოდათ ჩრდილოეთ ოსეთის ძალებს. თუმცა, დუშეთის მაზრის აჯანყებას ჩვენ მაინც არ განვიხილვთ, რადგან ეს არ იყო გამოვეთილად ერთი ეროვნული უმცირესობის – ოსების – მიერ ორგანიზებული გამოსვლა. ეს, ჩვენი აზრით, ბოლშევიკების ინსპირირებით სოციალურ ნიადაგზე წარმოქმნილი ბუნტი იყო, რომელშიც ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამაც მიიღო მონაწილეობა.

დუშეთის ჯანყი სულ ახალბედა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დროულად ჩააქრო. თუმცა, ოსები, როგორც აჯანყების კერა, არ ცხრებოდნენ. 1918 წლის ივნისში, ახლა უკვე სამაჩაბლოს სასაზღვრო სოფელ საჩხერეში მოხდა აჯანყება. ეს აჯანყება სამაჩაბლოელი ოსების მიერ, უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ფარგლებში განხორციელდა.

### 3. სამხრეთ ოსეთი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები სამახაბლოს ოსებს ესტუმრნენ. შაინფორმაციო შენიშვნაში, რომელიც გაზეთ “საქართველოს” 1918 წლის 110-ე ნომერში გამოქვეყნდა, ვკითხულობთ: “4 ივნისს სოფლე ჯავში გაიმართა ოსთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ მენშევიკები (ი. რამიშვილი) ბოლშევიკები (ფ.მახარაძე), აგრეთვე ჩრდილოკავკასიის ერთა წარმომადგენლები. ბოლშევიკები და ესერები სიტყვიტ არ გამოსულან, ხოლო ის.რამიშვილმა სტყვიტ გამოსვლისას აღნიშნა: ”ანარქისტებმა და კონტრრევოლუციონერებმა დაღუპეს რუსეთის რევოლუციო”. შემდეგ რამიშვილი შეეხო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადებას და იმედი გამოსთქვა, რომ ოსები არ გაჰყვებიან რევოლუციონერებს უკან და მხარს დაუჭერენ ახალგაზრდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას”<sup>205</sup>.

პუბლიკაციიდან იმასაც ვგებულობთ, რომ ყრილობაზე სიტყვიტ გამოვიდა ჩრდილოეთ კავკასიის ოსთა ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი მ.ზორიევი. მისი თქვიტ, ჩრდილოეთ კავკასიას საფრთხე მიოელოდა ბოლშევიკებისაგან. მანვე იმედი გამოსთქვა, რომ: **“სამხრეთელი ოსები მხარს დაუჭერენ ჩრდილოელებს”**<sup>206</sup>. (ხაზი ჩენია. მ. მ.)

1918 წლის ოსთა მომდევნო ეროვნული ყრილობა გაიმართა. ამჯერად სოფელ წუნარში. ამ ყრილობას მენშევიკური მთავრობის გამოჩენილი წევრი ირაკლი წერეთელი დაესწრო. რილობის შესახებ საინფორმაციო მასალა გაზეთ “საქართველოს” არ გამოუქვეყნებია. თუმცა სარედაქციო წერილიდან, რომელიც გერონტი ქიქოძის ავტორობით დაიბეჭდა, ვგებულობთ, რომ “ოსეთის საქართველოსთან შემოერთება”, რაც ირაკლი წერეთელის მიზანი იყო, არ შემდგარა.

გერონტი ქიქოძე წერს: რუსულ მენშევიკურ გაზეთ “ბორბაში” გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ოსთა ეროვნულ ყრილობას მიეძღვნა, ადასტურებს, რომ “ირაკლი წერეთლის მიერ წარდგენილი რეზოლუცია უარყოფილ იქნა ყველა ხმების უმრავლესობით სამის წინააღმდეგ. მიღებულ იქნა სოც.რევოლუციონერების მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებს, რომ სამხრეთ ოსეთის თვიტგამორკვევის საკითხი მიღებულ უნდა იქნეს შემდეგ

ყრილობაზე, რაიცა 6 კვირაში გაიმართება. ამ საკითხში სამხრეთ ოსეთი ჩრდილოეთ ოსეთს უნდა შეუთანხმდეს, საქართველოს რესპუბლიკას უნდა ეთხოვოს, რომ კონსტიტუციის შემუშავებისას ოსეთის საკითხი ღია დარჩეს”<sup>207</sup>.

ამის შემდეგ გერონტი ქიქოძე საქართველოს მენშევიკურ მტავრობას აშარუებს. მისი ხუმრობა გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ საქართველოს მთავრობამ ოსთა შემდგომ ყრილობაზე საკუთარ წარმომადგენლად გენერალ ვალიკო ჯუღელის გაგზავნა გადაწყვიტა. სწორედ ჯუღელმა აღკვეთა 1918 წლის მარტის აჯანყება და, სავარაუდოდ, მისი პიროვნებისადმი ოსებს რიდი უნდა ჰქონოდათ. “ჯუღელი, როგორც ცნობილია, თვით ყრილობებსა და პარლამენტის სხდომებს მაუზერის პისტოლეტითა და სამხედრო ბინოკლით აღჭურვილი ესრება”<sup>208</sup>, წერს ქიქოძე და იქვე ასკვნის: მთავრობის ეს გადაწყვეტილება, ალბათ, იმან განაპირობა, რომ ხმები დადის ოსები კვლავ აპირებენ შეიარაღებულ აჯანყებასო.

გერონტი ქიქოძე აღშფოთებული იმ ფაქტით, რომ სამაჩაბლოს ეთნიკურად ოს მოსახლეობას დროს სჭირდებოდა მოსაფიქრებლად, თუ რა ფორმი შესულიყო დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში, ან საერთოდ – შესულიყო, თუ არა. ქიქოძე მიიჩნევდა, რომ სამაჩაბლო იყო ისტორიული საქართველო, მეტიც, საქართველოს შუაგული და ამ ტერიტორიის ავტონომია იყო პოლიტიკური სიმახინჯე. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის საქმე და კერძოდ სამაჩაბლოს ადგილი ამ ტერიტორიაზე ეთნიკურმა ოსებმა კი არა, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადაწყვიტოსო, მიიჩნევდა პუბლიცისტი.

“ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი ვრცელდება მთელს ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე. ჯავის ხეობის ოსები ისევე შედიან ამტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აფხაზები, ბორჩალოს მაზრის თათრები, ან საქართველოს ოლქის ჭრელ-დუხელები ... ჯავის ხეობელ ოსებს აქვთ თავიანთი ენა, მაგრამ არა აქვთ ლიტერატურა და ეროვნული კულტურა. მიტომ, შეუძლებელია ოსურ კულტურულ, ან ტერიტორიულ ავტონომიაზე საუბარი. მით უმეტეს შეუძლებელია, რომ ცალკე ოსური სახელმწიფო მოეწყოს, რომელიც ჯაველ და წუნერელ ფანტაზიორების გეგმით საქართველოს რესპუბლიკას უნდა შეუერთდეს ფედერატიულად”<sup>209</sup>, წერდა გერონტი ქიქოძე.

აღსანიშნავია, რომ იგი ზოგადად ოს ხალხს არაფერში ადანაშაულებდა. მისი სამიზნეები იყვნენ “ჯაველი ბოლშევიკები და სოციალისტ

რეკოლუციონერები”, რომლებიც შეგნებით, თუ შეუგნებლად საქართველოში რუსულ იმპერიულ პოლიტიკას ახორციელებდნენ.

“ეს ელემენტები (იგულისხმება ბოლშევიკები და ესერები მ.მ) ჩვენში სახელმწიფო დამრღვევის როლს ასრულებენ და ისინი სასტიკად უნა დაისაჯონ, როგორც უდიდესი სახელმწიფო დამნაშავეები... თუკი 200 პრობლემატური აზნაური ჩამოდრჩობის, ან დახვრეტის ღირსნი არიან პრობლემატური დანაშაულობის გულისათვის, ნუთუ აშკარა სახელმწიფო მოღალატეებს საჩუქრად რიტორიკის ყვავილები უნდა მიერთვას?”<sup>210</sup>”

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტია და მისი პერიოდული ორგანო “საქართველო” მუდმივად ითხოვდა იმ პირთა მკაცრ დასჯას, ვინც სახელმწიფო გადატრიალების, ნეისმშიერი ბუნტისა და ჯანყის საქმეში ღებულობდა მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მენშევიკური მთავრობა ლიბერალური პოლიტიკის მომხრე იყო და უკიდურეს ზომებს (ციხეში ჩასმას) შედარებით იშვიათად მიმართავდა. ასე მაგალითად, 1918 წლის მარტის ოსთა აჯანყების მოაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სამართლებრივ პასუხისმგებლობას ასცდა.

შედგმაც შესაფერისი იყო. ცხინვალის კვლავ აჯანყებულთა მმართველობის ქვეშ გადავიდა. “საქართველოს” კორესპონდენტი წერს: ოსებმა, რომლებიც ბოლშევიზმის სახელით მოქმედებდნენ და შეიარაღებული აკონტროლებდნენ ცხინვალის ქუჩებს, მანაბლები და ვეზირიშვილები თავიანთ მამულებში არ შეუშვეს. “არც ერთი მემამულე ოსების ტერიტორიაზე”<sup>211</sup>.

“საქართველოს” ჟურნალისტი კი ამბობს, რომ ეს ადამიანები უკვე დიდი ხანია მემამულეები აღარ არიან. “მათ შერჩათ თითო-ოროლა დღის ბაღ-ვენახი, რომელიც ტავიანთი ხელით გაუკეთებიათ.” ამაპაპეული მიწები კი ახლა აღიხანოვს, ათარბეგოვს, ფირალოვს, ჟირნოვოს აქვთ მფლობელობაშიო.

“ვინ არის მაინცამაინც ამ ქვეყნის წესრიგის ყურისმგდებელი, – ოსების ეროვნული საბჭო, თ კომისარი საქართველოს რესპუბლიკისა. ფრო კი – პირველი. Xალხი თხოულობს გარკვეულ მდგომარეობას. Xალხს შიშის ზარსა სცემს უკვე გაგონილი და განცდილი ჰაეროპლანების კრიალი, ზარბაზნების გრიალი და ვინტოვკების ტკაცა-ტკუცი.

ეშინიათ, ეშინიათ, რომ მეორედ აღარ განმეორდეს და დამფრთხლები ერთმანეთს ეფარებიან. მიეშველეთ ხალხს, საწყალ ამ ხეობის ხალხს. გაიერთგულეთ, ჩაიყენეთ ამ ხეობიდანაც რაიმე ქვეყნის სამსახურში. აგრძნობინეთ, რომ ეს კუთხე და ხალხიც უპატრონო არ არის და მაშინ თვით ქართველი ხალხი აღუდგება წინ მოძალადეს და დაეხმარება თავის მთავრობას, გაუმაგრებს მდგომარეობას”<sup>212</sup>, წერდა “საქართველოს” ჟურნალისტი.

მაშასადამე, ეთნიკური ქართველები მენშევიკური მთავრობისაგან მეტ ყურადრებას ითხოვდნენ და იმედოვნებდნენ, რომ მთავრობა დასჯიდა აჯანყებულთა გათავსებულ ბრბოს. თუმცა, ეს ასე არ მოხდა და 1918 წლის ივნისში ამჯერად სანხერეს დაესხა თავს ოს ბოლშევიკთა არმია.



### III საინგილო

ინტერესი საქართველოს კიდევ ერთი, მეტად დაძაბული რეგიონის, საინგილოსადმი იმდენად გამოკვეთილი გახლდათ, რომ იქიდან მოწერილი კორესპონდენციები 1917 წლის რევოლუციის მყვირალა ამბებმაც კი ვერ დაჩრდილა.

ყველა სხვა განაპირა რეგიონის მსგავსად ჯერ სპარსეთის, შემდეგ რუსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ აქაც თავისი უარყოფითი შედეგი დატოვა. ეთნიკურად ქართველის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ქართული ენა დაკნინდა, რადგან ძალიან დიდი ნაწილი მოსახლეობისა ლეკურად საუბრობდა. საინგილოში, ანუ ზაქათალის ოლქში, როგორც მას გაზეთ “საქართველოს” კორესპონდენტები მოიხსენიებდნენ, მხოლოდ კახი და მისი შემოგარენი იყო ქართული კულტურისა და ორიენტაციის მქონე.

საინგილოს შესახებ დაბეჭდილი პუბლიკაციების უმრავლესობა სოციალურ პრობლემებს ეძღვნება, შეხვედებით ისტორიული ცნობების შემცველ რამდენიმე მასალას, განსაკუთრებული ინტერესით იკითხება ის საგაზეთო პუბლიკაციები, რომლებიც საინგილოში არსებულ რელიგიურ დაპირისპირებას ეძღვნება. საინგილოს შესახებ ძირითადად სამი პუბლიცისტი რ. ინგილო. ზ. ედილი, მ. ჯანაშვილი - წერდნენ, მაგრამ აქა-იქ სხვა ავტორებიც (მაგალითად, ილია ჭყუნია, ) გაიეღვებენ. გაზეთში მოთავსებული მასალები ოთხ ჯგუფად დავალაგეთ. 1. XX საუკუნის დასაწყისის საინგილო, 2. სოციალური პრობლემები საინგილოში (ეს ძირითადი და ყველაზე ვრცელი ქვეთავია), 3. რელიგიური ბრძოლა საინგილოში, 4. საინგილოს ისტორიისა და ტრადიციის ასახვა “საქართველოს” ფურცლებზე.

#### 1. XX საუკუნის ოციანი წლების საინგილო

1917 წლის “საქართველოს №130-ში ილია ჭყონიას პუბლიცისტურ წერილს “საქართველოს სანაპიროები”. პუბლიკაციის მიზანი დასაწყისშივე ასეა განმარტებული: “საქართველოს დაძაბუნება იმ დროიდან დაიწყო, როცა მას მტრებმა სანაპიროები ჩამოათაღეს: ჯერ ჭანეთი, მერე სამცხე, შემდეგში საათაბაგოდ და ოსმალეთის საქართველოდ წოდებული ადგილები, და ჰერეთი, რომლის ერთი ნაწილი დღეს ზაქათალის ოლქია... ყველა ეს სანაპიროები საქართველოსათვის ის იყო, რაც კაცისათვის ზურგის ხერხემალია, თუ

დაავადდა ეს უკანასკნელი სუსტდება კაცის მთელი აგებულებაც, ასე მოუვიდა ჩვენს სამშობლოს ამ სანაპიროების ჩამოთლით. თუ გვინდა, კვლავ გაგძლიერდეთ, როგორც ერი, ისევე უნდა აღვადგინოთ მათთან ძმური, ეროვნული ერთობა.<sup>213</sup>”

ავტორს, როგორც ჩანს, ყველა ამ კუთხის მიმოხილვა სურდა, რადგან ზათაქალის ოქლის (საინგილოს) მიმოხილვას აწერია “I”, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩანაფიქრი არ შესრულებულა. ილია ჭყონიას მონაცემებით საინგილოში ცხოვრობდნენ მკვიდრი ლეკები 46 250. დაღესტნის ლეკები - 10 000, სხვა მაჰმადიანები 25 000. ქართველები (ქრისტიანები, მაჰმადიანები) - 17 000, სომხები 1 500, სხვა ხალხი 50. სულ 100 000.<sup>214</sup> საინგილოში გაბატონებული ენა თათრული (აზერბაიჯანული, თურქული) ყოფილა, ლეკურად 22 სოფელში საუბრობდნენ. 22 ქართული სოფლიდან ცხრამეტში გაიგონებთ ქართულ ენას, ორ სოფელს კი მშობლიური ენა სრულიად დაევიწყებინა ... ქართულად საუბარი შეეძლოთ ლეკების 16-მდე სოფელშიც.<sup>215</sup>

საინგილოს მკვიდრი მცირედი ქართველობიდანაც ბერი ლეკდებოდა. “საქართველოს” პუბლიცისტის თქმით, ამ პროცესს სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა, ზოგი სოციალ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო განწყობილი, ზოგი –მში გაწვევას ემალებოდა, ზოგ ინგილოს კი, აღარ სჯეროდა საკუთარი ქართველობა. საინგილოს მკვიდრი ლეკები ქართული რასის ტიპური წარმომადგენლები არიან, დაღესტნიდან ჩამოსული ლეკები კი, მართლაც ლეკური იერით გამოირჩევიან, წერდა ილია ჭყონია. ისი თქმით, აქაურ ლეკში ქართველი რომ გაურიო, ვერაფრით გამოარჩევ, მაგრამ ერთი დაღესტნელიც რომ გაურიო, მაშინვე მივხდები, რომ მკვიდრი არ არისო.

მოხუც ლეკთა თქმით, იქაური მოსახლეობა 1860 წლამდე ქართულად იცვამდა, XX ს.ის დასაწყისშიც ქართულის ცოდნა იქ ისეთივე პრესტიჟულად ივლებოდა, როგორც ქართველებში - რუსულის ცოდნა.

საკატიო სტუმრის მოსვლისას საინგილოს ლეკის ქალები (ჭყონიას თუ დაუუჯერებთ, გადარჯულებული ქართველები) ქართულ გულისპირიან კაბებს იცვამდნენ, ოღონდ, თავის დაბურვის წესი არაქართული ჰქონდათ. “ვერსად საქართველოში ვერ ნახავთ იმდენ ეკლესიებს და მონასტრებს რამდენ ნაშთებსაც ეკლესია-მონასტრებისას შეხვდებით ზაქათალის ოლქში. ცხრა მეათედი ამ ნაშთებისა მთებშია და მთების ძირა სოფლებში”, წერს “საქართველოს” კორესპონდენტი.<sup>216</sup>

XX საუკუნის დასაწყისის საინგილოს შესახებ ცნობებს გვაწვდი მ. ჯანაშიელი. მისი თქმით, ზაქათაღის ოლქში 14 000 ინგილო ცხოვრობდა,, (ილია ჭყონიასგან განსხვავებით, ჯანაშიელი ინგილოთა გაცილებით მცირე რიცხვს ასახელებს, მ.მ.). ინგილო დიმიტრი ჯანაშიელი პირველი იყო, ვინც თბილისის სემინარიაში მიიღო განათლება, შემდეგ მშობლიურ კუთხეში დაბრუნდა და სწავლის საქმეს აქ ჩაუყარა საფუძველი. მან ინგილო მასწავლებელთა რამდენიმე თაობა აღზარდა და დღეს 5 000 ქრისტიან ინგილოთა შორის ორასია ქართული წერა-კითხვის მცოდნეო. “იმავე დროს მაჰმადიანი ინგილოები უმეცრების მორევში იხრჩობიან... ქრისტიან ინგილოებში, რომ სამშობლო ქვეყნის, ღვიძლ ეროვნების და წინსვლა-წარმატების სიყვარული უადრესად განვითარებულია, მაჰმადიან ინგილოებში მარტო იმას დაეძებენ, რომ როგორმე გადაგვარდნენ და ქართველები ქართველებს აღარ დაემსგავსონ”<sup>217</sup>, წერდა მოსე ჯანაშიელი.

მაჰმადიან ინგილოების ჩამორჩენილობაზე ჩივის ზ. ედილიც. აფხაზეთში ჩასვლამდე მან სამეგრელო გაიარა და მეგრული, კოპწია სახლების დანახვამ გაახსენა დროს ჩამორჩენილი ინგილოების ყოფა. “რამოდენა კონტრასტია სამეგრელოსა და საინგილოს შორის... მთელს საინგილოში ერთ სახლსაც კი ვერ იშოვნით ასე კოპწიას, მოხდენილს და მით უფრო – სუფთას. უნებლიეთ ვაძლევ ჩემს თავს კითხვას, როგორ ვერაფერი ვერ ვისწავლეთ ერთმანეთისაგან, როგორ ვერავის ვერ წავებაძენით და ვისწავლეთ რამე ინგილოებმა... არ გეგონოთ ინგილო მეგრელზე ღარიბი იყოს, არა და ათასჯერ არა. ინგილო მდიდარია შედარებით, მაგრამ არა აქვს შნო და უნარი უკეთესის ცხოვრებისა”<sup>218</sup>.

ამ ვრცელი ციტატის მოტანა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა, დაგვეჩვენებინა, თუ რას ფიქრობდნენ “საქართველოს” პუბლიცისტები იმდროინდელი საინგილოს ყოფა-ცხოვრებაზე. მაჰმადიანურმა სარწმუნოებამ, უფრო კი ჩრდილო-კავკასიურ დაბალი კულტურის მქონე ერებთან სიახლოვემ ზაქათაღის ოლქი არასახარბიელო მდგომარეობში ჩააყენა. ეროვნულ-დემოკრატიული სულისკვეთებით განწყობილ ადამიანებს გული სწყდებოდათ, როდესაც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და მაღალი კულტურის მქონე მხარის ასეთ დაქვეითებას ხედავდნენ. ისინი ცდილობდნენ გამაჰმადიანებულ ინგილოებშიც გაეღვიძებინათ ეროვნული შეგნება, საქართველოს მთლიანობისა და პროგრესიული განვითარების სურვილი. სურდათ ლეკური, დაღესტნური თუ ჩერქეზული სინამდვილისაგან ქართული, უფრო განვითარებული, სინამდვილისაკენ მოეტრიალებინათ ინგილოები.

მ. ჯანაშვილი წერდა: მაჰმადიანური რჯულისაა არაბი, ჩერქეზი, ოსმალო, სპარსი, მაგრამ საკუთარ ეროვნებაზე უარს არავინ ამბობს, “აგერ აჭარაკლარჯეთის ქართველები მაჰმადიანობენ, მაგრამ მაჰმადიანობა იმათ არ უშლის, რომ იყვნენ კარგი ქართველები”<sup>219</sup> ავტორი სტატიის დასასრულს კვლავ უბრუნდება ამ თემას და ასეთი მოწოდებით ასრულებს საკუთარ სათქმელ: მიჰბაძეთ თქვენს მოძმე ქრისტიან ინგილოებს, განათლდით სწავლით, გაიხარეთ ცოდნით, თვითცნობიერებით, თუ არადა დარჩებით დატაკად და გაითქვიფებით უმრავლესობის მორევში. ჩვენ თქვენი ქრისტიანობა კი არ გვინდა, არამედ თქვენი განათლება, თქვენი ცნობიერება, მაშ შეგვიყვარეთ, როგორც გვიყვარხართ”<sup>220</sup>.

ამ მოკლე ქვეთავში, ვცადეთ, გადმოგვეტანა ის განწყობილება, რომელიც XX საუკუნის ათიანი წლების საინგილოზე საუბრისას ქართველ პატრიოტთა გულსა და გონებას აფორიაქებდა. ისინი ხედავდნენ, რომ საუკუნეების განმავლობაში დამპყრობელთა მანე გავლენის ქვეშ მყოფი საინგილო თავის უზარმაზარ პოტენციალის გონივრულად ვერ იყენებდა.

ნოე ჟორდანიას ქართველ ნაციონალისტებს, მართალია, ბურჟუაზიული ბატონობის გაგრძელებასა და გლეხების ჩაგვრაში ადანაშაულებდა, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფს წარმომადგენელთა ზემოთ ციტირებულ მოწოდებაში ძნელია დაინახო გლეხთა ჩაგვრის სურვილი (ბურჟუაზიის განვითარების სურვილის კი აუცილებლად დაინახავთ). ეროვნულ-დემოკრატებს ბარჟუაზიული საზოგადოების განვითარება მართლაც პროგრესულ მოვლენად მიაჩნდათ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ამ გზით ფეოდალურ წყობილებაში დიდხანს დარჩენილი ქვეყანა პროგრესის გზაზე შედგებოდა. სოციალისტ-დემოკრატის კი, საქართველოს განაპირა რეგიონებში სოციალიზმის იდეებს ავრცელებდნენ, რადგან ნაციონალიზმს მუშათა და სოციალ-დემოკრატის მტრად სთვლიდნენ.

“ამათვის (ნაციონალისტებისათვის) ნაციონალიზმი, ერის უფლებათა დაცვა არის მხოლოდ ის პირბადე, რომლითაც საზოგადოებაში გამოდიან და თავის კლასიურ ბატონობას იცავენ”<sup>221</sup>, წერდა ნოე ჟორდანიას.

საბედნიეროდ, სოციალიზმის ქადაგებას საინგილოში სავალალო შედეგები არ მოუტანია. ეს, ალბათ, ინგილოთა სიდინჯისა და პატრიარქალურ ბუნების „ბრალი“ უფროა. ფაქტი კი ერთია, როდესაც სოციალ-დემოკრატები

სოციალიზმისა და მუშათა კლასის ინტერესის დაცვას ქადაგებდნენ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები ეკონომიურ წინსვლას, დაუღალავ შრომას და ამით საქართველოს რესურსების სრულ გამოყენებას უჭერდნენ მხარს: „გამდიდრდით, იმუშავეთ, შეიძინეთ! მივმართავდით გლეხს, მუშას, თავადაზნაურსა და ინტელიგენციას“<sup>222</sup>. წერდა ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრი.

ეროვნულ-დემოკრატიულად განწყობილი ქართველების პოლიტიკა საინგილოსთან დამოკიდებულებაშიც შესანიშნავად გამოიკვეთა. XX საუკუნის ათიანი წლების საინგილო შემდეგ ქვეთავში უფრო დეტალურად წარმოჩინდება, ამ ქვეთავში კი ის ზოგადი განწყობა აღვებჭედეთ, რომლითაც იმდროინდელი ქართველი პატრიოტები საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ კუთხეს ეკიდებოდნენ.

## 2. სოციალური პრობლემები საინგილოში

ამ ქვეთავში რამდენიმე ნაწილადიქნება წარმოდგენილი ის ძირითადი პრობლემატიკა, რომელიც საინგილოს ოლქს 1918 წლის მაისამდე აწუხებდა. საინგილოს, როგორც მთლიანად საქართველოს, უამრავი გასაჭირი ჰქონდა, სხვაზე რომ არ ვისაუბროთ, მხოლოდ პირველი მსოფლიო ომი და ამ ომისაგან მოყვებულნი მატერიალური თუ სულიერი ზარალი რად ღირს, მაგრამ გაზეთ „საქართველოში“ წარმოდგენილი პუბლიკაციები თემის სამი კუთხით გავრცობის საშუალებას გვაძლევენ. ვისაუბრობთ სურსათის ნაკლებობასა და ვაჭრობის დანაშაულებრივ გზებზე, მძიმე კრიმინალურ მდგომარეობასა და განათლების საკითხებზე.

### 2.1 სასურსათო პრობლემა

1915 წელს დასავლეთ საქართველოს გვალვამ და უპურობით გამოწვეულმა საშინელებამ 1916 წელს საინგილოში გადაინაცვლა. მართალია, ომი იყო და გზებიც ჩაკეტილი გახლდათ, მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობისაგან მაინც ვეღირსეთ რამოდენიმე ვაგონ ხორბალს. უპურობით გატანჯულ საინგილოში კი პური კვლავაც არ ჩადიოდა, ვაგონები სტავროპოლში იყვნენ გაჩერებულნი, სახელმწიფო რკინიგზა ხორბლის ჩამოტანას აფერხებდა, კერძო სარკინიგზო კომპანიები კი თითქმის არ ანძრევდნენ, რადგან სახელმწიფო ტვირთის გადაზიდვიდან მცირე შემოსავალი ერგებოდათ.<sup>223</sup>

შაქრის ფასი 70 კაპიკამდე გაიზარდა (ომის დამთავრებამე კი სამ მანეთამდე გაძვირდა), მაგრამ გაძვირებული შაქარიც არ იშოვებოდა, რადგან ერთმა სომეხმა საინგილოში შემოსული მთელი შაქრის მარაგი შეისყიდა და მხოლოდ თავად ყიდდა. მთავრობამ აკრძალა საინგილოსა და დაღესტანს შორის ვაჭრობა, რის გამოც დაღესტანში გაძვირდა ის, რაც საინგილოდან შეჰქონდათ (ჩაი, შაქარი, ბრინჯი), საინგილოში კი ცხვარი და ერბო დეფიციტი გახდა.<sup>224</sup>

არ იშოვებოდა შაბიამანი (ეს, მთელი საქართველოს პრობლემა იყო და პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის შემდეგაც ვერ გადაწყდა), რის გამოც ნადგურდებოდა ვენახები, კარგი მოსავალის ბოლო იმედიც გაუქარწყლებიან შემოსეულ ფრინველებს (№115, 1916წ.).

ომის პარადოქსი, როცა ფული გაქვს, მაგრამ ვერაფერს იშოვნი, საინგილოს ყოველდღიურ რეალობად იქცა. სოფელ კახსა და ზაქათალაში გახსნილი სამომხმარებლო საზოგადოებები ვერ ასრულებდნენ საკუთარ დანიშნულებას. იმის მაგივრად, რომ მთავრობის მიერ რეგიონში შეღავათიან ფასად შეგზავნილი პროდუქტი მოსახლეობისათვის გაენაწილებინათ, სამომხმარებლო საზოგადოების წევრები ერთმანეთში იყოფდნენ ნადავლს და მერე გაცილებით ძვირად ყიდდნენ (№288, 1916წ.).

მოსახლეობის გაუსაძლისი მდგომარეობით სარგებლობდნენ სომეხი ვაჭრები. მეაბრეშუმეობის მიმდევარ ინგილოებს ან ძვირად აძლევდნენ აბრეშუმის თესლს, ანდა უფულოდ მისცემდნენ, სამაგიეროდ კი, მოყვანილი აბრეშუმის ერთ მესამედს ან, უკეთეს შემთხვევაში, ერთ მეოთხედს ართმევდნენ (№101; №137, 1916წ.).

არავის სურდა განაპირა, მძიმე პირობებში მცხოვრებ მხარეში ექიმად წასვლა, „საქართველო“-ს ერთ-ერთ ნომერში აღწერილია, თუ როგორ სცემა დაგვიანებისათვის ახალმივლინებულმა რუსმა ექიმმა პაციენტი. საინგილოში მომუშავე სამი ექიმიდან საბოლოოდ ერთი, მოხუცი ექიმიდა შემორჩა, ამიტომაც დალაქებს, ხაბაზებს და სხვა პროფესიის ხალხს ხელობა შეუცვლიათ და ექიმბაშობა დაუწყიათ, ერთმა ასეთმა თათარმა ექიმბაშ-დალაქმა კინაღამ იმსხვერპლა პაციენტი (№288, 1916წ.).

გაჭირვებამ და ყოველი სახის პროდუქციის დეფიციტმა ინგილოს გაუჩენელი გააჩენინა. გაზეთ „საქართველო“-ში ვკითხულობთ, რომ ინგილოებს

გამოუგონიათ ხის კუსტარული ფეხსაცმელი, რომელიც სამი მანეთი ღირდა და წელიწადნახევარი ძლებდა (№288, 1916წ.)

პროდუქტის (პურის, შაქრის, შაბიამნის, აბრეშუმის, თესლის...) ერთი პირის მიერ შესყიდვა და მონოპოლიზებამ; აგრეთვე დაღესტანსა და საინგილოს შორის ვაჭრობის აკრძალვამ დააჩქარა უკანონო ვაჭრობის პროცესი. ამ საკითხზე მიძღვნილ პუბლიკაციათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი წერილის ავტორი გვატყობინებს: „აქაური ვაჭრობა ხომ სულ მთლად სომხებისა და თათრების ხელშია. ეს ორი ერი, უმეტესად ვაჭრები რაღაც გაურკვეველად ერთიმეორეს ეკინკლავება და ორივენი ერთად კი ღარიბ-რატაკ მაცხოვრებლების ზურგზე გადადიან“. ზაქათალაში დამკვიდრებულ ცხოვრების წესს რომ გაცნობით, მაშინ მიხვდებით, თუ რატომ უწოდა გერმანულმა გაზეთმა რუსეთის იმპერიის ვაჭრებს „наши союзники в тылу русской армии“.<sup>225</sup>

დაბოლოს, საინგილოში გამეფებული უსურსათობის, უტანსაცმლობის, უექიმობის მძიმე მდგომარეობა, რომელსაც სასტიკი და უსამართლო ვაჭრობის წესი უფრო ამძიმებდა, არ იქნება სრულყოფილი, თუ არ აღვწერთ საინგილოს ადმინისტრაციული ცენტრის ზაქათალის მდგომარეობას.

„საქართველო“-ს კორესპონდენტის თქმით, ზაქათალაში დაინგრა არსებზე გადებული ხიდები, აიყარა ქვაფენილი და წვიმის დროს ტალახში ჩაფლულს ძნელად თუ ვინმე ამოგიყვანდათ. აღარ ნათდებოდა ქუჩები, ქალაქის ახალმა თავმა განათების იმედიც კი გაანადგურა, როცა ბოძებიდან ფარნები ჩამოსხნა, ჟურნალისტის საბოლოო შეფასება ასეთია: „შესაბრალის ქალაქი ზაქათალა“.<sup>226</sup> გაუსაძლისი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ლოგიკური შედეგი იყო კრიმინალური სიტუაციის გამწვავება, თუმცა ამ ობიექტურ მიზეზებს 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ კიდევ ერთი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც დაერთო.

## 2.2. მძიმე კრიმინალური მდგომარეობა

საინგილოში გამეფებული მწვავე კრიმინოგენული ვითარების მიზეზი გახლდათ რევოლუციის შემდეგ არსებული სამართალდამცავი ორგანოების დაშლა, ამიერკავკასიის ერთიანი მთავრობის პირობებში კი ახალი სტრუქტურები

ვერ იქმნებოდა. ძალოვანი სტრუქტურის არქონის პირობებში ათასი ჯურის დამნაშავე მთელ საინგილოში თავისუფლად დადიოდა.

საინგილომ თავისუფლება (მეფის რუსეთის დაშლა) 25 მარტს დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა. იქაურმა ინტელიგენციამ ბაზართან ახლოს მიტინგი გამართა „ორატორები რიგ-რიგობით უმართავდნენ ხალხს თავისუფლების მნიშვნელობას, ყველანი თავ-თავის ენაზედ ქართულზედ, სომხურზედ, თათრულსა და ლეკურზედ... ყველა ორატორი მოუწოდებდა ყველას თავისუფლების გამოცხადებასთან ერთად წასულ ეროვნულ ქიშპობისა და მტრობის დავიწყებას და ერთად მოქმედებას და ძმობა-ერთობას.<sup>227</sup>“

თავისუფლებამ, რომელსაც ასეთი ზარ-ზეიმით შეხვდნენ ინგილოები, ბევრი სიმწარე მოუტანა ზაქათალის ოლქს. გავრცელდა საოცარი ქურდობა და ყაჩაღობა. იპარავდნენ გასალეწ ხორბალს, სახლებს თავს ესხმოდნენ და საქონელი მიჰყავდათ, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დადიოდა, მარტო სიარულს ვერ ბედავდნენ მოთარეშე ავაზაკების შიშით. ცოცხლად დაწვეს მოზარდი, რომელმაც იცნო თავისი კამეჩების ქურდები (№291, 1917წ.). ცოცხლად დაწვა შურისძიების ფრიად მიღებული ფორმა იყო, რადგან ქრისტიანი მღვდელი მიხეილ ყულოშვილი (არა დაყაჩაღების გამო, არამედ სარწმუნეობრივი შეუღლის გამო) ასევე ცოცხლად დაწვეს (№6, 1918წ.). ინგილოებმა იცოდნენ, თუ ვინ იყო დამნაშავე, მაგრამ შიშით ვერ ამხედდნენ.

ზ. ედილი 1918 წელს საინგილოში დაბრუნდა. კახეთის რკინიგზით მგზავრობისას საკუთარი თვალთ ნახა, თუ როგორ წაართვეს ლეკებს შაქარი, ჩაი და თუთუნი კერ სომეხმა ჯარისკაცებმა, შემდეგ კი, ქართველმა ჯარისკაცებმა, ამიერკავკასიის ერთიანი სახელმწიფოს არსებობას ხომ სამმაგი (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) არმიები იცავდნენ. ჯარისკაცებმა არ ისმინეს საინგილოს მკვიდრი ლეკების მუდარა: ღვინოს ჩვენ არა ვსვამთ და არაყს, ჩაი მაინც შეგვარჩინეთო. ზ. ედილის თქმით, ლეკები გაოცებულნი ყოფილან, განა რა დაგუშავეთ ქართველებს, რომ ასე სასტიკად გვექცევიანო? (№35, 1918წ.)

საინგილოს ადმინისტრაციული ცენტრი ქ. ზაქათალა თითქმის დაცარიელდა, ორი-სამი სომეხის მკვლელების შემდეგ ქალაქი ძირითადად სომხურმა მოსახლეობამ დატოვა, ვაჭრობა ჩაკვდა. ლეკების არაერთი თხოვნის



მიუხედავად, სომხები არ ბრუნდებოდნენ, პროდუქტზე არსებული დეფიციტი უფრო გაიზარდა, სომხთა არაკანონიერი ვაჭრობაც კი სანატრელი გახდა საინგილოსათვის (№35, 1918წ.).

წესად იქცა ქრისტიანული ეკლესიებისა და სოფლების დარბევა. დარბევის ძირითადი მიზეზი რელიგიური დაუნდობლობა იყო, მიზანი კი ხელის მოთობა და ძარცვა გახლდათ. დაარბიეს ქრისტიანული სოფელი კახი (№35, 1918წ.), დაარბიეს ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი. ტაძარი, რომელსაც მაჰმადიანი ინგილოებიც კი ფიცულობდნენ, გაზეთი „საქართველო“ გვატყობინებს: სოფელ ალიბეგილოში რამდენიმე ქრისტიანი ინგილოს მოკვლა არავის გაჰკვირვებია, რადგან ეს „ეს ახალია, ძველია“, მაგრამ ქურმუხის ტაძრის შებილწვა და გაძარცვა წარმოუდგენელი სითავხედვა, რადგან „ამაზე მეტ შეურაცხყოფას ვერ მიაყენებთ ინგილოს“ (№98, 1918წ.).

მკვიდრ მოსახლეობას არაფერი გამოეპარებოდა, ხვდებოდნენ, რომ მათ თავს დატეხილ უბედურებაში ლეკებს ამჯერად წვლილი არ მიუძღოდათ. ავაზაკები ძირითადად თათრული სოფლის გეინუქის (ნუხის მაზრა) მკვიდრნი იყვნენ. გეინუქის თათარ მოსახლეობას ძალმომრეობითა და ძარცვა-გლეჯით სახელი შორს ჰქონდა განთქმული. ამ საერთო უბედურებამ საინგილოს ლეკები და მაჰმადიანი თუ ქრისტიანი ინგილოები გააერთიანა. კაკის დარბევის დროს ლეკებს ბევრი ქართველი შეუფარებიათ და მათი ქონების ნაწილიც გადაურჩენიათ.

1917-1918 წლებში მსოფლიო ომში თურქეთის წარმატებებმა პანისლამისტურად განწყობილი კავკასიის თათრები გაათავხედა. ისინი ძალმომრეობდნენ აშკარად და ყველგან (სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში), სადაც ხელი მიუწვდებოდათ თავის ნებას ძალადობით ახვევდნენ თავს ადგილობრივ მოსახლეობას. ნელ-ნელა ნათელი ხდებოდა, რომ ქართველი მენშევიკების უმრავლესობის მიერ ლამის საოცნებოდ გამოცხადებული ინტერნაციონალური სახელმწიფო კავკასია (რომლის შიგნითაც ეროვნული თვითმმართველობები იქნებოდა) არ შედგა<sup>228</sup>, ამიერკავკასიის ერებს ბევრ საერთო მიზანთან ერთად ერთი-ორი ისეთი მიზანიც აღმოაჩნდათ, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ამისი დასტურია, თუნდაც 1918 წელს თურქეთსა და ამიერკავკასიის მთავრობას შორის გამართული ტრაპზონის საზავო

მოლაპარაკება, სადაც აზერბაიჯანელი დელეგატები თურქეთის ინტერესებს უფრო იცავდნენ, ვიდრე ამიერკავკასიის სახელმწიფოსას.

როგორ ცდილობდნენ ინგილოები თავის დაცვას? მიმართავდნენ მთავრობას (ამიერკავკასიის კომისარიატს), საქართველოს ეროვნულ საბჭოს, კათალიკოსს, შეიხ-ულისლამს და ამაოდ ელოდნენ დახმარებას. ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები, ისევე, როგორც მთელი მთავრობა, უძლური იყო. „საქართველო“-ს კორესპონდენტმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საინგილოში შექმნილი ვითარება ასე შეაფასა: „ვერ ჩამოითვლება ყველა ის უბედურება, რომელიც ამ „თავისუფლების“ ხანას მიაყენეს მაჰმდიანებმა ჩვენს მოძმე ინგილოებს... საქრისტიანო საინგილოს ანადგურებენ ისე, რომ მომავალ საქართველოს სახელმწიფოში ინგილოების სახსოვრად შეიძლება დაგვრჩეს მხოლოდ თბილისში მაცხოვრებელი ორიოდ ინგილო“.<sup>229</sup>

„საქართველო“-ს კორესპონდენტს ესმოდა, რომ საერთო ანარქიის უამს საინგილოში იდეალური ყოფა ვერ იქნებოდა, მაგრამ იმას, რაც კახში და სხვა ქრისტიანულ სოფლებში დატრიალდა საერთო ანარქიაც ვერ ამართლებდა.<sup>230</sup>

ბუნებრივია, ასეთი ყოფა ისედაც გაუცხოვებული ინგილოების ნდობას სამშობლოსადმი უფრო შელახავდა, უთქვამთ კიდევ თბილისის წრეებში მიღებული ზაქარია ედილისათვის: „არავინ მოვიდა, არავინ მოგვხედაო, რამდენი ტელეგრამა გავაგზავნეთ და ერთი სანუგეშო სიტყვაც არავინ მოგვწერაო. განა საჭირო არ იყო, რომ მოვერიგებინეთ ერთმანეთთან და ასეთი რამ აღარ დაგვმართნოდაო... ღმერთმაც დაგვივიწყა და ქართველებმაცო“.<sup>231</sup>

### 2.3 განათლების საკითხები

XX საუკუნის ათიანი წლების საინგილოს ყოფის სოციალური მხარე არასრულყოფილი იქნებოდა განათლების შესახებ შექმნილი საგაზეთო პუბლიკაციების გარეშე. „საქართველო“-მ საზოგადოებრივი ცხოვრების ეს მხარე, რა თქმა უნდა, გამოხმაურების გარეშე არ დატოვა. ამ გაზეთს არათუ სწავლა-

განათლების უმნიშვნელოვანესი საკითხები, არამედ ისიც კი აინტერესებდა, საინგილოში როგორი ამინდი იყო.\*

ზ. ედილმა თავის საისტორიო ნარკვევში „საინგილოს გადაგვარება“<sup>232</sup> ინგილოთა ასილიმაციის XVII საუკუნეში დაწყებული პროცესი დაწვრილებით აღწერა, მანვე აღნიშნა ის უმთავრესი ისტორიული ფაქტები, რომლებმაც დაახქარეს ზაქათალას ოლქში ქართული ცნობიერების აღმოფხვრა. პუბლიკაციის ბოლოს ავტორმა დასვა კითხვა: „რა უნდა ვქმნათ, რანაირად უნდა გამოვასწოროთ საქმე?“ და იქვე უპასუხა: „ჩვენი სხნა ეროვნულ სკოლებშია“.<sup>233</sup>

საინგილოში ერთადერთი ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი არსებობდა სოფელ კახში, იქაც ქართულ ენას ძლიერ მწირად ასწავლიდნენ. ინგილოსთვის რომ გეკითხა, ქართულ ჟურნალ-გაზეთებს რატომ არ იწერო, გეტყოდა, ენა არ ვიცო. ინგილოებმა რუსული წერა უკეთესად იცოდნენ, ვიდრე ქართული და ოჯახებში ხშირად ნახავდით შვილების გამოგზავნილ წერილებს, სადაც ქართული სიტყვები რუსული ასოებით იყო დაწერილი.<sup>234</sup>

საინგილოში სკოლის დასაარსებლად საჭირო ცნობები უნდა მოეკრიბა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრს რ. ბურჭულაძეს. მისი დაკვირვებით ქართული სკოლა უნდა გასხნილიყო სოფელ თასმალოში, რომელიც ზაქათალასა და კახს შუა მდებარეობდა და, ამდენად, ყველასათვის ხელსაყრელი გახლდათ.

აი, როგორ აფასებდა რ. ბურჭულაძე საინგილოში ეროვნული სკოლის მნიშვნელობას: „საინგილოს ქართველ მაჰმადიანებს თავისი ეროვნული ვინაობა დაუკარგავთ და სარწმუნოებას და ეროვნებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ. აქაურ ქართველ მაჰმადიანების წარმოდგენით, შეუძლებელია, კაცი ქართველი იყოს და ამავე დროს ქრისტიანი არ იყოს ის, ამიტომაც, ქართული კულტურის ყოველივე ნასახს გაურბიან და სამშობლო ენასაც ნელ-ნელა ივიწყებენ... ასეთი შეუგნებლობა და მტრული განწყობილება ქართული კულტურისადმი არ არსებობდა არც აჭარაში და არც მესხეთ-ჯავახეთის მაჰმადიან ქართველთა შორის. ამის გამო დიდი შრომაა საჭირო, შრომა ხანგრძლივი და დიდი

\* „საქართველო“-ს 1916 წლის №109-ში გვ. 3 ვკითხულობთ: „ზაქათალას მხურვალე მზის სხივები საამურად დაჰყურებს მთელს არე-მარეს და სიცოცხლეს ჰგენს. სადამოლობით კი ცოტა წვიმა წამოვა“.

სიფრთხილით, რომ საინგილოს მაჰმადიან ქართველთა შორის ამოდრავდეს ეროვნული გრძნობა.<sup>235</sup>“

ამავე პუბლიკაციაში გამოჩნდა ის დიდი სიფრთხილე, რომლითაც ეროვნული ცნობიერების გაღვივებასა და სკოლის დაარსებას ცდილობდნენ. კერძოდ, თასმალოს ქართული სკოლის გასახსნელად საჭიროდ ჩათვალეს: ა) მასწავლებლად მამაკაცი მოეწვიათ, რადგან პატრიარქალურ საინგილოში (აჭარისგან განსხვავებით) ქალს გაეღენა არ ჰქონდა, ბ) უნდა მოეწვიათ ქართულის მცოდნე მოლა, რომელიც მშობლიურ ენაზე ასწავლიდა მაჰმადის სჯულს. თასმალოს სკოლის გახსნაში დიდ დახმარებას გაუწევდნენ ადგილობრივი მღვდელი მიხეილ ყულოშვილი\* და ახალგაზრდა ზ. ედილაშვილი (ეს ზ. ედილია). თასმალოს სკოლა აუცილებლად გაიხსნებოდა, რომ არა, 1917 წლის თებერვლის რევოლუცია. თუმცა, რევოლუციის შემდეგ საინგილოში უფრო დიდი ქართული სკოლის გახსნა.

1917 წლის 25 მარტს, რევოლუციის აღსანიშნავად გამართულ მიტინგზე გადაწყდა, რომ კახში გაეხსნათ 1905 წლის რევოლუციონერის ინგილო კონსტანტინე ბაირამაშვილის სახელობის სკოლა. ერთ-ერთ გამომსვლელს (ეროვნებით თათარს) გულისამაჩუყებელი სიტყვაც კი წარმოუთქვამს იმის შესახებ, რომ საინგილოში სომხური და თათრული სკოლებია გახსნილი, სხვა ეროვნების წარმომადგენელთ აქ არავინ სდევნის და ახლა კი დროა ქართველებსაც თავიანთი სკოლა ჰქონდეთო და ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად იქვე 285 მანეთი აუკრებიან.<sup>236</sup>

თავისუფლებამ, რომელმაც რბევა და აოხრება მოუტანა საინგილოს, ეს მცირე საჩუქარიც კი ვერ გაიმეტა ამისთვის. პარადოქსია, მაგრამ რუსეთის მეფის დახმობის შემდეგ არ გაუქმებულა მეფის მოხელეთა სტრუქტურები, ოღონდ ამ ძველ უსამართლობას, ახალი, ანარქიული ყოფით გამოწვეული უაკნონობაც დაერთო.

---

\* სწორედ ეს მღვდელი გახდა რელიგიური დევნის მსხვერპლი, ამაზე დაწერილებით შემდეგ თავში ვისაუბრებთ.

ანარქიის გამო მიყენებული ზარალი უკვე აღვწერთ კრიმინალური სიტუაციისადმი მიძღვნილ ქვეთავში, მეფის მოხელეთა უკანონო ძალმორეობის საილუსტრაციოდ კი ისიც კმარა, რომ კონსტანტინე ბაირამაშვილის სახელობის ეროვნული სკოლა არ გაიხსნა, შენობა არ დასთმო რეალური სასწავლებლის მეფისდროინდელმა დირექტორმა სოფინმა. უფრო მეტიც, ახალი ეროვნული სკოლის გახსნის ნაცვლად დაიხურა მაჰმადიან ინგილოთა სოფელ ალიაბათის ქართული სკოლაც.<sup>237</sup>

სკოლების პრობლემაც მოუგვარებელი რჩებოდა XX საუკუნის ათიან წლებში, მაგრამ ინგილოთა (განსაკუთრებით ქრისტიან ინგილოთა) მიდრეკილება სწავლისადმი უზომო იყო. მ. ჯანაშვილის ცნობით, პირველმა განსწავლულმა ინგილომ დიმიტრი ჯანაშვილმა თავის შემდეგ ბევრი ინგილო მასწავლებელი დატოვა და სკოლების არარსებობის მიუხედავად XX საუკუნის დასაწყისში 14000 ქრისტიანმა ინგილომ საქართველოს მისცა რამდენიმე ინჟინერი, აგრონომი, ექიმი. ილია ჭყონიას თქმით, განათლებული ადამიანების რაოდენობით საინგილო საქართველოს სხვა კუთეებს (ხონის გარდა) გაუსწრო<sup>238</sup>.

ასეთი დამანგრეველი შედეგები მოუტანა საინგილოს თავისუფლებამ, მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები მეორეხარისხოვანი მიზეზი იყო; კრიმინალური მდგომარეობის უკიდურესი გამწვავება სახელმწიფოს (მეფის რუსეთის) ნგრევამ და ახალი სახელმწიფოს არსებობამ გამოიწვია. ზუსტად ამავე მიზეზით იყო განპირობებული რელიგიური დაპირისპირებაც. შეგვეძლო ამ დაპირისპირების ამსახველი საგაზეთო პუბლიკაციებიც კრიმინალური სიტუაციისადმი განკუთვნილ პარაგრაფში გაგვეერთიანებინა, მაგრამ, ჩვენი აზრით, რელიგიური დევნა უფრო სხვა სახის, განსაკუთრებული ტიპის კრიმინალია, რომელიც სოციალურ პრობლემატიკის ფარგლებს სცდება, ამიტომ რელიგიური დაპირისპირებას ცალკე ქვეთავი მიუძღვნით.

### 3. რელიგიური ბრძოლა საინგილოში

ზ. ედილს თუ დავუჯერებთ, საინგილოს თათრები ქრისტიან მოსახლეობისაგან ყიდულობდნენ დაკლულ საქონელს, მაჰმადიანი ინგილო კი, ქრისტიანის დაკლულს არაფერს ჭამდა და იმ ჭურჭლით, რომლითაც ქრისტიანი სვამდა, წყალს არაფრით დალევდა<sup>239</sup>.

ილია ჭყონია კი, სულ სხვანაირად აღწერს მაჰმადიანთა და ქართველთა ურთიერთობას. მისი თქმით, ქრისტიანულ ეკლესიას კურმუხს საინგილოს მთელი მაჰმადიანობა (ლეკები, თათრები, ინგილოები) პატივს სცემდა. ერთმანეთის რწმენას რომ ანგარიშს უწევდნენ, ამის დასტურად ილია ჭყონია შემდეგ ამბავს მოგვითხორბს: კახის საბოქაულოს ერთ-ერთ ლეკურ სოფელში ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები იყო შემორჩენილი, ეკლესიის ეზოში ორი უზარმაზარი რამოდენიმე საუკუნოვანი კაკალი იდგა. ერთ ვაჭარს სატყეო ზედამხედველობისაგან გამოუთხოვია ამ კაკლების მოჭრის ნებართვა. ხის მოსაჭრელად მოსული ვაჭარი ლეკებს დაუტყვევებიათ და კახის ქართველი ბოქაულისათვის მიუგვრიათ:

„თუ ქრისტიანი ხართ, დაიცავით ღვთის საკუთრებაო. ჩვენ მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ამ ადგილს ადათით დიდ პატივსა ვცემთ, რადგან ღმერთი ერთიაო.“<sup>240</sup> ამ ქვეთავის დასაწყისში ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვჯერა, სარწმუნოებრივი შემწყნარებლობა, ერთმანეთის ადათების პატივისცემა საინგილოს მკვიდრი მოსახლეობისათვის ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ. რელიგიური უთანხმოებებიც იყო, მაგრამ ამას სისტემატიური ხასიათი არ ექნებოდა.

რუსეთის მონარქიული წყობის დახმობისა და პირველ მსოფლიო ომში თურქეთის დაწინაურების შემდეგ მუსულმანთა (ძირითად თათართა) ძალმომრეობას და ქრისტიანობის დევნას მასიური ხასიათი მიეცა.

ადგილობრივმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა საინგილოში ორი ქართული სკოლა დაეარსებინა და გაეხსნა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, აიკრძალა გასათხოვარი ქალიშვილების გაყიდვა. ეროვნული შემეცნების სასიკეთოდ გადადგმული ეს ნაბიჯები საინგილოს მაჰმადიანებმა გაქრისტიანების დასაწყისად აღიქვეს და შედეგმაც არ დააყოვნა. საინგილოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ლეკმა ყაფიზ ეფენდიმ თავის რაზმთან ერთად დააწიოკა ქრისტიანი ინგილოები, მარკოზ ფიროსმანიშვილს

ცოლი წაართვა და მუსულმანს შერთო, ექვსი ინგილო ძალით გაამაჰმადიანა, კონდახით არაერთი მოსახლე სცემა.<sup>241</sup>

მაჰმადიანთა აულაგმავე თარეშის დროს აიკლეს კურმუხის წმინდა გიორგის ეკლესია, სიწმინდეების მოპარვას არ დასჯერდნენ, ხატები ხანჯლით დაჩეხეს, ფეხით გაქელეს, ეკლესიის გუმბათიდან ჯვარი ძირს დასცეს, მხოლოდ სახარება დარჩენილა ხელუხლებელი.<sup>242</sup>

მუსულმანური სისასტიკის მსხვერპლი შეიქმნა მღვდელი მიხეილ ყულოშვილი. მისი გვამი თვრამეტი დღის შემდეგ იპოვეს, მღვდელს ხელები ჰქონდა შეკრული, რამოდენიმე დღის ნაშიმშილარი ყოფილა, ხერხემლის გასწვრივ იყო ნაცემი, მალეები ჩამტვრეული ჰქონდა, ბოლოს ყელი გამოუჭრიათ და გვამის დაწვას ცდილან, მაგრამ არ გამოსვლიათ. ყველა ხვდებოდა, რომ მღვდელი რელიგიურ ნიადაგზე იყო მოკლული, რადგან იგი გამუდმებით ამხელებდა მოლების უვიცობას, ილაშქრებდა ისეთი მავნე ტრადიციების წინააღმდეგ, როგორცაა ცოლის წართმევა, გასათხოვარი ქალიშვილის ქმრისადმი მიყიდვა, ძალით გაამაჰმადიანება და ამის გამო არაერთხელ დამუქრებიან მაჰმადიანური რჯულის „დამცველნი“.<sup>243</sup>

საინგილოს მაჰმადიანთა ასეთმა ქცევამ, ბუნებრივია, ქართველი ქრისტიანების დიდი აღშფოთება გამოიწვია. ჰაიდარ ბეგ აბაშიძემ გაზეთ „სამშობლოში“ უკმაყოფილება გამოთქვა, რომ რ. ინგილო მაჰმადიანებსა და ქრისტიანებს შორის უთანხმოებას აღვივებდა. ამ მეტად საჩოთირო ბრალდებაზე საპასუხოდ რ. ინგილო ამბობდა, რომ არაერთხელ გაუკიცხავს ხალხი, ვინც საინგილოში ქრისტიანობის პროპაგანდა სცადა, მაგრამ ასეთივე დამღუპველი შედეგები მოაქვს მაჰმადიანობის პროპაგანდას. თუმცა, ის რაც ზაქათალას ოლქში ხდება მაჰმადიანობის პროპაგანდა კი არა, ტერორიაო. ჩემი პუბლიცისტური წერილების მიზანი რელიგიური საკითხების გარჩევა სულაც არ გახლავთ, ერთადერთი, რაც გვსურს ისაა, რომ ინგილო ქართველებმა (ქრისტიანები იქნებიან თუ მაჰმადიანები) სარწმუნოებრივი განსხვავებულობის მიუხედავად ერთმანეთი ძმებად აღიარონ „ერთი იდეა გვასულდგმულებს და გვამეტყველებს დღეს ჩვენ... ეს გახლავთ საქართველოს სამკვიდრებლის აღდგენა, საქართველოს მთლიანი სახის განმტკიცება კათოლიკე და მართლმადიდებელი, მაჰმადიანი და გრიგორიანი ყველა ქართველი თავის სამშობლოს უზენაეს ხელმწიფობის სრულუფლებიანი წევრი შეიქმნება“<sup>244</sup>. წერს რ. ინგილო.

მაშასადამე, საინგილოში 1917 წლამდე არსებული რელიგიური შუღლი არ ატარებდა სისტემატიურ ხასიათს, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა სარწმუნეობის მიმდევარნი ერთმანეთის რწმენას პატივისცემით ეპყრობოდნენ. გაზეთმა „საქართველო“-მ ასახა ქრისტიანული სარწმუნეობის ის სასტიკი დევნა, რომელიც სახელმწიფოებრივი დაცვის შესუსტებამ გამოიწვია. მართალია, გაზეთი ყოველთვის ცდილობდა დიდი სიფრთხილით მოჰკიდებოდა ეროვნულ თუ რელიგიურ კონფლიქტებს, რომლებიც ქვეყნის ერთიანობას საფრთხეს უქმნიდნენ, მაგრამ „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა“. „საქართველო“-მ თქმა ამჯობინა, ამავე დროს ყველაფერი გააკეტა, რათა საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მაჰმადიანები არ გაეხელებინა.

#### 4. საინგილოს ისტორიისა და ტრადიციის ასახვა გაზეთ „საქართველო“-ს ფურცლებზე

პუბლიცისტური ნარკვევები საინგილოს ისტორიის შესახებ საუკეთესო საშუალება იყო ეროვნული მთლიანობის იდეის განსამტკიცებლად. ისტორიის ცალკეული ეპიზოდების მთლიანობაში გააზრება ნათელს ჰფენდა საინგილოში მიმდინარე პროცესებს. ზ. ედილი საინგილოს გადაგვარების XVII საუკუნეში დაწყებულ პროცესს თანმიმდევრულად აღწერს. შაჰ-აბაზის სასტიკი პოლიტიკის მიუხედავად ინგილოებმა „კიდევ აჰქნეს ერობა“. 1803 წელს რუსეთმა საინგილო საქართველოს რომ შემოუერთა, ჭარ-ბელაქნელი ინგილოების მოთხოვნით ლეკებმა პირობა დადეს: „ჭარ-ბელაქნის ლეკები მოვალენი ვართ, დღეის უკან აღიაბათის ქართველებს ხელი აღარ შევუშალოთ ქრისტიანული სარწმუნეობის აღიარებაში და ეკლესიათა აშენებაში“.<sup>245</sup> პლატონ იოსელიანის ცნობით ბოდბის ეპისკოპოსი საინგილოში გადაცემულ მღვდლებს აგზავნიდა, რომელთაც სანთელ-საკმეველი მიჰქონდათ და წირვა-ლოცვას ასრულებდნენ, მაგრამ...

აჰანყდა ლეკი ჰაჯი-მურთუხი. იგი შამილს ებრძოდა, შამილის დამარცხების შემდეგ იოლად ვერ შეეღია მხედრულ ცხოვრებას და საინგილოში ქრისტიანობის წინააღმდეგ გაილაშქრა. იმის შიშით, ახალი შამილი არ მოგვევლინოსო, რუსეთის მთავრობამ საჯაროდ აღიარა რწმენის თავისუფლება. ისე კი მოხდა, რომ თავისუფალი რწმენა მაჰმადიანთა პრივილეგიად იქცა, ქრისტიანებს კი სხვადასხვანაირი ზეწოლის საშუალებიდ ამაჰმადიანებდნენ. ასე



იქცნენ ნამდვილ მაჰმადიანებად საინგილოს ქართული სოფლები, მხოლოდ ხუთი სოფელიღა შემორჩა ძველ, ქრისტიანულ სარწმუნოებას.<sup>246</sup>

ბევრ ლეკურად მიჩნეულ ოჯახში, მოეპოვებოდათ „გუჯარ-ქალაღები ქართველ მეფეთაგან მიცემული, რომელთაც მაღავენ და იშვიათად თუ აჩვენებენ ვინმეს. ესენი არიან ჭავჭავაძეები სოფელ გოგამში, ლეონიძეები და ერისთავნი ჭარში, ვაჩნაძეები ბელაქანში და სხვანი და სხვანი. ეხლა რასაკვირველია, მათ ქართველობისა არა სცხიათ რა და არც ქართველებად მოაქვთ თავი, მხოლოდ სხოვნა, ცარიელა ხსოვნათა შერჩენიათ, რომ მათი წინაპრები ოდესთაც გურჯები, ქართველები ყოფილან“.<sup>247</sup>

ზ. ედილს ეკუთვნის ასევე საინგილოში არსებული სხვადასხვა ეკლესიათა ნანგრევების მოკლე მიმოხილვა. თავის წერილს ავტორი ასე ასრულებს: დანგრეული ეკლესია მონასტრებიდან ზოგს გუმბათიც კი შერჩენია, გეოგრაფიული სახელები ქართულად უღერენ თეთრი საყდარი, დარბაზის საყდარი, ბერთა ბინა - „ყველაფერი ქართველთა წარსულ ცხოვრებას და მაჯისცემას მოგაგონებთ“.<sup>248</sup>

საქართველოს უძველესი ისტორიის ამსახველ ფრაგმენტებს შეიცავს ილია ჭყონიას პუბლიცისტური წერილი, რომელშიც აღწერილია საინგილოში შემორჩენილი უძველესი ქართული ქალაქების ბაზარასა და სიღნაღის ნაშთები. ასევე სამონასტრო კომპლექსის, ფიფინეთის ნანგრევები. გამოცდილი არქეოლოგი რომც არ იყოთ, მაინც მიხვდებით, რომ მიწასთან სულ ახლოს არის საქართველოს უძველესი ყოფის ამსახველი მასალები<sup>249</sup>. წერს ავტორი. მისი აზრით, ნუხის მაზრაში შემორჩენილი ლეგენდები ფერია-ხათუნზე თამარ მეფის შესახებ შექმნილი თქმულებებია, თამარის სილიადეს ამტკიცებენ მის დროს აგებული ხიდებიც, რომელტა უმრავლესობაც თითქმის დაუზიანებელიაო.<sup>250</sup>

საინგილოს ტრადიციების გასაცნობად არის შექმნილი ზ. ედილის წერილი „კასრის საყდარზედ“.<sup>251</sup> სამების დღესასწაულზე ინგილოები კასრის საყდრის დღეობაზე მიდიან, ამ დროს გაზაფხულია, ყველაფერი ყვავის და აფეთქებული ხეების ფონზე დედოფალივით მოსჩანს კასრის თეთრი საყდარი. ამოჰყავთ დასაკლავი საქონელი, ამოაქვთ სანოვაგე და სახალხო დღესასწაული იმართება. სადილის შემდეგ იმართება შიპრობა (ცეკვა), რომლის დროსაც სპეციალურ ფეხსაცმელებს იცმევენ, მოშიპრავე ქალებს კაცები ფულით ასაჩუქრებენ, მანდილოსნებიც არ უკადრისობენ ხოლმე.<sup>252</sup>

კასრის საყდრის დღეობის აღწერა რომ უფრო მეტყველი გაეხადა, ავტორი (სავარაუდოა, ნამდვილ) ამბავს მოჰყვამ. ინგილო ვაჟს ქერიმას უყვარდა მეზობლის ქალი გალუსტა. მაგრამ გალუსტა, ინგილოთა წესის მიხედვით, აკვნიდანვე სხვაზე იყო დანიშნული. თანაც ქერიმა საყვარელი ქალის, მშობლებს 25 თუმანს ვერ უხდიდა. გალუსტა სხვაზე გაათხოვეს. კასრის საყდრის დღესასწაულზე ქერიმამ საცეკვაოდ გამოიწვია გალუსტა. მათი შიპრობა ისეთი შთამბეჭდავი იყო, რომ დღობებზე მოსული ხალხი მონუსხულივით შესცქეროდა, ეს მშვენიერი სანახაობა მაშინ შეწყდა, როცა გალუსტას მთვრალმა ქმარმა ქერიმას ხანჯლით გული გაუპო.<sup>253</sup>

უდავოა, ამ რომანული ეპიზოდით ზ. ედილმა ინგილოთა ცხოვრების სინამდვილე მკითხველისათვის ხელშესახები გახადა, ეს ჟურნალისტის მცდელობა იყო, რომ საინგილოს ყოფა ქართველი მკითხველისათვის უფრო ახლობელი გაეხადა.

ამრიგად, საინგილოს ისტორიისა და ტრადიციების ამსახველი საგაზეთო პუბლიკაციები საქართველოს ეროვნულ მთლიანობას ამტკიცებდა. „საქართველო“-ს პუბლიცისტებმა ისტორიულ ფაქტებს მოუხმეს იმის დასტურად, რომ სარწმუნოებრივი განსხვავებულობა, ინგილოთა გაუცხოვება დანარჩენი საქართველოსაგან ჩვენმა საერთო, ბედუკუდმართმა ბედუკუთდმართი ისტორიავე დაადავბდა, რომ ინგილოები ქართველი ერის ერთ-ერთი უძველესი და ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ.

**დ ა ბ ო ლ ო ს**, 1917-18 წლებში საინგილოსა და აფხაზეთის მთიელთა კავშირში შესვლის საკითხი დაისვა. „ზაქათალისა და სოხუმის ოლქების შესახებ კომიტეტმა დაადგინა, რომ მთიელთა მთავრობა მათ ეროვნულ, კულტურულ და პოლიტიკურ საკითხებზე ავრცელებს კომპეტენციას. რაც შეეხება ამ ოლქებზე მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივ მოვალეობის ახლავე ან სრულიად გავრცელებას, ანდა მათ მიერ კავკასიის დროებითი მთავრობის კომპეტენციის სფეროში დარჩენას, მიენდოს ზაქათალისა და აფხაზეთის ეროვნულ საბჭოებს“.<sup>254</sup>

ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სამურზაყანოში ჩატარებულ კრებაზე აფხაზეთის დელეგატმა აჯემოვმა მეგრელებს ულტიმატუმი წაუყენა: „თუ თქვენ მეგრელები ხართ წადით და საქართველოს შეუერთდით, ჩვენ არაფერი საწინააღმდეგო არა გვაქვსო, და თუ აფხაზები ხართ, მაშინ ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ და შეუერთდეთ მთიელთა კავშირსაო.“<sup>255</sup>

საინგილოში კი მსგავსი რამ არ მომხდარა. ინგილოებს (ქრისტიანებს) არბევდნენ, მაჰმადიან და ქრისტიან ინგილოებს ორთავეს არ ჰქონდათ საკვების არჩევანი, თითქმის არ არსებობდა ეროვნული სკოლები და მაინც, მხოლოდ თითო ოროლა მწარე საყვედური ითქვა, არსად თქმულა ქართველებს მოვშორდეთ და მთიელთა კავშირს შევუერთდეთო.

პირიქით, ინგილოების ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელი რ. ინგილო წერდა: ზაქათაღის ოლქს საქართველო ვერ დათმობს, რადგან „აქ ქრისტიანობა წმინდა ნინოზე უწინ უქადაგია ეპისკოპოსს ელისეს. მან შემოიარა ჰერეთი და ნუხის მახლობლად ააგო დიდებული ტაძარი, გიშის მონასტრად წოდებული, რომელიც დღეს სომეხთა ხელშია. ამგვარი ისტორიული ნაშთებით სავსეა საინგილო... დიდი მუყაითობა გვჭირია, რომ ეს კუთხე გადაგვარებას ავაცდინოთ. ამ წმინდა საქმეში დახმარება უნდა ვსთხოვოთ ჩვენს ძმებს აჭარლებს, რომელნიც ცხადზე უცხადესად დაუმტკიცებენ ინგილო მაჰმადიანს, რომ ერთსა და იმავე დროს შეიძლება იყო მაჰმადიანიც და ქართველიც<sup>256</sup>.

- <sup>1</sup> გაგოშიძე შოთა; ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები) ნაკვეთი I; თბ; 2004წ; გვ: 3
- <sup>2</sup> კედია სპირიდონ; “ჩვენი სიტყვა”; “საქართველო”; 1915წ; №1; გვ: 2
- <sup>3</sup> იქვე.
- <sup>4</sup> ადამაშვილი მ; “კარებები ჩაგვეტოთ (გადამიჯნვის საფუძველი)”; “საქართველო”; 198წ; № 19; გვ: 2.
- <sup>5</sup> ჯანელიძე ოთარ; სპირიდონ კედია პოლიტიკური პორტრეტი; თბ. 2002 წ.
- <sup>6</sup> იქვე; გვ: 45-55.
- <sup>7</sup> იქვე; გვ: 45.
- <sup>8</sup> იქვე; გვ: 46.
- <sup>9</sup> ჯანელიძე ოთარ; ნარკვევები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან; თბ 2002წ; გვ: 166
- <sup>10</sup> ჯანელიძე ოთარ; სპირიდონ კედია პოლიტიკური პორტრეტი; თბ. 2002 წ; გვ: 47-48.
- <sup>11</sup> “საქართველო”; 1916წ; №19.
- <sup>12</sup> ჯანელიძე ოთარ; სპირიდონ კედია პოლიტიკური პორტრეტი; თბ. 2002 წ; გვ:გვ: 54
- <sup>13</sup> ჯანელიძე ოთარ; ნარკვევები ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან; თბ 2002წ; გვ: 382-383.
- <sup>14</sup> ამ-ბერი; “ილორის ბედი”; “საქართველო”; 1918წ; №25; გვ: 2.
- <sup>15</sup> ვეშაპელი გრიგოლ; “აფხაზეთისათვის”; “საქართველო”; 1917წ; № 107; გვ: 2.
- <sup>16</sup> აბ. წულაძე; მოგზაურის რამე-რუმე; “საქართველო;” 1916 წელი; № 211; გვ 3.
- <sup>17</sup> ს.კ-დია; საინგილო და წ. კ. საზოგადოება; “საქართველო;” 1915 წელი; № 10; გვ 1.
- <sup>18</sup> ჭუმბურიძე დოდო; ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა; თბ; 2008წ; გვ: 209-210.
- <sup>19</sup> ედილი ზ; “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”; “საქართველო”; 1918წ; №9; გვ: 4.
- <sup>20</sup> იქვე.
- <sup>21</sup> ედილი ზაქარია, “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”, “საქართველო” ; №8; 1918წ; გვ: 3.
- <sup>22</sup> ედილი ზაქარია; “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”; “საქართველო”; 1917წ; №35, გვ 3.
- <sup>23</sup> ჯანელიძე ოთარ; საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი, 2009წ; გვ: 123.
- <sup>24</sup> ედილი ზაქარია, “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”, “საქართველო” ; №8; 1918წ; გვ: 3.
- <sup>25</sup> იქვე.
- <sup>26</sup> Белая книга Абхазии; მოსკოვი; 1993წ; გვ:30.
- <sup>27</sup> თოთაძე ანზორ; აფხაზეთის მოსახლეობა ისტორია და თანამედროვეობა; თბ; 1995წ; გვ: 81-107.
- <sup>28</sup> თოთაძე ანზორ; აფხაზეთის მოსახლეობა; ისტორია და თანამედროვეობა; თბ; 1995წ; გვ: 82-86.
- <sup>29</sup> თოთაძე ანზორ; აფხაზეთის მოსახლეობა; ისტორია და თანამედროვეობა; თბ; 1995წ; გვ: 87.
- <sup>30</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 49

- 
- <sup>31</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 49 იხ. სქოლიო
- <sup>32</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 49.
- <sup>33</sup> თოთაძე ანზორ; აფხაზეთის მოსახლეობა; ისტორია და თანამედროვეობა; თბ; 1995წ; გვ: 87.
- <sup>34</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 146.
- <sup>35</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; გვ: 52; თბილისი; 2006წ.
- <sup>36</sup> იქვე.
- <sup>37</sup> გაბედავა მერი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წწ; თბ; 1993წ; გვ:11.
- <sup>38</sup> გამახარია ჯემალ; ქართულ აფხაზეთურ ურთიერთობათ ისტორიიდან; თბ; 1991წ; გვ :21-22.
- <sup>39</sup> იქვე.
- <sup>40</sup> იქვე.
- <sup>41</sup> თავდგირიძე ნიკო; ქართული პრესა; “საქართველო”; 1917წ; №171; გვ:2.
- <sup>42</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 13-14.
- <sup>43</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან; თბ; 2002წ; გვ: 19.
- <sup>44</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 15.
- <sup>45</sup> იქვე; გვ: 16-17.
- <sup>46</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 20.
- <sup>47</sup> იქვე; გვ: 21.
- <sup>48</sup> იქვე; გვ: 24.
- <sup>49</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; თბ; 2006წ; გვ: 244.
- <sup>50</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 27.
- <sup>51</sup> ჯანელიძე ოთარ; საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია; თბილისი; 2009წ; გვ: 124.
- <sup>52</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 31.
- <sup>53</sup> იქვე.
- <sup>54</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 36.
- <sup>55</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან; თბ; 2002წ; გვ: 21.
- <sup>56</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან; თბ; 2002წ; გვ: 23.
- <sup>57</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან; თბ; 2002წ; გვ: 2.

- 
- <sup>58</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; თბ; 2006წ; გვ: 280.
- <sup>59</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; თბ; 2006წ; გვ: 245.
- <sup>60</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 41.
- <sup>61</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან; თბ; 2002წ; გვ: 1.
- <sup>62</sup> ვეშაპელი გრიგოლ; “აფხაზეთისათვის”; “საქართველო”; 1917წ; № 107; გვ: 2.
- <sup>63</sup> თ-დი ეტრე ანჩაბაძე; თ-დი მელიტონ ემუხვარი ‘მცირედი განმარტება’; “საქართველო”; 1916 წ; №99; გვ: 3.
- <sup>64</sup> ასკანელი პრ; “სოხუმი”; “საქართველო”; 1916წ; №150; გვ: 4.
- <sup>65</sup> იქვე.
- <sup>66</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 162-164.
- <sup>67</sup> “ქართული ენა და სოხუმის ეპისკოპოსი”; “საქართველო”; 1916წ; №42; გვ: 2.
- <sup>68</sup> ედილი ზაქარია; “სკოლების გაეროვნება საქართველოს სანაპიროებში”; “საქართველო”; 1917წ; № 269; გვ: 3-4.
- <sup>69</sup> ედილი ზაქარია; “საინგილოდან აფხაზეთამდის”; “საქართველო”; 1917წ; №193; გვ: 4.
- <sup>70</sup> ედილი ზაქარია; “აფხაზეთის ვითარება”; “საქართველო”; 1917წ; №234; გვ: 4
- <sup>71</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 152-153.
- <sup>72</sup> “მცირედი განმარტების გამო”; “საქართველო”; 1916წ; №100; გვ: 2.
- <sup>73</sup> “სოხუმის ამბები”; “საქართველო”; 1918წ; №130; გვ: 3.
- <sup>74</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 49
- <sup>75</sup> პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 150-151.
- <sup>76</sup> ედილი ზაქარია; “აფხაზეთის ეკლესიის გარუსების ისტორიიდან”; “საქართველო”; 1918წ; №37; გვ: 4.
- <sup>77</sup> იქვე.
- <sup>78</sup> იქვე.
- <sup>79</sup> “აფხაზთა დეპუტაცია”; “საქართველო”; 1916წ; № 99; გვ: 2.
- <sup>80</sup> “აფხაზეთის შუამდგომლობა”; “საქართველო”; 1916წ; №87; გვ: 3.
- <sup>81</sup> “აფხაზეთის ხმა”; “საქართველო”; 1916წ; № 87; გვ: 2.
- <sup>82</sup> “აფხაზთა დეპუტაცია ეგსარხოსთან”; “საქართველო”; № 100; გვ: 2.
- <sup>83</sup> “აფხაზების დეპუტაცია”; “საქართველო”; № 99; გვ: 2.
- <sup>84</sup> იქვე.
- <sup>85</sup> ედილი ზაქარია; “საინგილოდან აფხაზეთამდის”; 1917წ; №269; გვ: 3-4.
- <sup>86</sup> “საქართველო”; 1917წ; № 24;
- <sup>87</sup> ედილი ზაქარია; “ავტოკეფალიის საკითხი აფხაზეთში”; “საქართველო”; 1917წ; №128; გვ: 4.

- 88 ედილი ზაქარია; “ავტოკეფალიის საკითხი აფხაზეთში”; “საქართველო”; 1917წ; №128; გვ: 4.
- 89 იქვე.
- 90 იქვე.
- 91 ედილი ზაქარია; “აფხაზეთის ვითარება”; “საქართველო”; 1916წ; №125; გვ: 4.
- 92 ვეშაპელი გრიგოლ; “აფხაზეთისათვის”; “საქართველო”; 1917წ; № 107; გვ: 2/
- 93 “საქართველო”; 1917წ; № 35; გვ: 3.
- 94 ედილი ზაქარია; “აფხაზეთის სიწმინდენი”; “საქართველო”; 1917წ; №237; გვ: 4.
- 95 ედილი ზაქარია; “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”; “საქართველო”; 1918 წ; №9; გვ: 3.
- 96 ედილი ზაქარია; “აფხაზეთის სიწმინდენი”; “საქართველო”; 1917წ; №234; გვ: 4.
- 97 იქვე.
- 98 ედილი ზაქარია; “შავი ზღვის სანაპიროებზე (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”; “საქართველო”; 1918 წ; №8; №9; №10.
- 99 ამ-ბერი; “ილორის ბედი”; “საქართველო”; 1918წ; №25; გვ: 2.
- 100 იქვე.
- 101 იქვე.
- 102 იქვე.
- 103 “აფხაზეთის ეკლესია”; “საქართველო”; 1919 წ; №198; გვ: 1
- 104 იქვე.
- 105 ჭახრაკი; კორესპონდენცია “გიორგი შერვაშიძის ხსოვნის აღნიშვნა ქ. სოხუმში (წერილი სოხუმიდან)”; “საქართველო”; 1918წ; № 183; გვ 3-4.
- 106 პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (“სტატის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ; გვ: 32.
- 107 ვეშაპელი გრიგოლ; “აფხაზეთისათვის”; “საქართველო”; 1917წ; № 107; გვ: 2.
- 108 იქვე.
- 109 “კაი”; “წერილი აფხაზეთიდან”; “საქართველო”; 1916წ; № 125; გვ: 4.
- 110 ედილი ზაქარია; “საინგილოდან აფხაზეთამდის”; 1917წ; №269; გვ: 3-4.
- 111 “საქართველო”; 1917წ; №278; გვ: 3.
- 112 “სოხუმი, მთიულთა ავტონომიის ტერიტორია”; “საქართველო”; 1917 წელი; №278; გვ: 3.
- 113 ჯანელიძე ოთარ; საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია; თბილისი; 2009წ; გვ: 124.
- 114 “ოსმალეთის დესანტი სოხუმში”; “საქართველო”; 1918წ; № 126; გვ: 2.
- 115 იქვე.
- 116 “სოხუმის ოლქში”; “საქართველო”; 1918წ; № 128; გვ: 2.
- 117 გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 24.
- 118 “ბრძოლა ახალ ათონთან”; “საქართველო”; 1918წ; № 170; გვ: 3.

- <sup>119</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 24.
- <sup>120</sup> თავდგირიძე ნიკო; “აფხაზეთისა და ჯიქეთის საკითხი”; “საქართველო”; 1918წ; № 183; გვ: 3.
- <sup>121</sup> “აფხაზეთი და საქართველო”; “საქართველო”; 1919წ; № 73; გვ: 3-4
- <sup>122</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; თბ; 2006წ; გვ: 244.
- <sup>123</sup> კაკაბაძე ს; “შავი ზღვის სანაპიროსათვის”; “საქართველო”; 1918წ; № 190; გვ: 1.
- <sup>124</sup> იქვე; გვ: 257.
- <sup>125</sup> “შექმელება აფხაზეთში (მთავრობის ოფიციალური ცნობა)”; “საქართველო”; 1918წ; № 192; გვ: 3.
- <sup>126</sup> იქვე.
- <sup>127</sup> “საომარ მოქმედებათა დაწყება სოჭის ოლქში”; “საქართველო”; 1919წ; №30; გვ: 2.
- <sup>128</sup> იქვე.
- <sup>129</sup> “საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა ინგლისისადმი”; “საქართველო”; 1919წ; №32; გვ: 3.
- <sup>130</sup> “სოჭი და ბათომი”; “საქართველო”; 1919წ; № 31; გვ: 1.
- <sup>131</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 31-33.
- <sup>132</sup> “სოხუმში”; “საქართველო”; 198წ; № 44; გვ: 4.
- <sup>133</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 34.
- <sup>134</sup> “ბოლშევიკები სოხუმში”; “საქართველო” 1918 წ; № 70; გვ: 3.
- <sup>135</sup> “ა.ი. ჩხენკელის მიმართვა აფხაზეთისა და სამურზაყანოლებისადმი”; “საქართველო”; 1918წ; № 86; გვ: 3.
- <sup>136</sup> “ჯუღელის მოხსენება სოხუმის ამბების შესახებ”; “საქართველო”; 1918წ; № 106; გვ: 3-2.
- <sup>137</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 35.
- <sup>138</sup> “ბოლშევიკების დამარცხება სოხუმის ოლქში”; “საქართველო”; 1918წ; № 126; გვ: 3.
- <sup>139</sup> “ტუაფეს ალების გამო”; “საქართველო”; 1918წ; № 153; გვ: 1
- <sup>140</sup> თავდგირიძე ნიკო; “შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი”; “საქართველო”; 1918წ; № 185; გვ: 3.
- <sup>141</sup> “გენერალ მაზნიაშვილის ოპერაცია”; “საქართველო”; 1918წ; № 155; გვ: 1.
- <sup>142</sup> გაბედავა მერი; საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21 წლებში; თბ; 1993წ; გვ: 36.
- <sup>143</sup> “აფხაზეთში”; 1921წ; №41; გვ: 2.
- <sup>144</sup> “გაგრის ფრონტი”; “საქართველო”; 1921წ; №42; გვ: 2.
- <sup>145</sup> ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; თბ; 2006წ.
- <sup>146</sup> იქვე; გვ: 126.
- <sup>147</sup> გივი გოლდენდ; “გიორგი შერვაშიძე”; “საქართველო”; 1918წ; № 45; გვ: 3.
- <sup>148</sup> იქვე.



- 149 ჭახრაკი; კორესპონდენცია “გიორგი შერვაშიძის ხსოვნის აღნიშვნა ქ. სოსუმში (წერილი სოსუმიდან)”; “საქართველო”; 1918წ; № 183; გვ 3-4.
- 150 კაი, “წერილი აფხაზეთიდან”; “საქართველო”; 1916წ; №125; გვ: 4.
- 151 ჯუანშერ; “კიდევ პროვოკაცია”; “საქართველო”; 1917წ; № 108; გვ: 3.
- 152 იქვე.
- 153 ინ-რი; “სოსუმის ამბები”; “საქართველო”; 1918წ; № 130; გვ: 3.
- 154 იქვე.
- 155 “ტუაფსეს აღების გამო”; “საქართველო”; 1918წ; №153; გვ: 1.
- 156 თავდგირიძე ნიკო; “შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი”; “საქართველო № 186; გვ: 3.
- 157 იქვე.
- 158 იქვე.
- 159 იქვე.
- 160 იქვე.
- 161 ჩიტაია დავით “აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში”; თბ. 2005 წ; გვ: 555.
- 162 რიონელი; “აფხაზეთის არჩევნები”; “საქართველო”; 1918 წ; № 241; გვ: 3 4.
- 163 იქვე.
- 164 იქვე.
- 165 “აფხაზეთის სახალხო საბჭო”; “საქართველო”; 1919წ; №67; გვ: 2
- 166 იქვე.
- 167 იქვე.
- 168 კაბაბაძე ს; “შავი ზღვის სანაპიროსათვის”; “საქართველო”; 1918წ; 190; გვ: 1.
- 169 იქვე.
- 170 თავდგირიძე ნ; “აფხაზეთისა და ჯიქეთის საკითხი”; “საქართველო”; 1918წ; № 183; გვ: 3.
- 171 იქვე.
- 172 “სოჭის ოლქი”; “საქართველო”; 1919წ; № 40; გვ: 1.
- 173 იქვე.
- 174 “მიწების ჩამორთმევა აფხაზეთში”; “საქართველო”; 1918წ; №6; გვ: 3.
- 175 ედილი ზ; “აფხაზეთში (მგზავრის შთაბეჭდილებანი)”; “საქართველო”; 1919წ; № 20; გვ: 3
- 176 თავდგირიძე ნ; “ეროვნული პოლიტიკის უქონლობის შედეგები” “საქართველო”; 1918წ; № 137; გვ: 2-3
- 177 “ტუაფსეს აღების გამო”; “საქართველო”; 1918წ; № 153; გვ: 1
- 178 თავდგირიძე ნიკო; “შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი”; “საქართველო № 185; გვ: 3.
- 179 “ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები”; თბ; 1992; გვ: 3.
- 180 იქვე.
- 181 “სამხრეთ ოსეთის ყრილობის რეზოლუციები”; “საქართველო”; 1918წ; № 173; გვ: 4.

- 
- 182 იქვე; № 207
- 183 იქვე; № 207
- 184 სონღულაშვილი ავთანდიდ; “სამხრეთ ოსეთი” საქართველოში?!” თბ; 2009წ; გვ: 138
- 185 პავლიაშვილი დავით; “შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა”; თბ; 1998წ; გვ: 18-19.
- 186 თოთაძე ანზორ; “ოსები საქართველოში: მითი და რეალობა”; თბ; 2006წ; გვ: 34.
- 187 ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ სამართლებრივი ასპექტები და მისი მიგვარების ძირითადი გზები”; თბ; 1992; გვ: 6; 13
- 188 “ოსების ტავდასხმა ცხინვალზე”; “საქართველო”; 1918წ; № 64; გვ: 3.
- 189 იქვე.
- 190 “ცხინვალის ამბები”; “საქართველო”; 1918წ; № 70; გვ: 3 4.
- 191 იქვე
- 192 იქვე
- 193 იქვე
- 194 ამირეჯიბი შალვა; “ცხინვალის ფრონტი”; “საქართველო”; 1918წ; № 64; გვ: 2.
- 195 იქვე.
- 196 იქვე.
- 197 ამირეჯიბი შალვა; “გიორგი მანაბელი”; “საქართველო”; 1918წ; №69; გვ: 3.
- 198 იქვე.
- 199 იქვე.
- 200 “ცხინვალის ამბები”; “საქართველო”; 1918წ; №66; გვ: 3.
- 201 იქვე.
- 202 ა.ლ; დრევეანდელი ოსეთი (ქართლში ოსების გამოსვლის გამო); “საქართველო”; 1918წ; № 69; გვ: 3-4.
- 203 იქვე.
- 204 იქვე.
- 205 “ოსთა ყრილობა”; “საქართველო”; 1918წ; № 110; გვ: 3.
- 206 იქვე.
- 207 გ.ქ. “ოსთა საკითხი”; “საქართველო”; 1918წ; № 124; გვ: 1.
- 208 იქვე.
- 209 იქვე.
- 210 იქვე.
- 211 ა.ლ. “ახლანდელი მდგომარეობა ცხინვალში და ცხინვალს ზემოთ”; “საქართველო”; 1918წ; № 140; გვ: 4
- 212 იქვე.
- 213 ი. ჭყონია, “საქართველოს სანაპიროები”, “საქართველო”, 1917 წ, №120, გვ. 3
- 214 იქვე
- 215 ი. ჭყონია, “საქართველოს სანაპიროები”, “საქართველო”, 1917 წ, №120, გვ. 3

- 216 იქვე
- 217 მ. ჯანაშვილი “საინგილო”, “საქართველო”, 1917წ. №125, გვ.4
- 218 ხ. ედილი “საინგილოდან აფხაზეთამდის”, “საქართველო”. 1917წ. №123, გვ. 4
- 219 მ. ჯანაშვილი “საინგილო”, “საქართველო”, 1917წ. №125, გვ.4
- 220 იქვე
- 221 ნ. ჭორდანიძე, „ქართველი ნაციონალისტები“, რჩეული ანაწერები, თბ.,
- 222 რ. გაბაშვილი, „რაც მახსოვს“, დაბრუნება, თბ., 1992წ., ტ. 3, გვ. 114
- 223 ხ. ედილი, საინგილოდან, „საქართველო“, 1916წ., №101, გვ. 4.
- 224 მ. ხ. ედილი, „წერილი საინგილოდან“, „საქართველო“, 1917წ., №137, გვ. 4.
- 225 გურ-ლი, „ქ. ზაქათაძე“, „საქართველო“, 1917წ., №42, გვ. 3.
- 226 იქვე.
- 227 ხ. ედილი, „საინგილო“, „საქართველო“, 1917წ., №73, გვ. 4.
- 228 იხ. ჭორდანიძე ნოე „ნაციონალური კითხვა ამიერკავკასიაში“, 1917წ
- 229 „აოხრებული მხარე“, „საქართველო“, 1918წ., №98, გვ. 3.
- 230 იქვე.
- 231 ხ. ედილი „საინგილოს მდგომარეობა“, „საქართველო“, 1918წ., №35, გვ. 4.
- 232 „საქართველო“, 1916წ., №13, №14.
- 233 იქვე.
- 234 იქვე.
- 235 „სკოლების საჭიროება საინგილოში“, „საქართველო“, 1916წ., №50, გვ. 4.
- 236 ხ. ედილი, „საინგილო“, „საქართველო“, 1917წ., №73, გვ. 4.
- 237 ხ. ედილი, „სკოლების გაეროვნება საქართველოს სანაპიროებში“, „საქართველო“, 1917წ., №269, გვ. 3-4.
- 238 მ. ჯანაშვილი, „საინგილო“, „საქართველო“, 1917წ., №125, გვ. 4.
- 239 ხ. ედილი, „საინგილოს გადაგვარება“, „საქართველო“, 1916წ. №13
- 240 ი. ჭყონია, „საქართველოს სანაპიროები“, „საქართველო“, 1917წ., №120
- 241 ხ. ედილი, „საინგილოს ვითარება“, „საქართველო“, 1917წ., №113 გვ. 4.
- 242 „აოხრებული მხარე“, „საქართველო“, 1918წ. №98.
- 243 ვ-ლი „არეულობა საინგილოში“, „საქართველო“, 1918წ. №6.
- 244 რ. ინგილო, „მივიწყებული კუთხე“, „საქართველო“, 1917წ., №110, გვ. 4
- 245 ხ. ედილი, „საინგილოს გადაგვარება“, „საქართველო“, 1918წ., №14 გვ. 4
- 246 იქვე
- 247 ხ. ედილი, „საინგილოს გადაგვარება“, „საქართველო“, 1916წ., №13.
- 248 ხ. ედილი, „წერილი ბელაქანიდან“, „საქართველო“, 1917წ., №281.
- 249 ი. ჭყონია, „საქართველოს სანაპიროები“, „საქართველო“, 1917წ., №120, გვ. 4.
- 250 იქვე.
- 251 ხ. ედილი, „კასრის საყდრზე“, „საქართველო“, 1917წ., №149, გვ. 3-4.
- 252 იქვე.
- 253 ხ. ედილი, „კასრის საყდარზე“, „საქართველო“, 1917წ., №149, გვ. 3-4

---

მართლმორწმუნე მაჰმადიანი და პატრიოტი ქართველიც!“

<sup>254</sup> აფხაზეთის სახალხო საბჭო, „საქართველო“, 1917წ., №278, გვ. 3.

<sup>255</sup> ზ. ედილი, მთიულთა კავშირი და აფხაზეთი, „საქართველო“, 1917წ., №251, გვ. 4.

<sup>256</sup> რ. ინგილო, „საქართველო ტერიტორიის საკითხი და სინგილო“, „საქართველო“, 1917წ., №282, გვ. 3.

---

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ანანია (ჯაფარიძე; მთავარეპისკოპოსი); თბ; 1998წ
2. გაგოშიძე შოთა; ქართული ჟურნალისტიკის ისტორია (XX საუკუნის 20-იანი წლები) ნაკვეთი I; თბ; 2004წ.
2. Белая книга Абхазии; მოსკოვი; 1993წ.
3. bluaSvili uCa; qarTul-osuri konflikti: vin da ratom daiwyo igi? Tb; 2005w.
4. გაბედავა მერი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა აფხაზეთში 1917-21წწ; თბ; 1993წ; გვ:11.
5. გამახარია ჯემალ; ქართულ აფხაზურ ურთიერთობათ ისტორიიდან; თბ; 1991წ; გვ: 21-22.
6. გამხარაშვილი, გ; საინგილო (მოკლე მიმოხილვა);თბ; 1960წ.
7. ედილი, ზაქარია; საინგილო; თბ; 1997წ.
8. ვაშაკიძე რუსუდან; საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა 1917-1918 წლების ქართულ პრესაში (“საქართველო”; “სახალხო საქმე”; “ალიონი”; “ერთობა”) ; თბ; 2009წ
9. თოთაძე ანზორ; აფხაზეთის მოსახლეობა ისტორია და თანამედროვეობა; თბ; 1995წ.
10. თოთაძე ანზორ; ოსები საქართველოში: მითი და რეალობა; თბ; 2006წ.
11. თოთაძე ანზორ; საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი; თბილისი; 1993წ.

- 
12. ისტორიული ჰერეთი-საინგილო; თბილ; 2001წ.
  13. Некоторые вопросы истории осетин шида картли; Тбилиси; 2010г
  14. პავლიაშვილი დავით; “შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა”; თბ; 1998წ.
  15. პაპუაშვილი ნუგზარ; ამბროსი (ხელაია) რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში (სტატიის გამო “ხმა სოხუმიდან”); თბ 2005წ.
  16. პაპუაშვილი, თენგიზ; საინგილოს ისტორიის ნარკვევები: საქართველოს აღდგომისა და გამოსწისათვის ბრძოლა კაკ-ელისენის გამო; თბ; 2008წ.
  17. რუსული კოლონიალიზმი საქართველოში; თბ; 2008წ.
  18. სონღულაშვილი ავთანდილ; “სამხრეთ ოსეთი” საქართველოში?!” თბ; 2009წ.
  19. “ქართულ-ოსური კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები და მისი მოგვარების ძირითადი გზები; თბ; 1992წ.
  20. ჩიტაია დავით; აფხაზეთის პარლამენტის ისტორიიდან; თბ; 2002წ.
  21. ჩიტაია დავით; აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში; თბილისი; 2006წ.
  22. ჭუმბურიძე დოდო; ისტორიული პორტრეტები, დასაწყისი XX საუკუნისა; თბ; 2008წ.
  23. ჯანელიძე ოთარ; ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან; თბ; 2002წ.

- 
24. ჯანელიძე ოთარ; საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი, 2009წ.
  25. ჯანელიძე ოთარ; “როგორ იქმნებოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი”; “ანალები”; 2008წ; №3.
  26. ჯანელიძე ოთარ; “სამხრეთ ოსეთი საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაში”; “ეთნოპოლიტიკა”; 2007წ; №1.